

№25 (289)

ქართული სტრუქტურა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვაც, ქართული სიტყვაც“
ვინაწყო ლინაძე

ფასი 1 ლარი

24 – 30 ივნისი 2015 წ.

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა


გაზაღების ტბა კვდება!

დაჭაობების პარალელურად, ტბის გარშემო საგზინებლო საშუალები მიმდინარეობს! >>> 89-10 33.



თბილისის ავარიული შენობები >>> 89-16 33.

ცვლილებები მთავრობაში – მიხდია ჯანელიძეს მოხსნიან?



„თუ უნდათ, დაგიჩირონ, ფეხზე გიკიდია, ვიღაცამ სიგარეტზე სომ უნდა თქვას?!“

„მთავრობა აგენტებითა სავსე!“

„მთელი დასავლეთ საქართველო და შავი ზღვის სანაპირო დაზარალებული“ – ენერგეტიკის მინისტრის დემეტრის, მირონ ფირცხალანის სპანდალური განცხადებები



>>> 89-2-3 33.

საშიშროა თუ არა ვაკის სასაფლაოდან გავრცელებული გვამური უხამები

ვინ აპირებდა 13 ივნისს დაზარალებულთათვის ფსიქოტროპული საშუალებების დარიგებას



მცნიერთა და გია ნიკოლეიშვილის შოკისმომგვრელი ინტერვიუ

„სინამდვილეში, კადავერინი, როგორც რაღაც საშინალება, არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ჩვეულებრივი, ცხოველური ცილების ლეგონის პროდუქტი – პტომაინები. ეს ორგანული უხამი, იგივე ბიოგენური ამინოჰაზი, რომელიც ორგანიზმში გაქტერიების ჯამოქმედების შედეგად, ნამდვილად ტოქსიკური ხდება, თუმცა თუ სისხლში არ მოხვდება, საშიშროა არაა. ძალიან ტოქსიკურია პუტრესცინიც, კადავერინი, ასევე, ნეირინი – შედარებით ნაკლებად. ეს საშიშრო ნივთიერება ნებისმიერი ცილოვანი ორგანიზმის, თუნდაც თევზის ლეგონის შედეგადაც წარმოიქმნება და მთავარია, სისხლში არ მოხვდეს... ერთი პათანატომიც კი, რომელსაც შეხება მიცვალებულთთან აქვს, „გვამური უხამით“ ჯერ არ გარდაცვლილა. სიცოცხლე სომ ცილოვან სხეულში არსებობის წესია...“




>>> 89-12-13 33.



>>> 89-14-15 33.

დაავადებები, რომლებსაც თბილისის წარღვნის სტრესი გამოიწვევს – ჰომეოპათი თინა თოფურიას პრაქტიკული რჩევები

სად დამარხეს სტიქიის დროს დასოცილი ცხოველები >>> 89-11 33.



„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე!“

კონსტანტინე

სკანდალური ექსკლუზივი

ცვლილებები მთავრობაში — მინდია ჯანელიძეს მოხსნიან?

„ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ერთი საბჭოთა ფილმი გამახსენა — „იტალიელების საოცარი თავგადასავალი რუსეთში“, სადაც, თუ გახსოვთ, ქალაქში ლომი დარბის. ჩვენთან კი, — ვეფხვი... თქვე მამაცხონებულუბო, ამხელა სპეცრაზმი გყავთ და „ზაჩისტკას“ ვერ აკეთებთ? დაგეშილი ძაღლებიც გყავთ, რომლებიც ნარკოტიკს ეძებენ და ცხოველს ვერ მოძებნიან? გამაგებინეთ, სად ვცხოვრობთ? ეს საქმის უცოდინარობაა. ჯანსულის თქმისა არ იყოს, ვერ გაიგებ, ვისი ვიოლინო ვის როიალშია და ყველაფერი ეს ბიძინა ივანიშვილს ურტყამს!.. თუ უნდათ, დამიჭირონ, ფეხზე მკიდია, ვილაცამ სიმართლე ხომ უნდა თქვას? ჰოდა, ვამბობ: კრიზისების საბჭო ახლობლების თავშესაფარია და მეტი არაფერი!“

— აცხადებს „ქართული სიტყვის“ ექსკლუზიური ინტერვიუების ციკლში უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე გორჩინიძე, რომელიც არ გამოირჩება, რომ 13 ივნისის სტიქიას ხელისუფლებაში გარკვეული წმენდა მოჰყვება. ქართველი სპეცსამსახურელი კრიზისების საბჭოს ხელმძღვანელის პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზეც ლაპარაკობს და აქვე, განმარტავს, რომ ზოგიერთი ჩინოვნიკი შესაძლოა, სისხლის სამართალშიც მიექცეს.



„კაბელაჰის საქმე“ პროკურატურის კრახის დაზვიადებითაა, თორემ სად არის კაბელაჰის საქმის ასე შემოტრიალება ბევრ ვივარაუდოთ, რომ პროკურატურაში ის შემადგენლობა, რომელიც დღეს არის, ვეღარ იქნება. თუ, როგორც რუსები იტყვიან, „სტრელეჩნიკს“ მოკაზნიან, ყველაფერს მას დაბრალდება და პასუხისმგებლობას არ აიღებან, ეს ძალიან ცუდი იქნება.“

„ჩემი ყოფილი აგენტები დღეს თანამდებობაზე არიან!“

— ბატონო კოტე, კრიზისების მართვა სტიქიის შემდეგ შექმნილ ვითარებასაც გულისხმობს?

— რა თქმა უნდა.

— ეროვნულ უსაფრთხოებაში სტიქიური უბედურება „შედის“?

— ცხადია. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია მხოლოდ საგარეო საფრთხეს კი არა, სტიქიურ უბედურებებს, ბუნებრივ კატაკლიზმებსა და ენერგოუსაფრთხოებასაც მოიცავს.

— ესე იგი, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში წერია, სტიქიური უბედურების დროს სახელმწიფო როგორ უნდა მოიქცეს, არა?

საბჭოს შტატი 80 თუ 100 ადამიანამდეა გაბერილი, ყველას მაღალი ხელფასი აქვს, მაგრამ აბსოლუტურად არაფერს აკეთებს.

საერთოდ, არ შეიძლება, რომ ქვეყანაში ორი ერთნაირი სამსახური არსებობდეს და თავის დროზეც წინააღმდეგი ვიყავი, უშიშროების საბჭო პრეზიდენტის დაქვემდებარებაში დარჩენილიყო.

— რატომ?

— იმიტომ, რომ პრეზიდენტის ფუნქციები შეიკვეცა და აღმასრულებელი ხელისუფლება აღარაა. უშიშროების საბჭო კი, მაკოორდინირებელი ორგანოა, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებაში უსაფრთხოების საკითხებზე მუშაობს.

ვანო, თუ გახსოვთ, ამ თემაზე წინა ინტერვიუებში არაერთხელ გვისაუბრია, ისრაელის მაგალითიც მომიყვანია და მითქვამს, რომ უსაფრთხოების საკითხების სისტემაში მოყვანაა საჭირო.

— მე კი მახსოვს, კოტე ბატონო, მაგრამ მთავარია, მათ დაემასხვრებინათ და გაეგოთ, ვისაც ყველაფერი ამის, როგორც იტყვიან, აფურში მოყვანა შეუძლიათ... მოკლედ, თქვენ, როგორც უსაფრთხოების ექსპერტი, აცხადებთ, რომ კრიზისების საბჭო კრიზისის მოუმზადებელი შეხვდა?

— დიახ...

— იქიდან გამომდინარე, რომ ზოოპარკიდან გაქცეული ორი მტაცებლის კვალს დღემდე ვერ მიაკვლიეს, დედაქალაქში კომენდა-

ნტის საათი ხომ არ უნდა გამოცხადდეს?

— არა. პრეზიდენტს საგანგებო მდგომარეობა უნდა გამოეცხადებინა...

— პრეზიდენტმა საგანგებო ბრძანება გამოსცა, რომლის თანახმადაც, სტიქიის შედეგების ლიკვიდაციაში ჯარი ჩაერთო...

— გასაგებია, მაგრამ როცა პრეზიდენტი საგანგებო მდგომარეობის აქტს გამოსცემს, ეს იმას ნიშნავს, რომ მთელ ძალაუფლებას თვითონ იღებს — დავალებებს გასცემს და ასე შემდეგ. ამ დროს სამხედრო ნესები შემოდის.

ისე, კონსტიტუცია პრეზიდენტს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების უფლებას არ აძლევს.

— სტიქია ერთია, მაგრამ მეორეა, როცა ქუჩაში მტაცებელი ცხოველები დარბიან. ამ ახე პასუხისმგებლობა ვის ეკისრება?

— აღმასრულებელ ხელისუფლებას, კონკრეტულად, იმ სტრუქტურას, რომელიც კრიზისების მართვაზე პასუხისმგებელი მინდია ჯანელიძის პასუხისმგებლობა შეიძლება, გადადგომაში გამოიხატოს, მაგრამ ვეფხვის მიერ ადამიანის დაგლეჯვაზე, როგორც ვიცო, სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, ანუ კონკრეტული ბიუროკრატები ვალდებული კონკრეტულ მიმართულებებზე არიან. დიახ, მათ ყველაფერი უნდა ელონათ, რომ ერთ ტრაგედიას მეორე არ მოჰყოლოდა. ამიტომ, მათი პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად უნდა დაისვას!

ხელის ზოოპარკის დირექტორისკენ გაშვერა არ შეიძლება. რა მნიშვნელობა აქვს, ზურაბ გურიელიძემ რა და როგორ თქვა? ის ჩვეულებრივი იურიდიული პირია, შეგიძლია, შეხვიდე და მისგან იურიდიული დოკუმენტები ამოიღო.

— ეს ნაბიჯი რატომ არ გადაიდგა?

— არ იცინა! სრული უნიათობაა! ჰაერზე ლაპარაკობენ, არადა, ცხოველები რომ დაეთვალით, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა.

— გაქცეული ცხოველები როგორ უნდა დაეთვალით?

— დოკუმენტები ამოეღოთ და შეედარებინათ, რამდენი იყო ადგილზე და რამდენი — არა. სხვათა შორის, როგორც ვიცო, დოკუმენტაცია წყალს არ წაუღია.

— 13 ივნისის მოვლენებიდან გამომდინარე, ღმერთმა დაგვიფაროს და, მტერი, ვთქვათ, რუსეთი რომ დაგვესხას, პოლიტიკატი როგორ მოიქცევა?

— აბსოლუტური დაბნეულობა იქნება! ვანო, მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: ამ რაღაც კრიზისული საბჭოს ნაცვლად, ძალიან უწყებების ხელმძღვანელთა კომიტეტი უნდა შეიქმნას, რომელიც პრაქტიკულად, უსაფრთხოების საბჭო იქნება და კონკრეტულ კრიზისულ სიტუაციაში კონკრეტულ გადაწყვეტილებას მიიღებს. კრიზისების საბჭოში კი, რიგითი ფუნქციონირები ჰყავთ შეყრილი, რაც არ შეიძლება.

— ბატონო კოტე, თქვენი ვარაუდით, 13 ივნისის ტრაგედიას სახელისუფლებო ცვლილებები მოჰყვება?

— თუ ნორმალურ ქვეყანაში ვცხოვრობთ, უნდა მოჰყვება! პასუხისმგებლობა ძველმა ხელისუფლებამაც უნდა აიღოს და ახალმაც.

— სხვათა შორის, ენერგეტიკის მინისტრმა და ვიცე-პრემიერმა, კახა კალაძემ ლიად განაცხადა, ყველაფრის წინამორბედისთვის გადაბრალდება არ შეიძლება... ამ განცხადებიდან გამომდინარე, ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ კალაძე ოპოზიციაში წავა?

— ეს არ ვიცი, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ყველაზე ადეკვატური განცხადება კალაძემ გააკეთა! მან კოლექტიური პასუხისმგებლობის საკითხი წამოჭრა და ამაში, პირველ რიგში, საკუთარი თავიც იგულისხმა. ეს ნორმალური ნაბიჯი იყო!

— მართალია, სტიქიამ პოლიტიკური მოვლენები გადაფარა, მაგრამ ე.წ. „კაბელაჰის საქმეზე“ მოულოდნელი შედეგი დადგა — დაკავებულები გირაოს გარეშე გაათავისუფლეს. „თავისუფალი დემოკრატების“ შეფა-

„სამსახურიდან აღმინისტრაციული წესით გააგადას — პოლკოვნიკს „შეუსაბამოვა“ ჩამინერეს, რაც ნონსენსია, ანუ თუ შეუსაბამო ვიყავი, პოლკოვნიკობაზე როგორ მივიდი, ან ბათავის უფლებამდე ერთი თვით აღრი, კადრების სამმართველომ საქმეში რატომ ჩამინერა, დანინაურებას ეძვემდეგებარება? ჰოდა, ერთ თვეში ისეთი რა მოხდა, რომ შეუსაბამოვა „გამიჩალიჩა“? სწორედ ეს „შეუსაბამოვა“ უფლებას არ მამქვს, რომ როგორც პოლკოვნიკი, იარაღი შევიძინო და ვბარო. ვილაცხავს კი, ვინც ცინიდან გამოვიდნენ და ნასამართლეობა გაიძარწყლეს, იარაღი ჰკიდიათ! ხალხო, ადამიანებო დანაშაული ჩაიდინა და გაძარწყლება რას ნიშნავს. ევროპაში კი არა, თურქეთში რომ თურქეთია, მსგავსი ნონსენსი იმაც არ არსებობს! ამ საქართველოში კი რა ხდება, გააგაგაინეთ! ძალოვანი უწყებები კრიმინალიზაცია და ყოფილი ნითლეობით გააგადას!“

— დიახ, წერია, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ეს მთავარი დოკუმენტი, ანუ კონცეფცია შესაცვლელია და ხალხს, რომელიც კრიზისების მართვის საბჭოში მოვიდა, სწორედ მის შეცვლაზე უნდა ეზრუნა, რადგან ეს მთავარი მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც კონკრეტული გამოწვევების დროს, უწყებების — ძალოვანი და სხვა სამინისტროების მუშაობას განსაზღვრავს.

— ეს დოკუმენტი რომელმა ხელისუფლებამ მიიღო?

— მიშას დროსაა მიღებული, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? ამათვისაც სახელმძღვანელო უნდა ყოფილიყო.

— მასხადამე, დოკუმენტს, რომელიც ეროვნულ უსაფრთხოებას ეხება, მხოლოდ უშიშროების კი არა, კრიზისების საბჭოც, ასე ვთქვათ, ემორჩილება?

— დიახ. კრიზისების საბჭო რამდენი ხანია, ფუნქციონირებს და შეეძლო, ამ დოკუმენტში გარკვეული ცვლილება შეეტანა, მაგრამ რეალურად, რას ხედავთ: კრიზისების

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშენიერებას ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“



საქართველო საქართველო საქართველო

სკანდალური მსკლუზივი

მე-2 გვერდიდან

სებით, ეს ხელისუფლების კრახია...

მთავარი პროკურატურა აღმასრულებელი ხელისუფლების შტოა. ეს იგი, ეს აღმასრულებელი ხელისუფლების კრახია! — სხვათა შორის, თავდაცვის სამინისტროს დაკავებული თანამშრომლების გათავისუფლების შუამდგომლობით სასამართლოს თავად პროკურატურამ მიმართა... „კაბელების საქმე“ პროკურატურის კრახის დაგვირგვინებაა, თორემ სად არის ვაზაგაშვილის აფეთქების დამკვეთი?... „კაბელების საქმის“ ასე შემოტრიალება ბევრ რამეს შეცვლის. ყოველ შემთხვევაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ პროკურატურაში ის შემადგენლობა, რომელიც დღეს არის, ვეღარ იქნება. თუ, როგორც რუსები იტყვიან, „სტრელენიკის“ მოძებნიან, ყველაფერს მას დააბრალდებენ და პასუხისმგებლობას არ აიღებენ, ეს ძალიან ცუდი იქნება. — ისე, ხელისუფლება ამბობს, ირაკლი ალასანიას რა უხარია, ჯერ სასამართლო არ ყოფილა და რომელ გამარჯვებაზე ლაპარაკობს... — პრინციპში, მართალია, რადგან კაცმა არ იცის, სასამართლო პროცესი როგორ დამთავრდება. მე თუ მკითხავთ, თავდაცვის სამინისტროს ხუთი თანამშრომელი თავის დროზე არც უნდა დაეჭირათ იმიტომ, რომ არსად გაიქცეოდნენ. გამოდიობა აქამდე რომ არ გაეჯანჯლებინათ, სასამართლო განხილვებიც უკვე დამთავრებული იქნებოდა. შეიძლება, დანაშაული მართლაც, არსებობს, მაგრამ გამოძიებამ მტკიცებულებების შეკრება ვერ მოახერხა და ეს არაპროფესიონალიზმივე მიუთითებს. — „კაბელების საქმის“ დღევანდელი მოცემულობა იმაზე მეტყველებს, რომ სასამართლო პოლიტიკური ნიშნისგან თავისუფალია? — შეიძლება, ბოლომდე არა, მაგრამ სასამართლოს რალაც სეგმენტი, დიას, თავისუფალია. — რამდენიმე დღის წინ, ცალკეულ მედიასაშუალებებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „კაბელების საქმის“ მოსამართლემ თითქოს ქრთამი აიღო... — უიმი!.. თუკი ასეთი ეჭვი არსებობს, უნდა დაამტკიცო და ქრთამის ამლენიცი დააპატიმრო და მიემცვი! — ეს ხმა არაოფიციალურად გავრცელდა... — მესმის, მაგრამ როცა მედიამ მსგავსი ინფორმაცია ვრცელდება, შესაბამისი რეაგირებაა საჭირო — მედიამ გაავრცელებული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველია. ამიტომ, ამ თემაზე გამოძიება უნდა დაიწყო... — მეც ვიცი, რომ მედიაში გამოქვეყნებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლოა, სისხლის სამართლის საქმე აღიძვრას, მაგრამ ჩვენთან, როგორც წესი, ასე არ ხდება, თორემ ბატონო კოტე, ნელინაძეზე მეტია, სკანდალურ ინფორმაციებს ახმაურებთ და აქამდე არაერთი საქმე უნდა აღძრულიყო... — საუბარი სწორედ აქეთკენ მიმავს... ვანო, წინა ინტერვიუში გითხარით, რომ თავდაცვის სამინისტრო გასანმენდია, მაგრამ ის საკადრო გადაადგილებები, რომლებიც უწყებაში ხორციელდება, ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს. — რა ხდება? — ავიღოთ, მაგალითად, თავდაცვის სამინისტროს გენინსპექცია. მინისტრი შეიძლება, საქმის კურსში არაა, ვინ ვისი მეგობარია, მაგრამ თუ აქცენტს ძველ და პროფესიონალ კადრებზე აკეთებენ, მაშინ ისეთები უნდა შეარჩონ, რომლებიც კორუფციასთან ასოცირებული არასოდეს ყოფილან. — ბატონო კოტე, მოდი, კონკრეტულად გავაღვი და პირდაპირ თქვი, თავდაცვის სამინისტროს გენინსპექციაში ისეთი ვინ დანიშნეს, ვის გამოც აღშფოთდით? — მაგალითად, ფოთის ყოფილი სამხედრო პროკურორი ზურაბ ფარდალაძეა, რომელიც ბადრი ბიძაძის დროინდელი კადრია. — მერე, რა? ჯერ ერთი, იმით არაფერი შეადგება, რომ ადამიანი თავის დროზე ბინაძესთან მუშაობდა, მეორეც, რაც უნდა იყოს, თავდაცვის მოქმედ მინისტრს ბურჯანაძე ბინაძის მიმართ სიმპათიას ვერ დავანამებ... — დიას, ვერ დავანამებთ, მაგრამ პასუხისმგებელი ისაა, ვინც ამ კადრებს სთავაზობს,

თორემ თინა ხიდაშელს სად სცალია, რომ ყველას პირადი საქმე ნახოს. ესე იგი, ვილაცის რეკომენდაციებს ყვრდნობა. ამიტომ, ვურჩევ, ყველას ბეგრანდით დაინტერესდეს, ვის დანიშნავს ხელს ანერს, თორემ თავდაცვის უწყებიდან ინფორმაციები, მინიმუმ, „ნაცმოძრაობასთან“ ჟონავს. — როგორ? — თავდაცვაში ისეთი კადრებიც არიან დარჩენილი, რომლებიც „ნაცმოძრაობასთან“ ასოცირდებიან. მაგალითად, კადრების სამმართველოს უფროსი წერეთელი, რომელიც ტარიელ ლონდარძესა და „ნაცმოძრაობასთან“ თავის ურთიერთობას არ მალავს და რომელსაც მდივნად ბაჩო ახალაიას ყოფილი მდივანი ჰყავს. — ბატონო კოტე, მდივანი, ანუ როგორც დღეს ამბობენ, ოფისმენეჯერი ის თანამდებობა არაა, რის გამოც ადამიანი უნდა დაისაჯოს. — მდივანი თანამდებობის პირის ნდობით აღჭურვილი პირია... სწორედ ამიტომაც, „ნაცმოძრაობა“ ყველა საკადრო გადაადგილებებზე სრულ ინფორმაციას ფლობს. — საბუჯეტო ორგანიზაციაში განხორციელებული საკადრო ცვლილება საჯარო ინფორმაციაა, რომელიც „ჩანერგილი აგენტების“ გარეშეც გასმაურდება... — აქ ლაპარაკი იმაზეა, რომ ინფორმაცია საკადრო გადაწყვეტილების მიღებამდე ვრცელდება... შეიძლება, ზემოქმედების რალაც ხერხებსაც იყენებენ. — ვერ ვხედავ, რას გულისხმობთ... — რას და, — ვთქვით, არსებობს მეთოდები, რომლითაც კონკრეტულ კადრს არ დაანიშნებენ, ან მას შეანარჩუნებინებენ, რომელიც „ნაცმოძრაობის“ მომხრეა. — კარგი, რა, ერთმა ჩვეულებრივმა მდივანმა ამდენი როგორ უნდა მოახერხოს?! — ლაპარაკი მდივანზე არაა. — აბა, ვისზეა? — თავდაცვის სამინისტროს კადრების სამმართველოს ხელმძღვანელობაზე. სხვათა შორის, გაქცეული ამირან მესხელის ნდობით აღჭურვილი პირი, ლევან ქავთარაძეც გენინსპექციაშია და თავს მშვენივრად გრძობს. ასევე, შტააძეც, რომელიც მესხელის ნდობით აღჭურვილი პირია. სხვათა შორის, ზურა ფარდალაძეს „შეკერილი“ საქმით გარდაცვლილი ადმირალი, ზურაბ ირემაძე და ვიქტორ ჭელიძეც გაასამართლეს. შეიძლება, უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ „ნაცმოძრაობის“ მომხრე სამხედრო მოსამსახურეები საიდუმლო თათბირებსაც ატარებენ და არაწინ იცის, ყველაფერი ეს როდის „გასკდება“. — „ნაცების“ მომხრე სამხედროები საიდუმლო თათბირებს თავდაცვის სამინისტროში ატარებენ? — ამას რა მნიშვნელობა აქვს? ფაქტია, რომ ამ შეკრებებს მუდმივი სახე აქვს. — და რაზე თათბირებენ? — ეს სამხედრო კონტრდაზვერვა და პოლიციამ უნდა გაარკვიონ. ეს ადამიანები მხარს დღესაც „ნაცმოძრაობას“ უჭერენ! — ბატონო კონსტანტინე, მგონი, ადრევე გკითხვით: თუკი „ნაცმოძრაობას“ დღემდე მხარს ამდენი ხალხი უჭერს, 2012 წლის პირველ ოქტომბერს არჩევნები როგორღა ნააგო? — ეს, რაზეც ახლა ვლაპარაკობ, ადმინისტრაციული რესურსია, რომელიც ამომრჩევლის 15 პროცენტს არ ცილდება. — ადმინისტრაციული რესურსი პოლიტიკურ შეხედულებას, როგორც წესი, იმის მიხედვით იყალიბებს, თუ ვინაა ხელისუფლებაში. ასე რომ, „ნაცების“ მომხრეები ავტომატურად „ოცნებისტები“ უნდა გამხდარიყვნენ. — კი ბატონო, მაგრამ მათი უმეტესობა, ვისზეც ვლაპარაკობ, ძალიან უწყებებში „ნაციონალების“ დროს მოვიდა და ყოფილ ხელისუფლებას მხარს დღემდე ამიტომაც უჭერს... — რა ამის პასუხია და, იმ დროს, როცა მთელ ქვეყანას პირზე სტიქია და 13 ივნისის ტრაგედია ეკერა, ცნობილი გახდა, რომ პანკისში სპეცოპერაცია ჩატარდა. თქვენი აზრით, ეს სპეცოპერაცია ვერ მოიცდიდა თუ ყველაფერი „გადაუდებელი აუცილებლობით“ იყო გამოწვეული? — სპეცოპერაცია არა, ტყემალი! პანკისიდან ერთი კაცის ჩამოყვანა ძალიან მარტოვ



ად შეიძლება. — რომელი „ერთი კაცის“? — ბორჩაშვილის, რომელზეც ეჭვობენ, რომ „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კავშირი აქვს და პანკისიდან ახალგაზრდებს სირიაში აგზავნის. — ბორჩაშვილის გარდა, თუ არ ვცდები, სხვებიც „აიყვანეს“, თუმცა მოგვიანებით, გაათავისუფლეს... — პანკისის ხეობაში იარაღი თითქმის აღარაა, მასიური ნარკოტრაფიკიც შეწყვეტილია და ძალიან უწყებებიც მუშაობენ, ანუ შესაბამისი ოპერატიული რეჟიმი დაწყებული და ასეთ დროს სპეცოპერაცია რა საჭიროა? მგონია, რომ ესეც პიარია. სხვათა შორის, ანალიტიკური ოპერაცია 2004 წელს კონტრტერორისტულმა დეპარტამენტმა ჩაატარა, რასაც გაღიზიანების მეტი არაფერი მოჰყვა. სპეცსამსახური რომ ხარ, საქმე ისე უნდა გააკეთო, არ გამოჩნდე და გავლენაც პირის გარეშე მოიპოვო. თუ ამას ასე ხერხებ, მაღალი კლასის სპეცსამსახური ხარ! ისე არ გამიგოთ, რომ ამოჩემებული მყავს... — ვინ? — შს-ს განსაკუთრებულ საქმეთა დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი, ვარდიკო ნადიბიძის დღესაც შს-ს თანამშრომელია და რომელიც დღესაც შს-ს თანამშრომელია და რომელიც 26 მაისისა თუ 7 ნოემბრის დარბევის დამგეგმე და განხორციელებელია, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ პროკურატურის მონევა, თავზე ხელს უსვამენ! ხალხო, ეს როგორ შეიძლება? ყველაფერი თავი რომ დავანებოთ, კაცმა რუსებს კოდორი ისე ჩააბარა, რომ ერთი ტყვიაც არ გაუსვრია — აურაცხელი იარაღიც დაუტოვა და, სხვათა შორის, კოდორიდან წაღებული იარაღი უკრაინაში, სეპარატისტების ხელში აღმოჩნდა... ადამიანმა, 1992 წელს, მე-11 ბრიგადის ზურგის უფროსი, ზაზა თარგამაძე მოკლა... — მაპატიეთ, ეს მძიმე ბრალდებაა, რომელიც არ დასტურდება... — რა არ დასტურდება? მხოლოდ მე კი არა, მთელი მე-11 ბრიგადაა მოწმე. ამის გამო დააპატიმრეს კიდევ, მაგრამ შრომაზე მტრულის დროს, გამოქვეყნეს, „შეკების“ ბატალიონის მეთაურად დანიშნეს და ამით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა აარიდეს. — „შეკების ბატალიონი“ რა არის? — პატიმრების ბატალიონი... საერთოდ, ჩვენთან ნასამართლობის გაქრწყვლება დამკვიდრებულია — ადამიანი, რომელმაც მკვლელობა ჩაიდინა, ან კორუფციაში იყო გარეული და სასჯელი მოიხადა, შეიძლება, ნასამართლობა გააქრწყვლოს და საჯარო სამსახურში, მაღალ თანამდებობაზე დაინიშნოს. — არ შეიძლება, ადამიანმა შეცდომა მოინანიოს? — როცა მკვლელობა გაქვს ჩადენილი, რას პქვია, მოინანიო? ადამიანმა კოდორი რუსებს ჩააბარა, ეს სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია და რომელ მონაწილეზე მელაპარაკებთ? — კოდორის რუსებისთვის ჩაბარებაც, ბატონო კოტე, თქვენი ვერსიაა! — დიას, ვერსიაა, რომლის დასამტკიცებლადაც გამოძიება საჭირო. ქარჩაიძე მეთაური იყო და ფაქტია, კოდორი რუსებს დარჩათ. ბოლოს და ბოლოს, 2008 წლის აგვისტო


ოს ომს გამოიძიებენ თუ არა? სამსახურიდან ადმინისტრაციული წესით გამაგდეს — პოლკოვნიკს „შეუსაბამობა“ ჩამინერეს, რაც ნონსენსია, ანუ თუ შეუსაბამო ვიყავი, პოლკოვნიკობამდე როგორ მივედი, ან გათავისუფლებამდე ერთი თვე ადრე, კადრების სამმართველო საქმეში რატომ ჩამინერა, დანიშნა რა ვეკვამდებარე? ჰოდა, ერთ თვეში ისეთი რა მოხდა, რომ შეუსაბამობა „გამიჩალიჩეს“? სწორედ ეს „შეუსაბამობა“ უფლებას არ მძლევს, რომ როგორც პოლკოვნიკმა, იარაღი შევიძინო და ვატარო. ვილატებს კი, ვინც ციხიდან გამოვიდნენ და ნასამართლობა გაიქრწყვლეს, იარაღი ჰკიდიათ! ხალხო, ადამიანმა დანაშაული ჩაიდინა და გაქრწყვლება რას ნიშნავს. ევროპაში კი არა, თურქეთში რომ თურქეთია, მსგავსი ნონსენსი იქაც არ არსებობს! ამ საქართველოში კი რა ხდება, გამაგვინეთ! ძალიან უწყებები კრიმინალებითა და ყოფილი წითლებით გაავსეს! ერთხელ, ჯაბას ჰკითხეს, ჩვენი პარლამენტი რა ჰგავსო. საზამთროს — გარედან მწვანეა, შიგნით — წითელი და ალაგ-ალაგ შავი ურევიანო. დღესაც, დაახლოებით, ამ სიტუაციაში ვართ... „ნაციონალებმა“ დაიწყეს და ესენიც აგრძელებენ. — რას? — ძალიან უწყებები აგენტებითაა სავსე. — რუსეთის აგენტებით? — არა მარტო, ჩვენი სპეცსამსახურებისაც. — არ შეიძლება, აგენტი თანამდებობაზე დაინიშნოს? — არა. — რატომ? — აგენტის ფსიქოლოგია არ იცვლება და აგენტი, რომელიც ოპერატიული მუშაკი ხდება, ეს ჩვეულებრივი ბიზნია! მას ჩამოყალიბებული აქვს, რომ ინფორმაცია უნდა გაიტანოს. შესაბამისად, გამოიცილებული არაა, რომ ყოფილა აგენტებმა, რომლებიც ოპერატიულ თანამდებობაზე მუშაობენ, ინფორმაცია უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს მისცენ და ეს რეალური საფრთხეა! სხვათა შორის, სამსახურიდან იცით, ვინ გამომაგდო? — ვინ? — ჩემი სამსახურის ყოფილა აგენტმა, რომელიც ჩემი სამსახურის ხელმძღვანელი გახდა. გვარების დასახელება არ მინდა, მაგრამ ჩემი ყოფილი აგენტები დღეს თანამდებობებზე არიან! — „...ოცნებისთვის“ ყველაზე სუსტი რგოლი რომელი უწყებაა? — სპეცსამსახური. კონტრდაზვერვა ვალდებულია, რომ ოპერატიული მომსახურების ქვეშ ჰყავდეს შსს, შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები და საზღვრის დაცვის დეპარტამენტი. კონტრდაზვერვის სამსახური თავის ადგილას რომ იდგეს, ის პრობლემები, რომლებიც დღეს არსებობს, არ გვექნებოდა! — ესე იგი, კონტრდაზვერვა სათანადოდ რომ მუშაობდეს, მიმა „კონტრაბანდულ“ ვეფხვებს ვერ შემოიყვანდა, არა? — მიშა თავი დაანებეთ — სადაც არის, იქ თავისით გაგიყვება და თავისი საცოდაობაც ყყოფა! — ბატონო კოტე, 13 ივნისი ქართულ პოლიტიკაში რას შეცვლის? — ბევრ რამეს... ესაუბრა პანო პავლიაშვილი (თემის გაგრძელება იქნება)



საქრებულო
საქრებულო. რედაქცია

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებას სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე!“

ვინაა ვინაა



ა შენი მინა
თუ მთა-ველი,
შენი ცაა
რუსთაველი!




ბ ვუმბურ სუფრას
ბარად გაშლილს,
გაუმარჯოს
ბარათაშვილს!



ნ ენა გვაქვს
ზოგჯერ აშლილი,
გვატრონობს
გოგებაშვილი!



ბ გარემო ქმნის
იდილიას,
გაუმარჯოს
დიდ ილიას!



ბ და მეც სუფრას
თუ გამიშლით,
ვადღეგრძელებ
გურამიშვილს.



ბ იმ ჟამსა და
ამ ჟამსა,
გაუმარჯოს
ვაჟასა!



ბ რიტმა მოსდის
რაკრაკით,
გაუმარჯოს
აკაკის!




ბ სამივ დროში
დრო ბევრია,
ვაშა, გრიგოლ
ორბელიანს!

■ **ახალი წიგნები**

„ბიორები სააკაძე 440“ უნიკალური გამოცემა

გამომცემლობა „სვეტი“-მა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის, უწმინდესის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, გამოცემა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „მამულიშვილთა გახსენების“ პრეზიდენტის, ბონდო კობაძის მორიგი წიგნი — „გიორგი სააკაძე 440“.



სქელტანიან მალაზხარისიან გამოცემაში, რომელსაც უწმინდესის სიტყვები აქვს წამძღვარებული, ილია ჭავჭავაძის სიტყვებსაც ნახავთ.

„ლუარსაბ მეფის დროს იყო იგი სახელოვანი დიდი მოურავი გიორგი სააკაძე, რომლის მოქმედება და ქცევა დღესაც აუხსნელია ჩვენთა ისტორიკოსთაგან და რომელიც იყო რა უხვად შემკული ყოვლისა სამამაცო და საგმირო ღირსებითა, დღეს აქობამდე არც ავად არის ჩვენს მიერ დაფასებული და არც კარგადა. მისი ავ-კარგიანობით აღსაფასე განსაცდელიანი ცხოვრება და საოცარი მოქმედებანი, მისნი ავად და კარგადაც აღსახსნელი დიდნი საქმენი, ჯერ შიგნულად გამოძიებულნი არ არიან და ელიან პირუთვნელს გამკითხველსა. ეს კი გულდაჯერებით სალიარებელია, რომ მისი მოუსვენარი და მღელვარებისაგან დაუცხრომელი ცხოვრება ერთი დიდი ტრაგედიაა, განსაკვირველი და გასაოცებელი.“


დიდ მოურავს, გიორგი სააკაძეს, როგორც ერთს უპირველეს კაცს იმ დროში, დიდი გავლენა და ზემოქმედება ჰქონდა მეფის ლუარსაბის სვე-ბედზე და თვით საქართველოზედაც. — წერს დიდი ილია.



ბ რიტმებით
ვიხსნი საკინძეს
და ვადღეგრძელებ
ტაბიძეს!



ბ წარსულის ტკივილს
ვინც მომგვრის
ლენიძეა
გიორგი!



საქართველო
საქართველო

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებას სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგო ღონისძიება

მოთხრობა

გი და შენ დავშორდით...
მე და შენ დავშორდით
მწუხარედ, დიდი ხნით;
ცრემლებს ძლივს ვახშობდით
ნახევრად მშვიდი ხმით,
ვიგრძენი – გაცვივდა
ეგ ლოყა, ეგ კოცნა,
მე სევდა მაცრიდა
იმ დღიდან საოცრად.
ცისკარი ცვრიანი,
მსუსხავი ქარები,
ყოფილა ნიშანი
დღეის მწუხარების.
გატყვე შენ ყველა
ალთქმა და ფიცელი,
შენ გქვია შერცხვენა,
მე მქვია – სირცხვილი;
თუ სადმე გახსენეს,
ვძრწივარ ხსენებაზე,
თავზარით ვისხენებ –
ლოგორ მეძვირფასე?
იმათში ვინ არის,
გცნობდეს ჩემზე მწარედ!
მე დიდხანს გინანებ,
გინანებ მსურვალედ...
ვხვდებოდით იდუმალ,
ახლა კი მართო ვარ,
და ვნუხვარ კვლავ ჩუმად
შენსას გულმჩატობას.
გავლენ გრძელი წლები,
თუ შეგხვდით ურვილი,
გაგეცნაურები
ცრემლით და დუმლით.

ჩვენ აღარ წავალთ სახეტილოდ
ჩვენ აღარ წავალთ სახეტილოდ,
ასე გვიანი ღამით,
თუმცა სავსეა გული ტრფილით,
მთვარეც იღვრება ღამის.
რადგანაც ხმალი მალე ცვეთს ქარქაშს,
გრძნობა მკერდს ადნობს კრული,
გული ცოტა ხნით საგულეს ჩადგეს,
ტრფობამ მოითქვას სული.
შეყვარებულთა გამო ციალი
ღამემ წარსტაცა აისს,
ვარსკვლავთა შუქზე სახეტილოდ
ჩვენ აღარ წავალთ მაინც.

გნახე, ტიროდი...
გნახე, ტიროდი – ლურჯი თვალისა
გდიოდა ფართო ცრემლი ნათელი,
ტიროდი... ნელა დაბლა ჩავიდა
ნამი იიდან ჩამონადენი.
შენ გაიღიმე – და საფირონმა
უკან წაიღო ციმციმი ყველა,
ვერ შეძლო ცოცხალ სხივთან ცილობა,
შენ რომ აფენდი გულეების მწველად.
რბილი და თბილი ფერებით ღრუბლებს
როგორც დაფერავს ჩამავალი მზე,
და მაშინ ზეცა ნათელს აუფლებს
მოახლოებულ დაისის ჩრდილზე,
ისე ღიმილი შეგებას ჰფენს შენი
თვით უპირქუშეს, ვნებულ გონებას,
მისგან გზა რჩება შუქით ფენილი,
გულსაც სინათლე ჩაეკონება.

სულში წყვილია...
სულში წყვილია, ოჰ, ჩქარა მომართე
არფა, მე ჯერაც მაქვს მხნეობა, გისმინო...
ჰანგი მომხიბლავი ჩემს სმენას მოანდე,
დაე, მაგ თითებმა სიმებზე ირბინონ,
თუ არ წარმხოცია იმედი ბოლომდე,
გული კვლავ დატკეპება და გაირინდება,
იქნებ ამ თვალეში ცრემლს ჯერაც ვმალავდე,
ტვინს აღარ დაბინავავს და გადმოდინდება.
იყოს ეგ სიმღერა მწველი და ველური,
გართობა ან ჩემთვის ჩირად არ ფასდება,
ახლა მე ქვითინი მწყურია ხელური,
თორემ გასენილი ეს გული გასკდება.
ჭამს მას რა ხანია ჯავრი და ნალველი,
ქენჯნადა, მღერალო, ღამეთა კირთება,
ელის უარესი, ვიდრე აქვს ნაგემი,
დღეს დაილენება, ან დაგმორჩილდება...

ის მოდის სათნო და მშვენიერი
ის მოდის სათნო და მშვენიერი,
ვით ნათელ ქვეყნის ღამე ვარსკვლავა,
და მის თვალეში და მის იერში,
ბნელსა და ნათელს არა აქვთ დავა,
ჩრდილით რბილდება შუქი ციერი,
ალტაცებისთვის გული მზადაა.
მოაკლდეს სხივი ან მცირე ჩრდილიც, –
და ზიანდება მისი მშვენება,
მშვენებად ღელავს კულუნი ხშირი
და ჩვილი შუქი სახეს ევლება,
შუბლზე ესატვის ფიქრები ტკბილი,
უცოდველობა, ბედნიერება.
ლაჟვარდული მიმოქრის შვება,
ნაზი და თბილი ღიმილი მისი
სიკეთედ განვიღო დღეებზე ჰყვება;
ვინ, ვინ გახდება ედემის ღირსი!
მის სულში სუფევს თვინიერება,
გულმა უმანკო ტრფივლი იცის!


ჰგოდებდეთ...
ჰოი, ჰგოდებდეთ, – ბაბილონისას
დაჰქვითინებენ მდინარის პირებს,
ვისი ტაძრებიც გაუდაბურდა,
ვისი სამშობლოც ან – სიზმარია,
შეგინებული და დამსხვრეული
იუდეველთა ქნარი იტირეთ,
სადაც უფალი მათი მკვიდრობდა,
ულმერთოები ბინად არიან!
სად განიბანოს დღეს ისრაელმა
ფეხი თავისი დასისხლებული,
როდის გახდება სიონის ჰანგი
კვლავ ძველებური სიტკბოთი სავსე,
და მელოდია იუდასი,
ასე საამო და დიდებული,
თუ ანეტარებს ერთხელაც გულეებს,
ადრე რომ თრთოდნენ მის ციურ ხმაზე?
მოდგამაე მოხეტე, დაქანცული სულთა!
ფეხარეული და ნაჯვარარი
ვით გაექცევი ამდენ განსაცდელს,
სამშვიდობელის მიაღწევ კართან...
გარეულ მტრედს აქვს თავისი ბუდე,
მელიას – სორო თავშესაფარი,
ერებს – მამული, ხოლო ისრაელს
აღარაფერი საფლავის გარდა!

აპიბრაშა
ჰოი, კასტელირი! პატრიოტი ხან შენ ნამდვილი, –
სამშობლოსათვის მოკვდა კატონ, ასევე შენაც;
ის – რათა რომი არეხილა მონად დახრილი,
შენ – ბრიტანეთის არ გენახა რომ გადარჩენა!
●
ასე, კასტელირიმ გადაიჭრა ვაგლახად ყელი,
და საკუთარი მისთვის იყო უკანასკნელი.
●
მან გადაიჭრა სამართებლით ყელი, თუმცაღა,
დიდი ხნით ადრე თვით ბრიტანეთს გამოუღადრა.

ვინ მოკლა ჯონ კიტსი?
ვინ მოკლა ჯონ კიტსი?
– მე, – ამბობს ეს ჟურნალი,
მგესლავი, მომურნალი
რა გმირი ვარ, ხომ ვიცი.
რომლის სინდისს მოუდის?
– პოეტ-მღვდელის, მილმანის
(კვლამი მარდი ვინც არის),
– ბეროუს, ან სოუთის.

ძილგამკრთალთა მზა
მზო ძილგამკრთალთა, კავშის ვარსკვლავო!
შორითო ციაგო, მორთოლო, გულსაკვავო,
შენ ცხადქმნი სიბნელეს და ვერ კი აქარვებ,
ოჰ, შეგებას გარდასულს ასე რად მაგონებ...
შენსავით დღეები წარსულად ქცეული
ელავს და ვერ ათბობს შუქგადაღული;
ეგ სხივი მაძრწუნებს მე, ღამეგანათევს,
როგორი შორია, რა ცივად ანათებს!..

სსოვნანი
გათავდა! ჩემი ოცნება მიხვდა, –
აღარ ღირს რწმენა მომავლის სხივთა,
მე ბედნიერი ვიყავ მცირე ხანს...
უსასობის ქარმა დაბერა,
ჩემი აისი ჯანლით დაფერა,
გზა – ზამთრეული თოვით მიღეჭა.
მშვიდობით – ლხინო, ტრფობავ, ნატვრანო,
ნეტავი სსოვნაც თან გაგატანო!



კატალონიის დღიურიდან
გამოიღვიძეს თვით საფლავშიც, – როგორ ვიძინო,
ტირანს ებრძვიან: მე რალატომ დავდრკები წელში?..
მონეულია მოსავალი – მკა ავიცილო?
მე არა მძინავს, ეკალია ჩემს სარეცელში:
ყოველ ცისმარე შემომესმის, ბუკი როგორ ხმობს,
და ჩემი გული მის დაძახილს ექოდ პასუხობს...

ფ რ ა გ მ ე ნ ტ ი
მოკლედ დაწერილი მის ჩაპოტის
ძორწინების შედეგად
ანსლეს მწირო, ქუშო სერებო,
თქვენს შორის დარჩა ჩემი ბავშვობა,
მძაფრი ქარები არ გასვენებენ
ფიქრით დაღლილებს, დარდით ნაშფოთარს.
არ დაბრუნდება დრო უზრუნველი,
ჩემს სიყმანვილეს რომ ამშვენებდა,
აღარ მიღიმის მე ჩემი მერი,
თქვენს თავს სამოთხედ რომ მაჩვენებდა.

გაშ, შენ იტირებ ჩემს განვალებას?
მაშ, შენ იტირებ ჩემს განვალებას?
ძვირფასო, ისევ ველი მაგ სიტყვებს,
ოღონდაც თქმა თუ გევალალება,
ნულარას მეტყვი და გულს ნუ იტკენ.
მე ჩემს იმედებს ვნუხვარ დაშრეტილს,
სისხლი დამიდის ძარღვი კაეშნად,
როცა მოვკვდები, შენ ერთადერთი
ამოიხრებ ჩემს სამარესთან.
ჯერ კი სიმშვიდის ნაზი ნათელი
ამ ტანჯვის ღრუბელს შენგნით ეხვევა,
ნუთით ვყურდები მე განათელი,
რომ ვიგრძნო შენი გულის შეხება.
ო, დაილოცოს, სულო, ეგ ცრემლი,
ჩემს მაგივრადაც დაღვრილი შენგან,
ცვარ-მარგალიტი მისთვის ნამცერევი,
ვის თვალეც ცრემლი ასეველეს ველარ.
ერთ დროს მეც მქონდა გული გამთბარი
და სიყვარულით სავსე, შენსავით,
დღეს იმ შევენების დამრჩა საფლავი
და მხოლოდ გული მასზე მკვნესავი.
და შენ იტირებ ჩემს განვალებას?
ქალო, მე ისევ ველი მაგ სიტყვებს,
ოღონდაც თქმა თუ გევალალება,
ნულარას მეტყვი და გულს ნუ იტკენ.

პროზა

ქსელი

ვანო პავლიაშვილი

ეს ამბავი ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით, ან დიდსა და დაბურულ ტყეში კი არა, სოციალურ ქსელში მოხდა, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ტიპური 21-ე საუკუნის თავგადასავალია, თუმცა „თავგადასავალი“ ხმამაღლა ნათქვამია, რადგან ამ ამბავს არც მთავარი მოქმედი გმირები ჰყავს და დასასრულს, არც კეთილი იმარჯვებს. ეს თანამედროვე ცხოვრების ერთი ჩვეულებრივი შტრიხია, უბრალო, დეტალი, რომელსაც თუნდაც წინა საუკუნეში ყურადღებას არავინ მიაქცევდა.

მოკლედ, ასე: ყველაფერი ისე დაიწყო, როგორც სოციალურ ქსელში იწყება ხოლმე: „აქაუნტი“ გახსნა და, რეალურ ნაცნობებთან ერთად, ბევრი უცნობიც დაიმეგობრა. არ ახსოვს, მეგობრობის „რექვესტი“ რატომ გაუგზავნა – ალბათ, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი საერთო „ფრენდი“ ჰყავდათ, თან მისი „კედელიც“ საინტერესო მოეჩვენა...

დღე დღეს მისდევდა, თვე თვეს... მერე, როცა ყველაფერი დამთავრდა, აღმოაჩინა, რომ უცნობთან ორწლიანი ვირტუალური მეგობრობა აკავშირებდა, თუმცა ამ ხნის განმავლობაში ერთმანეთს ყასიდადაც არ გამოლაპარაკებია, უფრო სწორად, ერთხელ, როცა სოციალურმა ქსელმა „შეახსენა“, შენს ამ და ამ „ფრენდს“ დაბადების დღე აქვსო, ადგა და „პირადში“ მისწერა, კეთილო ადამიანო, იუბილეს გილოცავთ, წინსვლას და წარმატებას გისურვებთო.

უცნობმა მადლობა ცალკეად გადაუხადა. პასუხად „ლიმილი“ გაუგზავნა და... დამთავრდა...

მერე, დრო ისევ რომ გავიდა, სოციალური ქსელის ადმინისტრაციამ, როგორც ჩანს, უცნობსაც „აცნობა“, შენი ამ და ამ ფრენდის დაბადების დღეო. მილოცვა არც მას დაუყვებდრებია, თუმცა „პირადში“ კი არ მისწერა, არამედ, „კედელზე“ დაწერა, გილოცავთ და წარმატებებო...

– ახლა მაინც გამოველაპარაკებო, – გადანწყვიტა და ისევ „პირადში“ „დაუმესიჯა“, – ამდენი ხანია, „მეგობრობით“, მაგრამ ერთმანეთზე არაფერი ვიცითო.

ისევ „ლიმილი“ და მოკლე პასუხი: – არ მცალია, მოგვიანებით შეგეხმინებითო... – ნება თქვენიაო, – მიუგო და თავი გაანება... ისევ გამოხდა ხანი...

სოციალურ ქსელში ორივე აქტიურობდა, ერთი – მეტად, მეორე – ნაკლებად... ერთმანეთის „სტატუსებსა“ და ფოტოებსაც „ალაიქებდნენ“...

მერე?... მერე არაფერი: უბრალოდ, უცნობი გაქრა. თავდაპირველად, ამ „გაქრობისთვის“ ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ „კედელზე“ მისი აქტიურობა მოაკლდა. უფროსე, თვალში ის მოხვდა, რომ უცნობი აღარც სტატუსებს „ულაიქებდა“ და აღარც – ფოტოებს.

მისწერა: – ხომ მშვიდობაა, სად დაიკარგეთო? უცნობმა, ორი-სამი დღის შემდეგ, „მონყალება გაიღო“ და უპასუხა: – კი, მშვიდობაა... უბრალოდ, ასე მოხდა... პასუხს, ტრადიციულად, „ლიმილიც“ მოაყოლა... დრო ისევ გავიდა...

21-ე საუკუნის აბლაბუდის ქსელი უწინდებურად ქოთქოთებდა, ბორგავდა, გმინავდა...

ადამიანები ერთმანეთს „იფრენდებდნენ“, აქილიკებდნენ, აქებდნენ, ლანძღავდნენ...

უცნობი კი, ისევ არ ჩანდა... იშვიათად, მაგრამ მაინც ახსენებოდა და რალაცნაირად დარწმუნებული იყო, რომ რეალურ ცხოვრებაში იდეალური მეგობრები იქნებოდნენ...

გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ გამოლაპარაკებოდა, მაგრამ ეს მცდელობაც წარუმატებელი აღმოჩნდა – უცნობმა, დიდი ბოდიში, დაკავებული ვარ და მოგვიანებით მოგწერთო...

მერე? მერე, ისევ არაფერი – სოციალურ ქსელში იმდენი საინტერესო „მეგობარი“ ჰყავდა, რომ უცნობი აღარც გახსენებია... მხოლოდ ერთხელ, ისიც მაშინ, როცა „ფრენდლისტს“ ათვალიერებდა, თვალში უცნობის სურათი მოხვდა, თუმცა მისი პროფილის ნახვის სურვილიც არ გახსენია. ერთი კი გაიფიქრა, წავშლიო, მაგრამ მაშინვე ხელი ჩაიქნია, სხვა თუ არაფერი, მრავალფეროვნებისთვის მაინც იყოს, რას მიშლის, „ფრენდების“ რაოდენობაში მაინც მეტვლებაო და... იდუმალი უცნობი „სხვა სიაში“ გადაიყვანა...

დრო ისევ გავიდა... „მეგობრობის თხოვნა“ – არც მეტი, არც ნაკლები – შოთა რუსთაველმა გამოუგზავნა. არ გაპკირვებია, რამეთუ ადრე ანალოგიური „რექვესტი“ ნაპოლეონისგან, დავით აღმაშენებელსა და თვით სტალინისგანაც მიიღო. შოთას გამოჩენამ რატომღაც იდუმალი უცნობი გაახსენა. რუსთაველის „მეგობრობის შემოთავაზება“ გააუქმა და არცთუ თავაზიანად მისწერა, ბევრი საინტერესო მეგობარი მყავს და თქვენ რომ უინტერესო აღმოჩნდეთ, მაშინვე „მიგბლოკავთ“, რის გამოც შეიძლება, გული დაგწყდეთ და კარგად ბრძანდებოდეთო...

21-ე საუკუნის აბლაბუდის ქსელში არავინ დაგიდევთ შოთას შეგონებას, მეგობრობა გზად და ხიდადო. აქ მხოლოდ ვირტუალური გზა და ხიდაა, რომელსაც, ტაძარს ვინ ჩივის, ადამიანები ერთმანეთთანაც არ მიჰყავს...



წვიმით დანერილი ისტორია


ქალაქი, საიდანაც ადამიანები მარადიულში წვიმას გაჰყვინენ... ქალაქი, სადაც მტერ-მოყვარენი წვიმამ გააერთიანა... ქალაქი, სადაც წვიმაზე ლექსებსა და სიმღერებს, ალბათ, დიდხანს აღარ დანერენ, მაგრამ... ეს ქალაქი არასოდეს აღიგვება, რამეთუ აქაურებმა იციან, რომ ძალა ერთობაშია... ამ ქალაქში ცხოვრობენ ადამიანები, რომლებმაც საჯარო სამსახურში მოსაწყობად, შეიძლება, უნარ-ჩვევების ტესტი ვერ გაიარეს, მაგრამ სამაგიეროდ, ერთგულებისა და თანადგომის ტესტი ზენიჭიერად ჩააბარეს! ყველა ჯურისა და ყაიდის ხელისუფალნი, თქვენ ნახვალთ, თქვენს ნაკვალევს წვიმა ნაშლის და აღარავის ემახსოვრებით. სამაგიეროდ, დარჩება ეს ქალაქი

თავისი გმირებით, ახალგაზრდებით, ერთგულებით, თავდადებით... ეს ამ ქალაქის ისტორიის წვიმით დანერილი ეპიზოდია... ალარ წვიმს... წვიმამ სევდა დატოვა... წვიმამ ცხოვრება შეცვალა... წვიმა მხოლოდ ბეტონის ნაგებობებს, ესტაკადებსა და ხიდებს კი არა, ადამიანებსაც შლის... წვიმა აღარაა კეთილი... წვიმა ჩვენ, ადამიანებმა გავაბოროტეთ... ნაცნობებო და უცნობებო, საქმიანებო და უსაქმურებო, მოცლილებო და მოუცლევლებო... უბრალოდ, ადამიანებო, მოდით, რა, გავკეთილშობილდეთ და წვიმაც ისევ შეგვიყვარებს...

ხანდახან

ხანდახან ჩვენც ადამიანები ვართ და ადამიანები გვენატრებიან... ხანდახან მხოლოდ მოკეთენი კი არა, მტრები და ისინიც გვენატრებიან, ვისაც განგებამ ჩვენს ცხოვრებაში ეპიზოდური როლი არგუნათ და... ამ ეპიზოდმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა – გული გვატკინა, მაგრამ... მაინც, გვენატრებიან... ხანდახან ეს მონატრება ისეთი გიჟურია, რომ აღარ ვიცით, რა ვქნათ... ხანდახან სილაღეც გვენატრ-

ება და ამ დროს მზად ვართ, ნებისმიერი სისულელე გავაკეთოთ. ხანდახან გვენატრება, რომ სამყაროს ბოდიში მოვუხადოთ... ხანდახან ტკივილიც გვენატრება, წრფელი, ჭეშმარიტი ტკივილი... ხანდახან არაფერი, სულ არაფერი გვენატრება... ხანდახან კი... გვახსენდება, რომ ადამიანები ვართ და... უბრალოდ, ადამიანობა გვენატრება! ხანდახან... ხანდახან ყველაფერი ხდება...



„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგო ღონისძიება

საქართველო
საქართველო

სახალი ლექსები

მცხეთაში

გუშინ მცხეთაში ვნახე არსენა,
უკვე ვერაფერს ართმევდა მდიდარს,
ქართან კი, როგორც ძველთან მსგავსება,
ტანმაღალ ქადრებს რკალივით ხრიდა.
ისევ ცრემლები სდიოდა ღარბებს,
ალარსად სჩანდნენ გზები გმირობის
და ბაგინეთის ძელქვების ღარი
გადმოდიოდა მცხეთას მირონი.

კუჭატნელები

მცხეთას ყვაოდნენ წითლად ატმები,
მეც აქაური მადლით გამზარდეს,
საიდან გაჩნდა ეს კუჭატნელი,
სად პოულობდნენ ლეკვებს გამზატებს.
როგორ ესროლეს ზურგში მარაბდელს,
გმირი დააკლდა კაცურ ელიტას,
ახლაც ის დროა,
ღმერთი გვარაუდეთ
ამდენ გამზატებ-კუჭატნელისგან.

აბო

წუხელ მეტებთან შევნიშნე აბო
ხელში საკუთარ მოკვეთილ თავით,
სირცხვილი მაინც როდემდის ვცლაპოთ
ამდენი შუღლით, ქიშპით და დავით.
ღამის ნისლები ესურა თაბორს,
მტკვარს კი მიჰქონდა სევდა უღევი
და შურის თვალით ვუცქერდი აბოს,
ავსებულს რწმენით და ერთგულებით.

თელავში

დასცქერს ერეკლე მშობლიურ თელავს,
როგორც იმედი წინაპრის ვალის,
წელზე კი უკვე საომრად ელავს
მამაპაპათა ნაწრთობი ხმალი.
უხმობს ერეკლე წამოზრდილ ლეკვებს.
გადაშლილია ბრძოლის სამყარო,
ხვალ მოთარეშეს დასცხებენ ლეკვებს,
რომ კავკასიონს იქით გაყარონ.

კრწანისთან

კრწანისში ჩანდა მეფე ერეკლე,
შემოდგომისგან ქარვისფერ ხევთან,
ქარებმა ჯანლი მთებში შეერეკეს
და ცივი ქარი ცისკიდეს სევდა.
მჭმუნვარე სახით იდგა მეუფე და
კვლავაც უხმობდა სამას არაგველს,
თუმცა იმის ხმაც ვერვინ შებედა,
რომ ჩვენი მიწა უკვე ჩარაგვეს.

მთავარი და პოეტი

ბუნებამ ლელოს ბურთივით დადო
მზე და გზა ნათლით დააფარვინა,
სიონთან ცრემლი სდიოდა ტატოს,
უკვე ტოვებდა თბილისს მთავრინა.
ღარბი დიდი პოეტი დათმეს,
მდიდარ დადიანს ბედი წყალობდა,
ეკატერინე აფრქვევდა ნათელს,
ოლონდ ბულბული აღარ გალობდა!

გმოსანი გენერალი

ალთა კრებული მწვანედ ატირდა,
მთებს დაუსველდათ თეთრი ფაფარი,
ფეხს არ იცვლიდნენ ანჩისხატიდან
ქაიხოსრო და ანდუყაფარი.
დიდი მებრძოლი, დიდი მოძღვარი,
დიდი გენერლის ბედის ტრიალით,
უკვე არ იყო ქვეყნად ცოცხალი
გმოსანი გრიგოლ ორბელიანი.

გოლიათი

ვაჟა ფშაველა ვინილე ჩარგალს,
ნათელ სახეზე ჩამქრალი თვალით,
ისევ კავადგა, თოხნიდა, რგავდა,
რომ არავისი ჰქონოდა ვალი.
და პოეზიის დიდი მედროშის
ნათელი მზისებრ ეფინა ჩარგალს,
ყვავ ძველ დროში,
ანდა ჩვენ დროში,
ვაჟა კი, ისევ გოლიათს ჰგავდა.

ტირანტი ბრანელი

ძმაო ტერენტი, ასეთ ყინვაში
საით მიდიხარ თეთრი ხალათით,
ხარ ჩაძირული ცისფერ ხილვაში
და ვერც მიაღწევ, ალბათ, ხვალამდი.
დატეხილია ბედის მშვილდები,
შენი ცხოვრება ბნელში ვიდოდა,
სიცოცხლეს ისე არ უფრთხილდები,
თითქოსდა იგი სულ არ გინდოდა.

კველ დროში

პატარძელთან მიმავალ გოგლას
ლომის ხმითა და ღვთიურ მარჯვენით,
ვხედავ, ვმშვიდდები,
ვერავინ მოგვეკლავს,
მჯერა, რომ ვართ და დიდხანს დავრჩებით.
ის გვეხმარება ლექსით და საქმით,
არა მტერივით მოძმის აგდებით,
მომეჩვენება, ნისლივით გავეჭრი
და კვლავ ძველ დროში გადავბარდებით.

მიხეილ ჯავახიშვილი
თბილისის დააჩნდა ლამების კროთმა,
ჯავახიშვილი ჩაჰყვება დაღმართს,
მამულისთავის წერას და ბრძოლას
კვლავაც საკუთარ სიცოცხლეს ახმარს.
ფანჯრიდან ხედავს მტკვარს და ჩულურეთს,
თვალი კი უცქერს მკველვი მებაჟის,
მოდით, შეხედეთ,
მოდით, უყურეთ,
კაცი მიფრინავს უკვდავებაში.

ბარნოვის ქუჩაზე

ირაკლი აბაშიძეს

მე ხშირად გხედავთ,
ბარნოვს მიჰყვებით,
ახლა რომ თქვენი სახელი ჰქვია,
ბელურებივით ქიანს სიტყვები,
მერე კი, ექოდ იწყებენ გრიალს.
თქვენი კაცობით და პოეზიით
წინამძღოლივით გვეიმედებით,
მაღე დროც მოვა გამოღვიძების
და აიყრიან ჯანლებს ქედები.

ხვალ

და რუსთაველზე მოდის პაოლო,
სიოს ჭადრებში გააქვს შრიალი,
სოლოლაკიდან გზები გამოვლო,
სახლში ვერ დარჩა კაეშნიანი.
პაოლოს გვერდით მოსდევს ტიცინან,
მოუყვებთან ბურქების ღობეს,
და არ იციან,
და არ იციან,
ხვალ ღმერთკაცების სიცოცხლეს სპობენ.

თუშეთში, კოცონთან

მთვარე თონეში იყო გაჩრილი
თუშურ შოთივით,
ამ ფიქრს ვუშვებდი,
სულაკაური იჯდა, არჩილი,
კოცონთან, როგორც მეფე თუშეთის.
თუშურ სიმღერებს და თუშურ გარმონს
უსმენდა, სახეს უფსებდა განცდა,
ცრემლი მომადგა მეც ამის გამო,
რაც თანაგრძნობა ყოფილა კაცთა.

ცხრანჭაროზა

გურამ რჩეულიშვილს

მე შენთან ერთად ცხრანჭაროზე ვიდექი ერთხელ,
დაქანაობდა მზის და ყინვის ოქროს ისარი,
რა სილამაზეც ცხოვრებაში არ უნდა შემხვდეს,
სიმაღლე იგი სულ სხვა ცის არი.
ამგვარ ოცნებას შენთან ერთად ბევრჯერ ვხედავდი,
სიმაღლისაკენ მისწრაფების გდევდა სტიქია,
შენ კი, მიქრისარ უკვდავების დიდი მხედარი
და ყველა გიყვარს, ცხოვრებაში ვინაც გიქია.

წალკერში

მთა ამოღებულს გავდა ნიშანში
და მზე ესროდა ოქროს ნალვერდალს,
წალკერში შესვდა სოსო გრიშაშვილს,
შეყვარებული იყო წალკერზე.
მისი პნკარები სივრცეს ავსებდა,
სივრცე კი, ქარვით იყო ფენილი,
საოცარია ბევრი მსგავსება
წასულ პოეტის და დარჩენილის.

სუკზონ ზურკული

უნივერსიტეტის ბაღთან

ოცნება ფიქრებს ისე ათავსებს,
თითქოს თილისმად გინდა ტარება,
კარებთან შეხვდი შოთა ჩანტლაძეს,
უნივერსიტეტის ბაღის კარებთან.
შეხვდი მეგობარს, პოეტს, იგავთმწერს
და გითხრა შოთამ — უნდა იცოდე,
სანამ ჩემსავით უამი მიგანვენს,
სიტყვა აქციე თავად სიცოცხლედ.

ყინულზე

ყინულის ბილიკზე გურამ თიკანაძე
იდგა და გვიქნევდა ვაჟკაცურ მკლავებს,
ის მთების სიყვარულს კვლავაც გვიკარნახებს,
თუმც მტრები ყველაზე მოყვარულს კლავენ.
ცისფერი თვლებით, ოქროსფერ ქოჩოროთ,
იდგა ნიშანივით, რომ მხოლოდ მთა უყვარს,
არ გავიმეორებ ნათქვამს თუ მოჭოროილს,
გურამი ყინულის გოლგოთას დაუყვია...

პარძიში

გამოჩნდა ბელა ახმადუღინა,
ლექსებით მართლა საოცრებებით,
გზებიდან უღვთოდ დახლართულიდან
ცოტა თუ რჩება ამოცნობილი.
მასსოვს როგორაც ძველი თქმულება,
როცა გაბრწყინდა თვალწინ ვარძია,
„სად ნახავ ამგვარ დიდებულებას“, —
თქვა და ცრემლებიც გადმოამძივა.

ეროსი

ვხედავ, ნელ-ნელა მოდის ეროსი,
მზე ოქროს დისკოს როცა კიდებდა,
ის — სიამაყე საქართველოსი,
ქართულ თეატრის აჩენს დიდებას.
დიდება ახშობს ტკივილს ფარულებს,
რასაც კი გულის სიღრმეში მალავს,
მოდით, ეფერეთ, ესიყვარულეთ,
სიცოცხლის ბოლო წუთები დგანან.

დავითი

დიდგორზე ჰქროდა გრიგალი,
ხალხის ხარობდა, ხეობაც,
ბოროტთან შეურიგალი
დავითი არც ირხეოდა.
ფარხმალს ბლუჯავდა ტორებით
და სისხლისფერი მდელიდან
თურქულსეულეუკების მომრევი
ახალ შეტევებს ელოდა.

დავითი

ჭაბუა ამირეჯიბს

დაგრჩა სახელი უდიდესის, უპირველესის,
პირველი ხარ და პირველობის ნალდი დროც არი,
მინდა, ხმამაღლა შემოგძახო, თუკი ვერ გესმის,
შენი ცხოვრება სულ გვამხნევებს გასაოცარი.
თითქოს ამქვეყნად მოვლენილი იყავ ღმერთკაცი,
ვით გუთნისდებამ გაიტანა ფართო სვრელი და
გესურს, ძვლებურად გვინწინამძღვრო, უკვე ვერ გაცდით,
უდიდეს დავითს გამოგყვებით ამიერიდან!


დრო იყო

თბილისის ქუჩებს დაჰყვებოდა, დრო იყო, ღმერთი,
რუსთაველისკენ მიდიოდა ვერის აღმართით,
მაშინ სუფევდა სიყვარული დიდი და მკვეთრი,
ისიც სიყვარულს ტიტანივით ძალას ახმარდა.
მისი სიმაღლე იმედივით ეფარა ქალაქს,
სივრცეს ეპოქის ქარიშხლები გადაჰპიოდნენ,
მთელ საქართველოს ედებოდა ღვთიური ძალა
პოეტი-მეფის და ღმერთკაცი გალაკტიონის.

ბაზრენა

გრიგოლ აბაშიძეს

როგორც კაცის ტყეებში მუხა,
ისე დაეცით, მხოლოდ დროებით,
გარიდებული ჟამთასვლას მწუხარს,
არ გახდით მკვიდრი ამოების.
მართლა არ ჰგავდა ის წასვლა სიკვდილს,
ზუსტად უწოდეთ — იყო გაფრენა,
ყველაფერს მიხვდით,
წინასწარ მიხვდით,
როს ცა უკვდავთა ნათელს გაფენდათ.



საქრებულო
საქრებულო

■ **უმრავლესობის ტრიბუნა**

დავით ზურაბიშვილი: „ლაპარაკი ხელისუფლების პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე!“

13 ივნისის წარღვევა ის პრობლემები, რომლებსაც ბუნებრივად უპასუხისმგებლო დამოკიდებულება იწვევს, კიდევ ერთხელ შეგვახსენა. ამასთან, საზოგადოების ნაწილი აქცენტს შეცდომებზე აკეთებს. ნაწილი ხელს მერიისკენ იშვებს, ნაწილი კი, სამაშველო სამსახურს აკრიტიკებს. იზიარებს თუ არა ხელისუფლება ამ პრეტენზიებს და იყო თუ არა სტიქიის შედეგების თავიდან აცილება? — „ქართული სიტყვა“ საკრებულოს წევრს, მმართველი გუნდის წარმომადგენელს, დავით ზურაბიშვილს ესაუბრა:

— ბუნებრივია, 13 ივნისის ღამეს მომხდარი სტიქიური უბედურება საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. ბევრს ებადება შეკითხვა, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ყველაფერი ამის პრევენციის, მაგრამ სტიქია სტიქიაა და ადამიანებზე არაა დამოკიდებული, წვიმა თუ ქარიშხალი როდის იქნება. აქამდე არსებობდა სამეურნეო პოლიტიკა, რომლის იდეოლოგიაც მშენებლობა და ქალაქის განვითარება იყო.

— ბატონო დავით, საუბარი იქითკენ მივყავით, რომ სტიქიურ უბედურებაში წვლილი წინა ხელისუფლებას მიუძღვის?

— არ მინდა, ყოფილ ხელისუფლებას დავაბრალო, რადგან ეს ტენდენცია მას შემდეგ იგრძნობა, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ანუ ისეთ ფაქტორებს, როგორცაა გარემოს დაცვა, ეკოლოგია თუ ჰიდროლოგია ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ბოლო დროს თავიანთ მოსაზრებებს მედით გეოლოგები და ჰიდროლოგები გვიზიარებენ, თუკი ამდენი იყვნენ, არც მეგონა... ეს ხალხი თავის მოსაზრებებს ადრეც გამოთქვამდა, მაგრამ მშენებლობის დროს გარკვეული ნორმების დაცვა რომ იყო საჭირო, სამწუხაროდ, ზოგი არ ითვალისწინებდა... ის, თუ რა ნორმები ჩაიდებოდა კანონმდებლობაში, პროფესიონალებისა და სპეციალისტების გადასახვევითაა. ასეა თუ ისე, ის, რაც სტიქიის დროს რისკის წინაშე დაგვაყენებს, მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ.

— სტიქიურმა უბედურებამ ხელისუფლება დააბნია?

— დაბნეულობა არაფერ შუაშია. ასეთ დროს, ბუნებრივია, ხარვეზები და გადაცდომები ყოველთვის იქნება. რომელი ხელისუფლებაც უნდა ყოფილიყო, ენა არ მომიბრუნდებოდა, რომ სტიქიაში დამედანაშაულებინა. ქალაქის მერია და სხვადასხვა სამინისტრო დღესაც მობილიზებულად მუშაობენ. ასეთ დროს ბევრ წინააღმდეგობას ვაწყდებით და ხელისუფლების მოქმედება ყოველთვის კრიტიკის ობიექტი ხდება, მაგრამ სამაშველო სამსახურები გამართულად მუშაობენ.

გვეგონა, რომ სტიქიური უბედურება მსხვერპლს აღარ გამოიწვევდა, მაგრამ ზოოპარკიდან გამოქცეულმა ვეფხვმა კიდევ ერთი ადამიანის სიცოცხლე შეინარა. მთლიანობაში, ასეა თუ ისე, ყველა სახელმწიფო უწყება მაქსიმუმს აკეთებს, რომ დაზარალებულებს დახმარება გაუწიოს.

— ე.წ. ვეფხვის ტრაგედიის გამო კრიზისების საბჭოს ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს თუ ზოოპარკის დირექტორის?

— აქ ლაპარაკი ხელისუფლების პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზეა. სამართლებრივად,

„რესპუბლიკური პარტიის“ წევრები გიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის წინააღმდეგ ვიყავით. არ გვინდოდა, რომ გიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტროვიდან ასე ადრე გადადგარიყო. გვინდა თუ არა, ეს მთავრობა მისი ფორმირებულია და კოალიციაც ხელისუფლებაში სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოვიდა. ამიტომ ის პოლიტიკურ პასუხისმგებლობას არ გაუბრუნებ — ბატონი ივანიშვილი ხელისუფლებაში არაა და პასუხისმგებლობა გაინაც აკისრია. ამიტომ, ჯობია, მისი პოლიტიკაში ყოფნა რაღაც ფორმით ფორმალური იყოს, თუმცა განაცხადებ, ეს კალინინ უკიდურეს შემთხვევაში მოხდება, ანუ პოლიტიკაში დაბრუნების აუცილებლობას ჯერჯერობით თვითონ ვერ ხედავს.“

ივად, ვისი ბრალია, ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს. ასეთი უბედური შემთხვევის დროს, პოლიტიკურად პასუხისმგებელი, რა თქმა უნდა, ხელისუფლებაა. ზოოპარკის ადმინისტრაციამ პასუხი იმაზე უნდა აგოს, რაც მის ტერიტორიაზე ხდება. წინა ხელისუფლებას უყვარდა თქმა, ქართული სახელმწიფო შედგაო, რასაც ვეთანხმები და ვამბობ, რომ ამ ტრაგედიის ფონზე თუ რამე შეიძლება პოზიტიური იყოს, ისაა, რომ შედგა არა მარტო ქართული სახელმწიფო, არამედ, — ქართული საზოგადოებაც. ის ათასობით მოხალისე, რომელიც ტრაგედიის ადგილებში მიდის და თავდაუზოგავად მუშაობს, საოცარ ორგანიზებას ავლენს. ასეთი სოლიდარობის გამოხატვა ძალიან კარგი პრეცედენტია.

ასევე, მივესალმები პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებას, რომელიც ძველი ზოოპარკის ტერიტორიაზე სოლიდარობის პარკის აშენებას გულისხმობს. ეს ტერიტორია დიდი სარეკრეაციო ზონა რომ გახდეს, თბილისელებისთვის ყველაზე კარგი დასასვენებელი ადგილი იქნება.

— რომ არა საპროტესტო აქცია, ზურაბ გურიელიძის დაკავებას თქვენც ელოდით?

— არა, მის დაპატიმრებაზე ლაპარაკი არ ყოფილა, გამორიცხებულია! ნებისმიერ დროს, როცა სამოქალაქო მზაობა შედგება, თავისთავად, ძალიან კარგია. ხალხი მის დასაცავად გამოვიდა, მაგრამ ამის საჭიროება არ იდგა. არის ხოლმე მომენტები, რო-

ცა გარკვეული ეჭვი უსაფუძვლოდ ჩნდება. მართალია, გურიელიძე პროკურატურაში იყო დაბრუნებული და პრემიერთანაც, მაგრამ იმ მიზნით, რომ ცხოველების შესახებ სრული ინფორმაცია მიენდობინა. მისი დაპატიმრება აზრად არავის მოსვლია.

— ისე, ბატონო დავით, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია გვაქვს?

— თუ მხედველობაში ის გაქვთ, სტიქიური უბედურებას როგორ უნდა გავუმკლავდეთ, რაღაცეები, რა თქმა უნდა, გადასახედი და შესაცვლელია. მიზნის დასახვა საჭირო. ეროვნული უსაფრთხოება ძალიან ფართო მცნებაა და ბევრ რისკს მოიცავს. ყველამ იცის, რომ ადგილი, სადაც ცვხოვრობთ, სეისმურად აქტიური ზონაა. ასე რომ, ამ საკითხს მეტი ყურადღების დათმობა სჭირდება, რათა მოსალოდნელი პრობლემები შეძლებისდაგვარად აღმოვფხვრათ. რამდენადაც ვიცო, ამ მხრივ გარკვეული მუშაობა მიდის. პრევენციული ღონისძიებების დასახვა საჭირო. ახალი რეალობის შესაბამისად, ქმედითი ნაბიჯების გადადგმა აუცილებელია. ისე, რამდენადაც ვიცო, უსაფრთხოების კონცეფცია ზოგადად არსებობს.

— ბატონო დავით, რა ამის პასუხია და, „კაბელების საქმეზე“ დაპატიმრებული 5 ადამიანი სასამართლომ გირაოს გარეშე გაათავისუფლა, ანუ დამტკიცდა, რომ პროკურატურამ საქმე „შეკერა“?

— როგორ შეიძლება, ხელისუფლებამ, ან პროკურატურამ უკან დაიხიოს? საკითხი ასე არ უნდა დავსვათ. მიგვაჩნია, რომ გამოძიების პროცესში ბრალდებულების დაპატიმრება მიზანშეწონილი არაა. ამის შესახებ თინა ხიდაშელმა და გიგლა აგულაშვილმა განაცხადეს. ამიტომ პროკურატურის გადანაცვლებას მივესალმები. რაც შეეხება მათ ბრალულობის საკითხს, ამას სასამართლო გადაწყვეტს. მოხდება საქმის არსებითი განხილვა და გამოჩნდება, დამანაშავეები იყვნენ თუ არა. ერთი ცხადია: სასამართლოს დამოუკიდებლობის მხრივ სერიოზული წინსვლა გვაქვს. მიმაჩნია, რომ წინას-

წარი პატიმრობის ფორმა ძალიან იშვიათად, ანუ მაშინ უნდა იყოს გამოყენებული, თუ საქმე განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს.

— სასამართლომ ბრალდების მხარის მტკიცებულებები საკმარისად არ სცნო, ადვოკატების თქმით, ამ ადამიანების ბრალეულობა არ იკვეთება. ამიტომ არსებობს შანსი, რომ თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნები გამართლდნენ. ეს ხელისუფლების დამარცხება არ იქნება?

— ადვოკატები თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფთ ყოველთვის ამართლებენ, მაშინაც კი, როცა დანაშაული სახეზეა. „კაბელების საქმე“ ჯერ დასრულებული არაა და როცა ფინალში გავა, დასკვნები მერე გავაკეთოთ. ორივე მხარეს აქვს თავისი არგუმენტები, ყველაფერი დაიხილა და საზოგადოება შეაფასებს, ვინ მართალია და ვინ — მტყუანი. ისიც გაირკვევა, იქნება თუ არა ეს საქმე პოლიტიკური დაკვეთის საგანი.

— რამდენიმე დღის წინ, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, თუ აუცილებლობა გახდება, პოლიტიკაში მხოლოდ მაშინ დაბრუნდებით, ანუ უნდა ვივარაუდოთ, რომ ყოფილი პრემიერი დაბრუნებას აპირებს?

— ვერ გეტყვი. ისე, „რესპუბლიკური პარტიის“ წევრები მისი პოლიტიკიდან წასვლის წინააღმდეგნი ვიყავით. არ გვინდოდა, რომ ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრობიდან ასე ადრე გადადგარიყო. გვინდა თუ არა, ეს მთავრობა მისი ფორმირებულია და კოალიციაც ხელისუფლებაში სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოვიდა. ამიტომ ის პოლიტიკურ პასუხისმგებლობას არ გაუბრუნებ — ბატონი ივანიშვილი ხელისუფლებაში არაა და პასუხისმგებლობა მაინც აკისრია. ამიტომ, ჯობია, მისი პოლიტიკაში ყოფნა რაღაც ფორმით ფორმალური იყოს, თუმცა განაცხადებ, ეს ძალიან უკიდურეს შემთხვევაში მოხდება, ანუ პოლიტიკაში დაბრუნების აუცილებლობას ჯერჯერობით თვითონ ვერ ხედავს.

ესაუბრა ნათია ლუბანიძე

„თუ მხადველობაში ის გაქვთ, სტიქიურ უბედურებას როგორ უნდა გავუმკლავდეთ, რაღაცეები, რა თქმა უნდა, გადასახედი და შესაცვლელია. მიზნის დასახვა საჭირო. ეროვნული უსაფრთხოება ძალიან ფართო მცნებაა და ბევრ რისკს მოიცავს. ყველამ იცის, რომ ადგილი, სადაც ცვხოვრობთ, სეისმურად აქტიური ზონაა. ასე რომ, ამ საკითხს მეტი ყურადღების დათმობა სჭირდება, რათა მოსალოდნელი პრობლემები შეძლებისდაგვარად აღმოვფხვრათ. რამდენადაც ვიცო, ამ მხრივ გარკვეული მუშაობა მიდის. პრევენციული ღონისძიებების დასახვა საჭირო. ახალი რეალობის შესაბამისად, ქმედითი ნაბიჯების გადადგმა აუცილებელია.“



„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშენიერებაც სომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგო ლექსი

საქართველო
საქართველო

■ **საქართველო თემა**

„მთავრობა აბენტაჟითაა სავსე!“

ენერგეტიკის მეცნიერებათა დოქტორ მირონ ფირცხელანთან საუბარი 13 ივნისს, თბილისში მომხდარი სტიქიური უბედურებით დაიწყო, თუმცა ბოლოს, ისე მოხდა, რომ ჰესებსა თუ ენერგეტიკიდან სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაზე გადავიდეთ:

— პირველ რიგში, ვიტყვი, რომ ბოლო წლებში, საქართველოში ფესვი არაპროფესიონალიზმმა გაიდგა, რაც სამწუხაროა. როცა წყლის ხარჯსა და გვირგვინების კვეთზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად ჰიდროლოგიური პრინციპებიც უნდა გავითვალისწინოთ. ნებისმიერი გვირგვინის აშენებისას გასათვალისწინებელია, თუ მაქსიმალურად წყლის რა ხარჯს გაატარებს. ვერეს ხეობაში ასეთი გათვლები არ გაკეთებულა, პირიქით, ის კვეთებიც შეამცირეს, რომლებიც ჯერ კიდევ სსრკ-ს დროს არსებობდა.

— მდგომარეობის გამოსასწორებლად რა უნდა გაკეთდეს?

— აუცილებლად შესაცვლელია ამჟამინდელი არქიტექტურული და სამშენებლო ნაწილი. როგორც აღვნიშნე, გასათვალისწინებელია წყლის მაქსიმალური ხარჯიც. ახალი გზის აუცილებლობა შემოსხენებულ ასპექტების უგულვებელყოფას არ ნიშნავს.

ისიც აღსანიშნავია, რომ ვერეს ხეობაში მოსახლეობა საცხოვრებელ სახლებს უკანონოდ აშენებდა, რაზეც ხელისუფლებამ არ რეაგირებდა. მდინარე ვერეს კაშხლის ტიპის ჯებირი უნდა გაუკეთდეს, რომელიც შენაკადების ადიდების შედეგად დაგროვილ წყალს დაარეგულირებს. სხვათა შორის, ამ კაშხლის გამოყენება ენერგეტიკული თვალსაზრისითაც შეიძლება. მოკლედ, არსებული გვირგვინები გადასაკეთებელია.

— კაშხალი მდინარის რა მონაკვეთზე უნდა გაკეთდეს?

— ვერეს ზედა ნაწილზე, ბაგებისა და უნივერსიტეტის მიდამოებში, ადრე კაშხლის აშენება იყო დაგეგმილი, მაგრამ ხარჯების სიდიდის გამო გადაიფიქრეს, თუმცა დღევანდელმა ზარალიმა ხსენებული წყალსაცავის ასაგებად გამიზნულ ფინანსებს ბევრად გადააჭარბა.

ისე, ლაპარაკი რომელ კვლევებზეა, როცა მთელი გეოლოგიის ინსტიტუტი მოსპეს და აღარ არსებობს.

— ვინ მოსპო?

— წინა მთავრობამ, თუმცა ვითარება არც დღეს იცვლება.

— 13 ივნისის ტრაგედია, გავრცელებული აზრით, არასწორი სამშენებლო გათვლების შედეგია. საზოგადოების ნაწილი შიშობს, რომ ხუდონჰესის აშენებასაც დიდი უბედურება მოჰყვება... ბატონო მირონ, თქვენც ასე ფიქრობთ?

— ხუდონჰესზე ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება ცნობილია. ამიტომ ენერგეტიკის სამინისტრო და ხუდონის მშენებელი კომპანია დამიპირისპირდა, ჩემზე ზენოლასაც არ ერიდებოდნენ და სამსახურიდან გაშვებით მემუქრებოდნენ. ხუდონჰესის აშენება იმიტომ არ შეიძლება, რომ ფიასკოს შემთხვევაში, მთელი დასავლეთ საქართველო და შავი ზღვის სანაპირო დაზარალდება!

— ამ საფრთხის აცილება შესაძლებელია?

— საფრთხე მაშინ აღარ იარსებებს, თუ ჰესი სახეცვლილი პროექტით აიგება. კაშხლის სოფელ ხაიშის ზევით გადატანასა და სიმაღლის შემცირებას ვთავაზობთ. ამ გეგმის მიხედვით, მოსახლეობას გადასახლება არ მოუწევს და კაშხლის ზომაც შემცირდება. სინამდვილეში, ხუდონჰესის აშენება რუსული ინტერესია და დეკლარირებული ენერგეტიკული მოტივები სიცრუეა.

— ბატონო მირონ, საქართველოში არსებული თითქმის ყველა ჰესი პრივატიზებულია. ამას რითი ხსნი?

— ჰესების პრივატიზება, რა თქმა უნდა, მართებული არაა. მეტსაც გეტყვით, ეს არაკონსტიტუციური ქმედებაა. საქართველოს კონსტიტუციის მესამე მუხლის „ი“ პუნქტის თანახმად, ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა და საზღვაო პორტები სახელმწიფოსთვის სტრატეგიულ ობიექტებს წარმოად-

გენენ და მათი პრივატიზება არ შეიძლება! ამავე მუხლში წერია, რომ მხოლოდ საქართველოს უმაღლეს ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება: ერთიანი ენერგეტიკული სისტემა და რეჟიმი, რომელიც მოიცავს ელექტროსადგურებს, ქვესადგურებს, გადაცემის ხაზებსა და გამანაწილებელ ქსელებს. ზემოხსენებულის 98% გაყიდულია. პრივატიზების პროცესი, ძირითადად, სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს წარიმართა.

— სახელმწიფო ჰესების დაბრუნებას ცდილობს?

— ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს პოზიციაზე საუბარი იმიტომაცაა რთული, რომ ენერგეტიკის სახელმწიფოს ზურგს ამოფარებული პიროვნებები მართავენ და არსებულ რესურსებს სათავისოდ იყენებენ. საქართველო საკმაოდ მდიდარი ქვეყანა იქნებოდა, ჰესები პრივატიზებული რომ არ იყოს. სამწუხაროდ, საზოგადოება, მათ შორის, მოაზროვნე ინტელიგენცია, საკმოდ პასიური და სუსტია. ამიტომ, იძულებულნი ვხდებით, რეალიზებთ შევეგუოთ. მოკლედ, ქართული საზოგადოება ბატონყმობისკენაა მიდრეკილი.

— ენერგეტიკის მართვის უფლება, ქართულ მხარესთან ერთად, რუსულ „ინტერრაი“-საც მიეწიება...

— გამომუშავებული ელექტროენერჯის 40% აფხაზებს მიეწიება...

— ბატონო მირონ, ხელისუფლებამ ელექტროენერჯიანი ტარიფის შესაძლო გაზრდა დაანონსა...

— ტარიფის შესაძლო გაზრდის მიზეზი კორუფციაა. საქართველოში ელექტროენერჯის მთავარი დისტრიბუტორი ორი კომპანიაა: „ენერჯო პრო გეორჯია“ და „თელასი“, სწორედ ამ ორგანიზაციებზეა დამოკიდებული ტარიფის გაზრდის საკითხი. ენერგეტიკოსებს მიგვაჩნია, რომ ტარიფების ცვალებადობას კომპანიები და ჩინოვნიკები არ უნდა წყვეტდნენ, ამას თავისუფალი ბაზარი უნდა პრეგულირებდეს. ჩვენს ქვეყანაში ენერგეტიკის სფერო მონოპოლიზირებულია და ამიტომ არაფერი უნდა გვიკვირდეს.

— როცა თითქმის ყველა ჰესი არსებული კომპანიების მფლობელობაშია, კონკურენტული ბაზრის შექმნა შესაძლებელია?

— თუ ხელისუფლებას სურვილი ექნება, კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბება თავისუფლად შეიძლება. მაგალითად, ჩამოყალიბდეს რამდენიმე კომპანია, რომელიც ელექტროენერჯის დაბალი ტარიფით გაყიდოს. ამასთან, ქართველ ენერგეტიკოსებს გვაქვს სქემა, რომლის მიღებაც მთავრობას არ სურს.


— ბატონო მირონ, დასაშვებია, რომ მაგალითად, „თელასი“ აბონენტებს ზედმეტ გადასახადს „აწერდეს“?

— ეს აღრიცხვიანობის სისტემაზე, კომპანიის კეთილსინდისიერებასა და მაკონტროლებელ ორგანოზეა დამოკიდებული. მაკონტროლებელი ორგანო მარეგულირებელი კომისიაა, რომლის „კარგ“ მუშაობაზეც უამრავი პასუხისმგებელი საჩივარი მეტყველებს.

— ესე იგი, ენერგოკომპანიების მხრიდან გადაცდომის ფაქტები არსებობს...

— რა თქმა უნდა, სხვა შემთხვევაში, მარეგულირებელი კომისიაში სამიზნეობი არ შევიდოდა... სამწუხაროდ, მარეგულირებელი კომისია ყოველთვის ხელისუფლების პოლიტიკის გამტარებელია და არაა თავისუფალი, მთავრობაში კი, გარკვეულ ძალებს მიმდინარე მოვლენები აწყობთ. სხვათა შორის, „თელასს“ ტარიფი იმიტომ უნდა დაენია, რომ ჰესების ალდგენისთვის გამოყოფილი 80 მილიონი უკვე აინაზღაურა, თუმცა პირიქით, ტარიფის ზრდის ტენდენციაზე ალაპარაკდნენ.

— რა ამის პასუხია და, ხმა დადის, კვირ-



„მთელი დასავლეთ საქართველო და შავი ზღვის სანაპირო დაზარალდება!“ — ენერგეტიკის მეცნიერებათა დოქტორის, მირონ ფირცხელანის სახელმწიფო ბანკის ბანკაბეჭედი

აზე მეტია, აზერბაიჯანიდან ნავთობი აღარ მოგვეწოდებაო. თქვენც ხომ არაფერი გსმენიათ?

— ყველაფერი მოსალოდნელია იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში ნავთობპროდუქტებზე მონოპოლიზირებულია. კაცმა არ იცის, რას გადაწყვეტენ ის კორუფციული ორგანოები, რომლებიც ამ სისტემაში არიან ჩართულნი.

— „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება სანავთობის გაიაფება იყო...

— საარჩევნო კამპანიისას, ყველა პოლიტიკური ძალა, იაფფასიან დაპირებებს იძლევა.

— ამ დაპირების შესრულება შეუძლებელია?

— არა, თუმცა ფასი არ შეამცირეს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ იგივე სქემა მუშაობს, რომელიც წინა ხელისუფლების დროს იყო.

— „ნაბუქო“-ს გაზსადგენის პროექტის ალდგენა მოსალოდნელია?

— დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დაპირისპირება არ ცხრება, მსოფლიო გასაღების ბაზრებისთვის იბრძვის. ამ ვითარებაში დიდ როლს ირანი და არაბეთის ქვეყნები თამაშობენ. „ნაბუქო“-ს პროექტი საერთაშორისო მოთამაშეების განზრახვებზეა დამოკიდებული და ისიც რთული განსასაზღვრია, ჩვენს ქვეყანას რა სარგებელს მოუტანს.

— საერთაშორისო ენერგეტიკული ბაზრიდან რუსეთის გამორიცხვა, თქვენი აზრით, შესაძლებელია?

— ვიდრე გაზი და ნავთობი საჭირო იქნება, რუსეთის გამორიცხვა ვერ მოხერხდება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ აშშ ახლო აღმოსავლეთთან ურთიერთობას დაათბობს. მიუხედავად ამისა, რუსეთის ცუდ მდგომარეობაში ჩაყენება სავსებით შესაძლებელია.

— როგორ?

— რა თქმა უნდა, ნავთობის ფასების დაგდება, მაგრამ ეს სიტუაცია გარკვეული ალბათობით დიდ მასშტაბიან ომს გამოიწვევს და გამოირიცხული არც ატომური დაპირისპირებაა.

— რუსეთი პოზიციებს ამ საფრთხის შიშით მაინც არ დათმობს?

— არ ვიცი, რუსეთი დასავლეთს რამდენად გონივრულ წინააღმდეგობას გაუწევს.

— ბატონო მირონ, მზის, ქარისა და სხვა ალტერნატიულ ენერჯიაზე რას იტყვით?

— ალტერნატიულ ენერჯიას მომავალი, მათ შორის, საქართველოშიც აქვს. ყველაფერი ეს ტექნოლოგიების განვითარებაზეა დამოკიდებული და სამწუხაროა, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარება ფერხდება — ყოველი ხელისუფლება დირექტივებს ქვეყნის გარედან იღებს და მთავრობა აგენტებიათა სახე. სახელმწიფო, რომელიც მეცნიერებას ყურადღებას არ აქცევს, ვერ განვითარდება. საქართველოს მეცნიერება მანანალას რაღაცაა. ამიტომ, ბევრი თავის გადასარჩენად საზღვარგარეთ გარბის. არაფერი ვითარდება, არც — სოფლის მეურნეობა და

არც — მრეწველობა. ამ ვითარების დასასრული კი ენის, რელიგიისა და ეროვნების დაკარგვა იქნება. დარჩა უკანასკნელი იმედი: ღმერთი, პატრიარქი და სალად მოაზროვნე ქართველების ნაწილი. პატრიარქი პოლიტიკაში არ ერევა, მაგრამ ქვეყნის გადამრჩენია და თუ ამას პოლიტიკა ჰქვია, მაშინ უდიდესი როლი აქვს!

— ბატონო მირონ, მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგია არაა და ქვეყანაში სხვა რელიგიური ჯგუფებიც არსებობენ...

— საქართველო მართლმადიდებლური სახელმწიფოა, მაგრამ ეს, უბრალოდ, დეკლარირებული არ არის. ამასთან, საქართველო, თავისი ტოლერანტობით, მთელ მსოფლიოში გამოჩნეულია.

— ტოლერანტობაზე შარშან, აჭარაში, მედრესებზე დაკიდებული ღორის თავი გამაასხენდა...

— უნდა გაირკვეს, ეს ვისი გაკეთებულია, მართლმადიდებლობას არაკეთილსმისურნეები ჰყავს... ეს ხელოვნურად ორგანიზებული იყო.

— მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება როგორ გეგმათ, როცა საქართველოში 400 ათასამდე მუსლიმი ცხოვრობს?

— ჩვენს ქვეყანაში დაპირისპირება ხელოვნური ცნებაა... მართლმადიდებლობა მსოფლიოს გადამრჩენი რელიგიაა.

— სახელმწიფო საპატრიარქოს უნდა აფინანსდეს?

— თუ სახელმწიფო მართლმადიდებლურია, დაფინანსებაზე საუბარი არც უნდა იყოს.

— ვერ გავიგე, უნდა აფინანსდეს თუ არა?

— როგორც სახელმწიფო უზრუნველყოფს საკუთარ თავს, ასევე უნდა უზრუნველყოს ეკლესიაც. ისინი განუყოფელი უნდა იყვნენ.

— ჩვენი სახელმწიფო თეოკრატიული არაა...

— საქართველო ერთი რელიგიის მატარებელი უნდა იყოს და სხვა რელიგიების ალმატებულობაზე საუბარი არ შეიძლება.

— თქვენი აზრით, საზოგადოებას თეოკრატიული მმართველობა უნდა?

— გარე ძალები მართლმადიდებლობის დასახიჩრებას ცდილობენ და ამ მიზანს საკმაოდ დიდი გაკლენის მქონე ორგანიზაციები ემსახურებიან. ამ სიტუაციაში, ვინმეს უფლების დაცვაზე არ უნდა ვისაუბროთ... საბერძნეთშიც დიდი პრობლემები აქვთ — ამბობენ, რომ ახალგაზრდები წირვაზეც კი აღარ დადიან.

— ყველაფერ ამაში დამნაშავე ვეგებ, ზოგიერთი სასულიერო პირიცაა, რომელნიც თავს, მინიმუმ, ძვირადღირებული ავტომობილებით ინონებენ...

— ეკლესიის წინააღმდეგ არსებული ორგანიზაციების მიზანია, ის შიგნიდან გატეხონ. ამ მრავალჯერ ხსენებული ორგანიზაციების მხარდამჭერი ეკლესიის შიგნიდან არიან...

ესაუბრა ღაბიატ ბალაშვილი

SOS!

ტურისტული სეზონი უკვე დადგა. ყველა, ვინც ქართულ ეკონომიკაში, ასე თუ ისე, ერკვევა და ისიც გააზრებული აქვს, თუ რა დღეშია ქვეყანა, იმედს ზაფხულზე ამყარებს და ამბობს, ღირს ეშვებოდეთ... ერთი შეხედვით, ყველაფერი რიგზეა: თითქოს მთავრობაც მობილიზებულია, რომ ზაფხული ქვეყანამ წარმატებით „გადალახოს“, მაგრამ მხოლოდ „ერთი შეხედვით“: მაშინ, როცა ხელისუფლება ეკონომიკის გაძლიერებასა და რეგიონების განვითარებაზე ზრუნავს, რეალობა გვაჩვენებს, რომ საქმე არცთუ კარგადაა.



ბაზალეთის ტბა კვდება!

დაჭაობების პარალელურად, ტბის გარშემო საფენელო საფუძვლიანი მიწისფარობა

„დასიცხული“ თბილისისთვის ერთ-ერთი ტრადიციული „გადაღრმავება“ ბაზალეთის ტბა კვდება. ნებისმიერ ადგილობრივს რომ ჰკითხოთ, თუ რა ჰქვია ბაზალეთის ტბის გარშემო დასახლებულ ადგილებს, გიპასუხებთ, ნატბურო. დიდი ხანია არ სჭირდება და ტოპონიმიც გვეუბნება, რომ იყო დრო, როცა ბაზალეთის ტბა გაცილებით დიდ ტერიტორიას იკავებდა, მაგრამ დროთა განმავლობაში, ჯერ დაჭაობდა, შემდეგ კი, თითქმის დაშრა. ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს და არაა გამორიცხვად, რომ რამდენიმე წლის შემდეგ, აქაურობა მთლიანად ჭაობად გადაიქცეს.

შეიწვევებული „ჰქონდა“, ახლა კი, შეუქცევადი პროცესია დაწყებული და იმის იმედიც აღარ გვაქვს, რომ ტბას გადავარჩენთ. როგორც ვიცით, თავის დროზე ტბის მოვლა-პატრონობა და წყალმცენარეებისაგან განსვენდა იმ ფორმას დაევალა, რომელმაც ბაზალეთზე სასტუმრო კომპლექსი ააშენა. მაშინ იმასაც ამბობდნენ, რომ ტბა 25-წლიანი იჯარით გაიცა...

სპეციალისტები და ბუნების დამცველები სასწრაფოდ გადაჭრული ზომების მიღებას და გადაუდებელი სამუშაოების დაწყებას ითხოვენ. პირველ რიგში, ტბა წყალმცენარეებისაგან უნდა გაიწმინდოს. არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა ასოციაცია-ბაზალეთის“ დამფუძნებელი ნინო ხეხელაშვილი საგანგაშოს უწოდებს ბაზალეთის ტბის მდგომარეობას და სახელმწიფოს გადამჭრული ზომების მიღებას სთხოვს: „ბუნების ცნობილ დამცველს, ნინო ჩხობაძეს მივმართეთ და ტბის მდგომარეობის შესწავლა ვთხოვეთ. როგორც ვიცით, მოკვლევა უკვე დაწყებულია და შესაბამისი დასკვნაც მალე დაიდება. რადგან ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაცია ფინანსურად გამართული არაა, იძულებული ვართ, დახმარება სხვებს ვთხოვეთ.

ასეთი ინფორმაცია ჩვენც გვქონდა, მაგრამ როცა დავინტერესდით, ამდენი წლის შემდეგ, ამის დადგენა გაგვიჭირდა. შესაბამისი დოკუმენტაცია ისეა გადაძალადებული, რომ მოძიება ვერ შეეძლებოდა. — ვინ გადაძალა? — სავარაუდოდ, ილია მოშიაშვილია, რომელიც სასტუმრო კომპლექსის მფლობელია. — წლების წინ, როცა ამ საკითხით დავინტერესდით, მითხრეს, ტბაში იმ სახეობის თევზის მილიონობით ლიფსიტა გაუშვეს, რომელიც წყალმცენარეებით იკვებებოდა... — დიახ, გაუშვეს, მაგრამ ცოტა რომ გაიზარდნენ, ისევ თვითონ დაიჭირეს და სასტუმროს დამსვენებლები გამოკვებეს. ახლა, რამდენადაც ვიცით, ტბაში თევზი თითქმის არ ბინადრობს.“

საქმის კურსში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო არ ჩააყენეთ? — როცა სპეციალისტების დასკვნა გვექნება, გარემოს დაცვასაც მივმართავთ, თუმცა ნახევარი თბილისი მთელ ზაფხულს ბაზალეთის ტბაზე ატარებს და სამინისტროში არ იციან, რომ დიდი ხანია, ტბაზე სუფთა წყალი არავის უნახავს? — თქვენი აზრით, ამის მიზეზი რა არის? — რა და, — წყალმცენარეები, რომლებიც წლების განმავლობაში არ გაუწმენდათ. კომუნისტების დროს, ყოველი სეზონის დასაწყისში, ტბა წყალმცენარეებისაგან იწმინდებოდა და ამიტომ ბაზალეთს კვდომა

იმის გარკვევას, ნამდვილად აიღეს თუ არა პასუხისმგებლობა სასტუმრო კომპლექსს „ბაზალეთი პალასის“ დამფუძნებლებმა ტბის მოვლა-პატრონობაზე, რა თქმა უნდა, „ქართული სიტყვავე“ შეეცადა, მაგრამ ვერაფერი გაარკვია — კონტაქტზე, უბრალოდ, არავინ გამოვიდა. სახელმწიფოსა და ბიზნესმენს შორის არსებულ გარიგებაზე არაფერი იცის დუშეთის საკრებულოს დეპუტატმა ვაჟა ჭინჭარაულმა და ამბობს, რომ შესაბამისი დოკუმენტაცია ვერც მან მოიპოვა. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ თავის დროზე ასე ზარზემით დადებული პირობები, მხოლოდ პიარისა და მშენებლობის ნებართვის გაცემისთვის იყო განკუთვნილი და მისთვის დოკუმენტის სახე არავის მიუცია. დაჭაობების პარალელურად, ბაზალეთის ტბის გარშემო გაბალებული სამშენებ-

ლო სამუშაოები მიმდინარეობს — შენდება მცირე ზომის სასტუმროები, კაფე-ბარები. ერთი სიტყვით, ამღვრული ტბა დასვენებელს ელოდება, თუმცა აქაც საქმე დიდ დარღვევებთან გვაქვს! ნინო ხეხელაშვილი: „— ბაზალეთის ტბის ტერიტორიაზე ყველა მშენებლობა კანონდარღვევით მიმდინარეობს. — რას გულისხმობთ? — კანონით, სანაპიროდან 50 მეტრი პლანეტის ტერიტორიაა, 100 მეტრის რადიუსით კი, ნებისმიერი მშენებლობა იკრძალება. — ეს სტანდარტები დარღვეულია? — რა სტანდარტებზეა ლაპარაკი, როცა ზოგიერთი მშენებელი შენობას პირდაპირ წყალში აშენებს. ამას რომ თავი დავანებოთ, რამდენიმე ადგილას, პირდაპირ წყალში ჩაყრილი სამშენებლო ნაგავიც ვნახე. — მერე, პასუხს არავინ თხოვს? — რამდენადაც ინფორმაცია მაქვს, დუშეთის საკრებულო ამ თემაზე მუშაობს და, ალბათ, შესაბამის დასკვნებსაც დადებს.“ როგორც „ქართულმა სიტყვამ“ გაარკვია, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ამ საკითხზე, მართლაც, მუშაობს, მაგრამ მშენებლებს ვერაფერს უშლის იმიტომ, რომ შესაბამისი ნებართვა კანონის სრული დაცვით ჯერ კიდევ ექვსი-შვიდი წლის წინ-

აა გაცემული. საკრებულოს კანონდამრღვევის მხოლოდ დაჯარიმება შეუძლია. ვაჟა ჭინჭარაული, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი: „— ბაზალეთის ტბაზე მშენებლობის ნებართვები აშკარად კანონდარღვევითაა გაცემული, მაგრამ ახლა ამის დამტკიცება აღარ შეგვიძლია... ტბას აშკარად სჭირდება გადარჩენა. საკრებულოში უკვე მიმდინარეობს ე.წ. გენგეგმის შემუშავება და თანხების მოძიება, რათა ტბას ერთხელ და სამუდამოდ მივხედოთ, მით უმეტეს, რომ ბაზალეთი ჩვენს მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილია.“ ახლა, როცა თბილისში მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა, როცა პარლამენტი ბიუჯეტის კორექტირებაზე მუშაობს, ძნელია, იმაზე ისაუბრო, ბაზალეთის ტბის გადასარჩენად დუშეთის მუნიციპალიტეტი თავისუფალი თანხების მოძიებას შეძლებს თუ ვერა, მაგრამ არის საკითხები, რომელთა სამომავლოდ გადადებამაც შეიძლება, კატასტროფული შედეგები მოგვიტანოს. ამიტომ, ვისაც ხელნაწივება, ჯერ ბაზალეთის ტბის გადასარჩენაზე უნდა იზრუნოს, მერე კი, ინფრასტრუქტურულ პრობლემებს მიხედოს!

სტოპადრი

პარლამენტის დიასპორის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე თემურ ჭკუასელი აცხადებს, რომ მთის რეგიონების განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელი დიდი სიამოვნებით იქნებოდა.

თემურ ჭკუასელი მთის მინისტრობა უნდა



როგორც ყურნალისტებს ჭკუასელმა განუცხადა, ის „მთის მინისტრის“ სახელწოდებას იუმორით უყურებს, მაგრამ თავად უწყების ამოცანებს სერიოზულად განიხილავს. ჭკუასელის განცხადებით, უმრავლესობაში იდეა არსებობს, რომ ისეთი დანაყოფი შეიქმნას, რომელიც მაღალმთიანი რეგიონების განვითარებაზე იმუშავებს. კანონმდებლის ცნობით, ის რეგიონებს ძალიან კარგად იცნობს, შესაბამისად, ამ უწყებას დიდი სიამოვნებით ჩაიბარებდა. უმრავლესობაში იდეა არსებობს, რომ მაღალმთიანი რეგიონების განვითარების სამინისტრო შეიქმნას.

ბაქოში მიმდინარე ევროპული თამაშების მეათე დღეს, საქართველო 7 მედლით და პირველი რეკორდით ხვდება. სალომე ფაფავას მედლის შემდეგ, სიგრძეზე მსტომელმა ბაჩანა ხორავამ რეკორდი დაამყარა. სორავა 7.64 მეტრზე გადასტა და პირველ ადგილზე გავიდა, მისმა წარმატებამ საქართველოს მძლეოსანთა გუნდს 14 ქულა მოუტანა. აზერბაიჯანის დედაქალაქში ევროპის თამაშები 2015 წლის 12 ივნისს გაიხსნა. 17 დღის განმავლობაში 6000-ზე მეტი ათლეტი სპორტის 19 სახეობაში 239 მედლის მოსაპოვებლად იბრძოლებს.

ბაქოში ქართველმა მძლეოსანმა რეკორდი დაამყარა



„დიდი ხანია, ტბაზე სუფთა წყალი არავის უნახავს. ამის მიზეზი კი, წყალმცენარეობაა, რომლებიც წლების განმავლობაში არ გაუწმენდათ. კომუნისტების დროს, ყოველი სეზონის დასაწყისში, ტბა წყალმცენარეებისაგან იწმინდებოდა და ამიტომ ბაზალეთს კვდომა

„ინფორ“

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას სომ შენით ითქვა; დადება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგო ლექსი



საქართველო. საქართველო. საქართველო.

საზოგადოება

სტიქიისგან გამომწვეული პირველი ემოცია ნელ-ნელა დაცხრა. ახლა ცივი გონებით უნდა განაზოგადდეს, რა სწორად გაკეთდა და რა — არა. ზოგიერთი სტრუქტურის უნიათობას, სამწუხაროდ, კიდევ ერთი ადამიანის სიცოცხლე შეენირა — ზოოპარკიდან გამოქცეულმა ვეფხვმა დაგლიჯა. ამის შემდეგ, დაზუსტებული ინფორმაცია მოგვანადგეს, რამდენი ცხოველი დადის თავისუფლად და რამდენია ვოლიერში. ისიც ვიცით, რომ ზოოპარკის ბევრი მკვიდრი დაიღუპა, მაგრამ არავინ იცის, სად დამარხეს (ან, დანვეს). ისიც საინტერესოა, თუ ვინ უწევდა ზემოხსენებულ პროცესს მონიტორინგს. ეს საკითხი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მთელი ქვეყანა ეპიდემიის საფრთხეზე ლაპარაკობს... მოკლედ, მკვდარი ცხოველების „ბედის გარკვევა“ „ქართულმა სიტყვამ სცადა და თავდაპირველად ზოოპარკის დირექტორს, ზურაბ ბურიძეს დაუკავშირდა:

- გამარჯობა, ბატონო ზურაბ, გაზეთ „ქართული სიტყვიდან“ გირეკავთ, რამდენიმე შეკითხვა მაქვს...
- გისმენთ... კი ბატონო...
- სტიქიის დროს დაღუპული ცხოველები სად დამარხეთ?
- სამწუხაროდ, არ ვიცი. ამ შეკითხვით შსს-ს უნდა მიმართოთ.
- დაღუპული ცხოველები შესაბამისმა სამსახურებმა აღრიცხეს?
- ესეც შსს-სთან გაარკვეით.
- სტიქიამდე ცხოველებს სად მარხავდით?

— ან სპეციალურ სამარხებში, ან კრემაციას ვუტარებდით. როგორც ზურაბ გურიელიძემ დამაკავალიანა, დაკავშირება შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, ნინო გიორგობიანთან ვცადე. პირველი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა... ამიტომ, ზოოპარკის პრეს-სამსახურის უფროსს, მზია შარაშენიძეს დაუკავშირდი, რომლის პასუხიც ზურაბ გურიელიძის პასუხისგან განსხვავებულია:

- როგორც ვიცი, დაღუპული ცხოველები მერიის დასუფთავების სამსახურსა და 112-ს „გადაჰყავდა“ დასამარხად. ამიტომ, მერიის პრეს-სამსახურს დაუკავშირდი.
- აქამდე ცხოველებს სად მარხავდით?
- გლდანის ტერიტორიაზე, სპეციალურ სამარხებში.

„ქართული სიტყვა“, როგორც მზია შარაშენიძემ გადაგვამისამართა, თბილისის მერიის პრეს-სამსახურის წარმომადგენელს, რიტა ყაველაშვილს დაუკავშირდა: — დაღუპული ცხოველები მერიის დასუფთავების სამსახურმა ნორიოს ტერიტორიაზე, ვეტერინართა ზედამხედველობის ქვეშ დამარხა და მათი კრემაცია დღეს (ჩვენი საუბარი 18 ივნისს შედგა — დ.გ.) დაიწყო. — ესე იგი, ინფექციის გავრცელების საფრთხე არ არსებობს? — არა, პროცესი ყველა წესის დაცვით ჩატარდა და, შესაბამისად, საშიშროებაც არ არსებობს.

ინფექციის გავრცელების ალბათობის საკითხი ქვემოთ განვავრცოთ. მანამდე კი, შსს-ს და მის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს დაუბრუნდეთ — ნინო გიორგობიანმა თავისი თანამშრომლის, მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველო უფროსის, თამარ მამათელაშვილის ტელეფონის ნომერი მოკლე ტექსტური შეტყობინებით გამოგიგზავნა, რადგან თვითონ თათბირზე იყო და ვერ დამელაპარაკებოდა.

- თამარ, ზოოპარკის დირექტორმა შსს-სთან გადმოამისამართა. დაღუპული ცხოველების დამარხვის თაობაზე რა ინფორმაციას ფლობთ?
- დავაზუსტებ ვისი კომპეტენციაა და



სად დამარხეს სტიქიის დროს დახოცილი ცხოველები



ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს კოლსალური ბიუჯეტი და „მოჯადოებული წრე“

დაგირეკავთ. რამდენიმე წუთის შემდეგ, ტელეფონი რეკავს. თამარია შსს-დან: — სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს, მინდია ჯანელიძის უწყებას უნდა დაუკავშირდეთ... შსს-ს ამასთან დაკავშირებით სხვა ინფორმაცია არ აქვს. ნატო ნიჟარაძე, მინდია ჯანელიძის უწყების პრეს-სამსახურის ხელმძღვანელი: — დაღუპული ცხოველები მერიის დასუფთავების სამსახურს უნდა დამარხდეს... ის იყო პასუხისმგებელი. — ამ პროცესს ვინმე მონიტორინგს უწევდა? — ყველაფერი წესების დაცვით მოხდა. — იქნებ, იმ პირობებში დამაკავშიროთ, ვინც დამარხვას მეთვალყურეობდა? — ეს თვითონ გაარკვეით... მერიის ცხელი ხაზი ყველამ იცის. და ამ მომენტიდან დაიწყო „წრეზე ტრაილი“: დავრეკე მერიის ცხელ ხაზზე, სადაც პასუხი არაფერზე ჰქონდათ. დამაკავშირეს ცხოველების მონიტორინგის დეპარტამენტთან, თუმცა ტყუილად. მოკლედ, ათეულობით ზარის მიუხედავად, ვერ დავაგდინე, ვინ მეთვალყურეობდა ცხოველების დამარხვის პროცესს. ბოლოს, „National Geographic“-ის რედაქტორს, ლევან ბუთხუზს დაუკავშირდი, თუმცა ცხოველების დამარხვის შესახებ მანაც არაფერი იცოდა და მირჩია, ვეტერინარს დაკავშირებოდი. ვეტერ-

ინგის სამსახურის ბიუჯეტი, რომლის თაობაზეც ქართული საინფორმაციო სააგენტო „ტიმბერი“ წერს: „2014 წლის 12 დეკემბრის N17/56 დადგენილების თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი — ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო შეიქმნა, რომლის ერთ-ერთი ხმაურიანი საქმე ნუცუბიძე დღისი, ყველას, მათ შორის ბავშვების თანდასწრებით, დაახლოებით, 25 ძაღლის იარაღით

სტოპკადრი

პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის მეუღლე აცხადებს, რომ მისი ქმრის გლდანის ციხეში გარდაცვალება ბაჩო ახალაიას და მეგის ქარდავას მიერ სასტიკი წამებას უკავშირდება. ამის შესახებ ნანა თეთრაძემ საქალაქო სასამართლოში ე.წ. ჯაშუშების წამების საქმეზე ბრალდებულ ბაჩო ახალაიას, მეგის ქარდავას და ნიკა ძიმცივიშვილის პროცესზე მიცემული ჩვენებისას განაცხადა. როგორც ნანა თეთრაძემ აღნიშნა, 2011 წლის 17 სექტემბერს, სერგო თეთრაძის დაბადების დღეს, დღის 6 საათზე მათთან, სახლში მივიდა 5-6 პირი, რომლებმაც სახლი გაჩხრიკეს, ნივთები ამოალაგეს და მათ შორის ოჯახის წევრებმა ნახეს ნივთი მესხიერების ბარათი, რომელიც ოჯახს არ ეკუთვნოდა. ნანა თეთრაძის თქმით, სერგო თეთრაძე წაიყვანეს და შემდგომ შეიტყო, რომ იგი წინასწარი დაკავების იზოლატორში იყო მოთავსებული. ვიდრე იზოლატორზე ინფორმაციას მიიღებდა, როგორც ნანა თეთრაძე ამბობს, გამოძიებლისგან შეიტყო, რომ მის მეუღლეს უფროსები კითხავდნენ. „მას შემდეგ, რაც შევეკითხე, რომელ უფროსებს გულისხმობდა, გამოძიებელმა მითხრა, რომ მეგის ქარდავა და ბაჩო ახალაია კითხავდნენ. შემდეგ მეზობლებმა მირჩიეს ადვოკატის აყვანა. ადვოკატმა სერგო მოინახულა წინასწარი დაკავების იზოლატორში და როდესაც გამოვიდა, მითხრა, რომ საშინელი დაზიანებები ჰქონდა მიყენებული, მათ შორის, გატეხილი ჰქონდა ცხვირი. შემდეგ ჩაინიშნა ალკოჰოლის ლონისიების პროცესი, სადაც ჩემი მეუღლე ძლივს ვიცანი, ისეთ მდგომარეობაში იყო. 23 სექტემბერს კი შემატყობინეს, რომ იგი გარდაიცვალა გულით, თუმცა ჩემს მეუღლეს გული არასდროს ანუხებდა“, — განაცხადა ნანა თეთრაძემ. მან სასამართლოს წარუდგინა ფოტომასალა, რომელიც სერგო თეთრაძის დაკავებამდე და გარდაცვალების შემდეგ ჰქონდა გადაღებული. ფოტომასალაზე სახის არეში არსებული დაზიანებებია ახალაიას. ნანა თეთრაძემ ისაუბრა წამების მეთოდებზეც. როგორც მან აღნი-

დახოცვის ფაქტი იყო. ეს ის ინფორმაციაა, რომელიც მონიტორინგის სამსახურის წარსულ საქმიანობაზე ინტერნეტში იძებნება. დადგენილების თანახმად, რომელიც აღნიშნული სამსახურის მოვალეობებს და ვალდებულებებს განსაზღვრავს, მისი უფლებამოსილებაა, ფლობდეს სტატისტიკურ მონაცემებს დედაქალაქში არსებული ცხოველების შესახებ, გადაუდებელ სიტუაციებში სწრაფი რეაგირება მოახდინოს, გააანალიზოს სიტუაცია და შესაბამისად იმოქმედოს...

მონიტორინგის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, უწყების 2015 წლის ბიუჯეტი 2 914 000 ლარია. აქედან 2 237 616 ლარი თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების დაფინანსებას. შრომის ანაზღაურებიდან თანამდებობრივ სარგებზე — 337 536, ხოლო დანამატებზე — 35 000 ლარი. 1 იანვრიდან 1 აპრილამდე ცხოველთა კვებასა და ვეტერინარულ დახმარებაზე უწყებამ 25 136 ლარი დახარჯა. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო 2 950 ლარია. ამასთან, იგი ყოველთვიურ დანამატს იღებს 2 950 ლარის სახით, ჯამში — 5 900 ლარს. დირექტორის ორი მოადგილის თანამდებობრივი სარგო 2 800-2 800 ლარს შეადგენს, ხოლო დირექტორის თანამშრომელი — 1 680-ს. ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობრივი სარგო 2 400 ლარია. ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს სამიწლიანი ხარჯისთვის 10 000 ლარია გამოყოფილი. რაც შეეხება საოფისე ხარჯს, ის 200 998 ლარს შეადგენს. ინვენტარიზაციის გზით ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოსთვის მუნიციპალიტეტისგან გადასაცემ ქონებას შორისაა 1 385 ლარის ღირებულების Iphone და 1 710 ლარის ღირებულების Iphone 5s, 32GB. შინაური და გარეული ცხოველების კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტის სარგებლობაში არსებულ ავტომობილებს შორისაა 13 010 ლარის ღირებულების BMW X5“.

მოკლედ, როგორც იტყვიან, კომენტარი თქვენთვის მომინდვია!

დავით გალავშილი

სერგო თეთრაძის მეუღლე ბაჩო ახალაიას და მეგის ქარდავას ბრალს სდებს

შნა, ადვოკატისგან აქვს ინფორმაცია, რომ სერგო თეთრაძეს პოლიეთილენის პარკი რამდენჯერმე ჩამოაცვეს თავზე, სუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ, რათა მისგან ჯაშუშობის ბრალდებაზე აღიარებითი ჩვენება მიეღოთ. ასევე, ნანა თეთრაძის თქმით, გარდაცვლილი სახლში მისავეწეს სულ სხვა ტანსაცმლით, ხოლო ფეხსაცმელზე, რომელიც მას ეცვა, სისხლის ლაქები შეინიშნებოდა.

ნანა თეთრაძის დაკითხვას არ დასწრებია თავად ბრალდებული ბაჩო ახალაია, რომელმაც პროცესი დაწყებისთანავე პროტესტის ნიშნად დატოვა.

„მინდოდა ახალაიასთვის თვალბეჭეტი ჩამეხედა და მეკითხა, რატომ მოკლა ჩემი ქმარი. სასამართლო დარბაზში შემოსვლამდე შემხვდა ერთი ქალი, რისი მოწვევაც არის მანდატური და მან მითხრა, რომ ვარ დაქორავებული და ფული მაქვს ალებული“, — განაცხადა ნანა თეთრაძემ. ბაჩო ახალაიას და სხვა ბრალდებულების ადვოკატებმა მას რამდენიმე შეკითხვა დაუსვეს, მათ შორის იკითხეს, რატომ გააჩნდა სახლში საიდუმლო რუკები. ნანა თეთრაძემ უპასუხა, რომ რუკები საიდუმლო არ ყოფილა. რაც შეეხება სახლში მათ არსებობას, მისი თქმით, დედამისი გეოგრაფიის მასწავლებელი იყო და რუკები სახლში ამ მოტივით ჰქონდათ. ადვოკატები, ასევე, დაინტერესდნენ, დაჰპირდა თუ არა ნანა თეთრაძეს თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ალასანია შეხვედრის დროს, რომ ბაჩო ახალაიას პასუხისმგებლობაში მისცემდა. ნანა თეთრაძემ განაცხადა, რომ მსგავს დაპირებას ალასანიას მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

„ინტერპრესნიუსი“



საქართველოს მთავრობის განცხადებით, გათავისუფლებულია...

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე!“

კონსტანტინე

სადღაც იმ, ჭეშმარიტება...

საზიზიარო თუ არა ვაკის სასაფლაოდან გავრცელებული გვამური შესამები

მეცნიერთა დასკვნა და მაია ნიკოლეიშვილის მოქისმოგვრელი ინტერვიუ

„სინამდვილეში, კადავერინი, როგორც რაღაც საზიზიაროა, არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ჩვეულებრივი, ცხოველური ცილების ლეგონის პროდუქტი — პტომაინები. ეს ორბანული შესამი, იგივე ბიოგენური ამინოჰაზი, რომელიც ორბანიზმში ჰაქტივაციის ზეგავლენის შედეგად, ნამდვილად ტოქსიკური ხდება, თუმცა თუ სისხლში არ მოხვდება, საზიზიარო არაა. კალიან ტოქსიკურია პუტრესცინიც, კადავერინი, ასევე, ნეირინი — შედარებით ნაკლებად. ეს საზიზიარო ნივთიერება ნებისმიერი ცილისგან ორბანიზმის, თუნდაც თავისი ლეგონის შედეგადაც წარმოიქმნება და მთავარია, სისხლში არ მოხვდეს... ერთი პატენტის მქონე კი, რომელსაც შეხება მიცვალებულთან აქვს, „გვამური შესამით“ ჯერ არ გარდაცვლილა. სიცოცხლე ხომ ცილისგან სხეულში არსებობს...“



ვერ ვარ, როგორსაც ვისურვებდი, ვყოფილიყავი... რწმენასთან ჩემი სპეციალობით მივედი... მახსოვს, როცა ლენინგრადში ვმუშაობდი, ჯვარი მეკეთა, მიჩანდა და კათედრის გამგემ მთხოვა...
— მოიხსენებ?
— არა, ისიც მორწმუნე იყო და ჩუმად მთხოვა, მართლმადიდებლურად, ჯვარი არ უნდა ჩანდეს, განსაკუთრებით, იმ გარემოში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ. ამიტომ დამალულად ატარებო. მაშინ, კომუნისტური პარტია ბოლო წლებს ითვლიდა, თუმცა მაინც არსებობდა და არ შეიძლებოდა, კათედრის თანამშრომელს ჯვარი ეტარებინა...
— ქალბატონო მაია, რწმენა რა არის?
— როგორც გითხარით, რწმენამდე ჩემი პროფესიით მივედი... ჩემთვის, როგორც ყველა მოკვდავისთვის, ადამიანის მოკვდავობის საკითხი მძიმეა. აქედან გამომდინარე, რწმენა, მართლმადიდებლობა ჩემთვის კომფორტულია, რადგან სულის უკვდავობას აღიარებს. დიხს, რწმენა სულის უკვდავობაა. რწმენა, რომელიც სულის უკვდავობას არ აღიარებს, ტრადიციულადაც რომ მიმელო, ალბათ, შევიცვლიდი.
სხეული სულის ტანსაცმელია. ეს ისაა, რასაც ჩემი პროფესიით ვხედავ, ისაა, სადამდეც ჩემი პრაქტიკით მივედი და მერე გავიგე, რომ ეკლესიაც, თურმე, იმავეს ამბობს. მაშინ ამდენი არ ვიცოდი, მაგრამ ყოველთვის ვგრძობდი, რომ სული სხვა იყო... მისდამი რაღაც მონივნებს განვიცდი, მაგრამ სხეული მხოლოდ დროებითი სამყოფელია და მეტი არაფერი, ოღონდ სულისთვის სხეული, რა თქმა უნდა, სულერთი არაა!
სხვათა შორის, თავის დროზე სასაფლაოების შემოღობვა ორგანიზებულობის მაჩვენებელი იყო. ეკატერინე დიდმა კი ასეთი ნორმა დაანდეს: ქალაქის საზღვრიდან 100 საუენზე ახლოს სასაფლაო არ უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი პროფესიის მესამედი გვამების ექსპერტიზაა, ქალაქში სასაფლაო ჩემთვის სერიოზული დისკომფორტია. ჩემთვის სასაფლაოზე მისვლა რაღაც სხვა რიტუალია...
— ამ დროს ხომ არ გგონიათ ხოლმე, რომ მიცვალებულები გიყურებენ?
— არა, უბრალოდ, ვიცი, რომ იქ ძალიან ბევრი სულის ტანისამოსია თავმოყრილი. ადამიანის სული უკვდავია და მის მიმართ უფრო მეტი მონივნება მაქვს, ვიდრე — სხეულის.
ერთი ამბავი გამახსენდა და გაიმბობთ: მაშინ შეათე კლასში ვიყავი, სკოლაში ტროლეიბუსით დავდიოდი, რომელსაც „დანიშნულების ადგილამდე“ მისასვლელად, დაახლოებით, 40 წუთი სჭირდებოდა. სკოლა საბურთალოზე იყო... მხოლოდ ახლა კი არა, მაშინაც იშვიათად ნახავდით ადამიანს, რომელიც გზაში წიგნს კითხულობდა. კითხვა მიყვარდა და მერჩივნა, ეს 40 წუთი კითხვაში გამეტარებინა. მახსოვს, იმ დღეს „შპნამეს“ გვითხვოდა და ისე ვიყავი ჩაფლული, რომ ორი ტროლეიბუსიდან, რომელიდანაც ერთი საბურთალოზე, ჩემს სკოლასთან, მეორე კი, ბაგეში მიდიოდა, ბაგეის ტროლეიბუსში ჩავეჯექი და... ასე, კითხვა-კითხვით, ვაკის სასაფლაოზე მივედი... არადა, წარმოუდგენელი იყო — სასაფლაოზე მარტო, თან ჩემი ნებით გამეველო...
— სასაფლაოზე უცნობა ძალიან, ან შინა-

განმა ხმამ ხომ არ მიგიყვანათ?
— არ ვიცი... შეიძლება, კითხვამ შემიტყუა, თორემ მარტო ვიყავი და, ალბათ, ვაცნობიერებდი, რასაც ვაკეთებდი. გზა გავარძელებდი, ცენტრალური ბილიკიდან გადავუხვიე და რომელიღაც საფლავთან მივედი... ჩამოვჯექი და კითხვა განვაგრძე. დღესაც ვერ ვხვდები, ასე როგორ გამიტაცა, მაგრამ როცა კითხვა დავასრულე და თავი ავნიე... საფლავზე ჩემი გვარი დავინახე: თურმე, ჩემდა უნებურად, ჩემი მოგვარის საფლავთან მივსულვარ. როგორც ჩანს, მიტოვებული იყო...
— გამოიქვითი?
— არა, ჩვეულებრივი ნაბიჯებით წამოვედი. სხვათა შორის, მაშინ არ შემშინებია — სხვა დროს სასაფლაოზე მარტო ვერც მივიდოდი, მაგრამ იმ დღეს და იმ წამს არ შემშინებია... შიში არ მქონდა, რადგან იქ მისმა სულმა მიმიყვანა. რამდენიმე დღის შემდეგ, მეგობრებს ვთხოვე, წამომყოლოდნენ და ყვავილებით წავედით, თუმცა ის საფლავი ვეღარ ვიპოვეთ...
— საფლავი გაქრა? — ამის თქმა ხომ ძალიან მისტიკურია!
— როგორც ჩანს, ცენტრალური გზიდან საკმაოდ ბევრი ვიარე და მეორედ ვეღარ მივაგენი, თორემ არ გაქრებოდა, იქნებოდა. მაშინაც მეგონა და ახლაც მეგონა, რომ იმ ადამიანის სულს, უბრალოდ, უნდოდა, მის საფლავზე ფეხი მოგვარეს დაედგა. სხვანაირად როგორ უნდა ავხსნა?
— 13 ივნისის მერე, რაც წყალმა წაღუკა, ვაკის სასაფლაოზე ყოფილხართ?
— არა, არ მივსულვარ და ეს ჩემთვის საკმაოდ მძიმე თემაა. იცით, რა არის საინტერესო? — მას მერე, როცა ვიწმუნე, რომ სული არსებობს, აღარ შემშინებია. მაშინ, როცა თბილისში დენი არ იყო, სასექციოში, სადაც უამრავი გვამია, ფანრით არაერთხელ შევსულვარ და არ შემშინებია, მაგრამ რომ მითხრათ, ღამით რომელიმე სოფელში მარტომ გაიარეო, გამოირცხულია, ვერ გავივლი. ცხოვრებული თამარ დეკანოზი ამბობდა ხოლმე, მიცვალებულის არ უნდა გეშინოდეს, საშიში ცოცხალიაო.
— ქალბატონო მაია, ახლა, წყლისგან წაღუკილ ვაკის სასაფლაოზე რომ ახვიდეთ, როგორ გგონიათ, რას იგრძნობთ?
— ვერ ავალ, რადგან მტკივნეული შეგრძნება მექნება.
— რატომ?
— იმიტომ, რომ ისინი ვერ დაიცვენ და საკადრისად ვერ მოუარეს!
— ამის გამო დამნაშავედ თავს თქვენც გრძნობთ?
— არა, ჩემს თავს არ დავაბრალებ... უბრალოდ, უსიამოვნო იქნება... თითქოს ვერ გაუფრთხილდნენ... არ მივალ. ჩემი აზრით, როგორც ცოცხალს, ასევე, იმ საძვალეს სჭირდება გაუფრთხილება. წინაპრების საფლავებისა თუ ბიუსტების შექმნით მათ უკვდავყოფთ! სინამდვილეში კი, ამას ჩვენს თავს ვუკეთებთ, ჩვენვე გვჭირდება და... როცა ეს ირღვევა, ჩემთვის ძალიან მძიმეა, თორემ მიცვალებულის სულისთვის, შეიძლება, არაფერს წინაგვს. ყველაფერი, რაც მოხდა, ალბათ, იმის სიმბოლოა, რომ ის, რაც შეგვექმო, არ გავაკეთეთ! მიცვალებულის მძი-

დამოუკიდებელი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი „ქართულ სიტყვასთან“ 13 ივნისის სტიქიისას წაღუკილი ვაკის სასაფლაოდან ამოსულ უარყოფით ენერჯიასა და მომწამვლელ ნივთიერებებზე საუბრობს. რა არის ე.წ. გვამური შესამი, რომელიც წყალმა, საფლავებთან ერთად, სხვადასხვა ტერიტორიაზე მიმოფანტა და ჩარეცხა, როგორი აურა აქვს სასაფლაოს, რეალურად არსებობენ თუ არა და რატომ გვეშინია სულების? — ყველა ამ შეკითხვაზე პასუხს წინამდებარე ინტერვიუდან მიიღებთ.

და... ჩემი შვილი სკოლაში ბაგეში დადიოდა. ხშირად მირეკავდნენ და მეუბნებოდნენ, ბაგეში სიცხე აქვსო. შინ რომ მომყავდა, სიცხე უქრებოდა... არადა, არ იტყუებოდა, მართლა ჰქონდა და როცა იმ ადგილს გამოვარიდებდი, სიცხე თავისით უკლებდა. სკოლასთან სასაფლაო იყო... სკოლა რომ შევცვალეთ, მსგავსი აღარაფერი განმეორებულა. მაშინ ისეთი პატარა იყო, რომ გამოირიცხულია, გაცნობიერებული ჰქონოდა, თუ რა იყო სასაფლაო. ეს რაღაც შიგნიდან მოდიოდა...
— სასაფლაოს ყოველთვის აქვს აურა, რომელსაც ზოგი განსაკუთრებულად გრძნობს და უფრთხის... ასეა, არა?
— ტრადიციული მართლმადიდებელი ვარ, ანუ ქრისტიანობაც ისევე ტრადიციულად მივიღე, როგორც ქართველობა, თუმცა ღმერთმა მაპატიოს, ისეთი ეკლესიური

და... ჩემი შვილი სკოლაში ბაგეში დადიოდა. ხშირად მირეკავდნენ და მეუბნებოდნენ, ბაგეში სიცხე აქვსო. შინ რომ მომყავდა, სიცხე უქრებოდა... არადა, არ იტყუებოდა, მართლა ჰქონდა და როცა იმ ადგილს გამოვარიდებდი, სიცხე თავისით უკლებდა. სკოლასთან სასაფლაო იყო... სკოლა რომ შევცვალეთ, მსგავსი აღარაფერი განმეორებულა. მაშინ ისეთი პატარა იყო, რომ გამოირიცხულია, გაცნობიერებული ჰქონოდა, თუ რა იყო სასაფლაო. ეს რაღაც შიგნიდან მოდიოდა...
— სასაფლაოს ყოველთვის აქვს აურა, რომელსაც ზოგი განსაკუთრებულად გრძნობს და უფრთხის... ასეა, არა?
— ტრადიციული მართლმადიდებელი ვარ, ანუ ქრისტიანობაც ისევე ტრადიციულად მივიღე, როგორც ქართველობა, თუმცა ღმერთმა მაპატიოს, ისეთი ეკლესიური

და... ჩემი შვილი სკოლაში ბაგეში დადიოდა. ხშირად მირეკავდნენ და მეუბნებოდნენ, ბაგეში სიცხე აქვსო. შინ რომ მომყავდა, სიცხე უქრებოდა... არადა, არ იტყუებოდა, მართლა ჰქონდა და როცა იმ ადგილს გამოვარიდებდი, სიცხე თავისით უკლებდა. სკოლასთან სასაფლაო იყო... სკოლა რომ შევცვალეთ, მსგავსი აღარაფერი განმეორებულა. მაშინ ისეთი პატარა იყო, რომ გამოირიცხულია, გაცნობიერებული ჰქონოდა, თუ რა იყო სასაფლაო. ეს რაღაც შიგნიდან მოდიოდა...
— სასაფლაოს ყოველთვის აქვს აურა, რომელსაც ზოგი განსაკუთრებულად გრძნობს და უფრთხის... ასეა, არა?
— ტრადიციული მართლმადიდებელი ვარ, ანუ ქრისტიანობაც ისევე ტრადიციულად მივიღე, როგორც ქართველობა, თუმცა ღმერთმა მაპატიოს, ისეთი ეკლესიური

გაგრძელება მე-13 გვ.

ხანდახან, სამწუხაროდ, გვაშინებენ, თუ ასე არ მოიქცევი, ღმერთი ცუდ დღეში ჩაგაბღუბოთ... ამის არ გჯერას! უფალი, სამყარო, კოსმოსი დამსჯელი არ არის! არ უნდა გვაშინებდნენ! ადამიანები გადნიერებისთვის არიან გაჩენილნი და ამას თავად ისეთი სასულიერო პირი ამბობს, როგორც ჩვენი პატრიარქია. დამსჯელი მხოლოდ ჩვენი აზრი და ფიქრია! ამიტომ საკუთარ თავსაც თავად ვსჯით — ცუდზე ვსაუბრობთ და ცუდს ვამრავლებთ! უფალმა ადამიანი საკუთარ ხატად და მსაბავსად შექმნა, შესაბამისად, ჩვენ თავად შეგვიძლია სურვილების ახდენაც და თავის დასჯაც! მთავარია, გულწრფელები ვართ თუ არა!“

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშენიერებას ხომ შენით ითქვა;
დიდება შენა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგე ლეონი



საქართველო
ქვეყნისათვის. ჯილდოსათვის

სადაც იმ, ჭეშმარიტება...

მე-12 გვირგვინი

ნარის პირას დაკრძალვა არ შეიძლება. აი, სოფელში, ასე სადმე გინახავთ? პირიქით, სასაფლაო ყოველთვის ბორცვზე, ან ამაღლებულ ადგილასაა. ესეც ერთგვარი პატივისცემა და მოწინებება.

– პატივისცემა, მიუხედავად იმისა, მიცვალებულები ამას ხედავენ თუ არა?

– რა თქმა უნდა. ჩვენ ხომ ვხედავთ? ხომ გითხარით, ეს ჩვენ უფრო გვჭირდება, ვიდრე – მათ. იმისათვის, რომ სულს მიეხმაროს, ადამიანი ძალიან მკითრება. გარდაცვლილთა სხეულებისა და საფლავის პატივისცემა, ისევე და ისევე, ჩვენი სიმშვიდის გარანტიაა – ამ რიტუალებით სულს და მის უკვდავებას ვაღიარებთ.

რატიონალურ ფიქრობენ, რომ ვაკეში დაკრძალვა პრესტიჟულია. ეს რა აბსურდია, არ მესმის?! კარგი, ვაკეში ცხოვრება შეიძლება, პრესტიჟული იყოს, თუმცა ჩემთვის პრესტიჟულიც და სასურველიც იმიტომ, რომ აქ დავიბადე და ჩემი პატარა ნაბიჯებიდან მოყოლებული, აქ დავედივარ. რადგან ვაკის სასაფლაო ჰქვია, ვილაცისთვის იქ დაკრძალვა პრესტიჟულია, თუნდაც მდინარის პირას... ეს უკვე სრული სიგიჟეა. ღმერთო, მაპატიე, ვაკის სასაფლაოზე ადგილებს ჰყიდიან და უკვე ბიზნესად იქცა!

– ქალბატონო მაია, გვამურ შხამზე, ე.წ. კადავერინზე რას იტყვი?

– მიცვალებულების დამარხვა იმიტომ დაინწყს, რომ ისეთი ინფექციური დაავადებები, როგორცაა ქოლერა, მალარია და ასე შემდეგ, არ გავრცელდეს. ადრე არ თვლიდნენ, რომ გვამს რაიმე შხამი და მომწამვლელი ნივთიერება ჰქონდა. ძველი ეგვიპტელები ფარაონებს ბალზამირებას უკეთებდნენ და ეს ზუსტად სულის უკვდავების რიტუალი გახლდათ. მაშინ მიიჩნევდნენ, რომ თუ სხეული კარგად იყო შენახული, სული არ დატოვებდა. აბორიგენების ტომები კი, მიცვალებულებს ჭამდნენ და ფიქრობდნენ, რომ ამით გარდაცვლილებს პატივს სცემდნენ. ევროპულ, ანუ შედარებით ცივილიზებულ საზოგადოებაში არსებობდა მოსაზრება, რომ გვამს ჰქონდა შხამი – კადავერინი. სინამდვილეში, კადავერინი, როგორც რაღაც საშინელება, არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ჩვეულებრივი, ცხოველური ცილების ლობობის პროდუქტი – პტომინები. ეს ორგანიზმი, იგივე ბიოგენური ამინები, რომელიც ორგანიზმში ბაქტერიების ზემოქმედების შედეგად, ნამდვილად ტოქსიკური ხდება, თუმცა თუ სისხლში არ მოხვდა, სახიფათო არაა. ძალიან ტოქსიკურია პუტრესცინიც, კადავერინი, ასევე, ნეირინი – შედარებით ნაკლებად. ეს სამივე ნივთიერება ნებისმიერი ცილოვანი ორგანიზმის, თუნდაც თევზის ლობობის შედეგადაც წარმოიქმნება და მთავარია, სისხლში არ მოხვდეს... ამიტომ ვაქცევთ პროდუქტის შენახვის ვადას დიდ ყურადღებას. ერთი პათანატომიც კი, რომელსაც შეხება მიცვალებულებთან აქვს, „გვამური შხამით“ ჯერ არ გარდაცვლილა.

სიცოცხლე ხომ ცილოვან სხეულში არსებობს წესი...

– „გვამური შხამი“ ადამიანის გარდაცვალების შემდეგ სად მიდის – ორთქლდება, რამეს ერევა, საფლავში გროვდება თუ...?

– არსად მიდის, იქ არის.

– თუ ასეა, წყალი, საფლავები რომ წალკვა, „გვამურ შხამსაც“ სხვადასხვა ტერიტორიაზე გადაიტანდა...

– ცხოველების დაკრძალვის შემდეგაც იგივე პროცესები მიდის. ამიტომ, ცხოველებს, როგორც ვიცით, სპეციალურად გამოყოფილ ბეტონისძირიან ორმოებში მარხავენ, რომ ბიოლოგიური ნარჩენები სხვაგან არ გავრცელდეს. ასე რომ, ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ საფლავების ჩარეცხვა „გვამური შხამების“ გავრცელებას, ალბათ, გამოიწვევდა. რაც მოხდა, ნეგატიური და ძალიან ცუდია იმიტომ, რომ ჩვენს კულტს და ტრადიციას ვერ მოუარეს – საფლავებს ადგილი ვერ შეურჩიეს და ჩაირეცხა... სანეიანსადგურს ეცოდინება, თუ რა შეიძლება ამას მოჰყვეს. რომ გითხარათ, ადამიანის ჯანმრთელობისთვის კატასტროფული შედეგი ექნება-მეთქი, მოგატყუებთ, მაგრამ... ჩემთვის პრობლემის ის მხარე უფრო მნიშვნელოვანია, რომ არ შეიძლებოდა, იქ სასაფლაო ყოფილიყო...

– ქართველებს ლეგენდები გვიყვარს, მით უმეტეს, თუკი ლეგენდა სიკვდილს ეხება. მსმენია, დასაფლავებიდან მეორე თუ მესამე დღეს საფლავიდან მწვანე კვამლი ამოდის...

– სხვათა შორის, ერთ იაპონელ პარაფსიქოლოგს ვიცნობდი, რომელიც სიკვდილს იკვლევდა და რომელმაც შავ-თეთრი სურათები მაჩვენა – გასვენება იყო აღზეხდილი და, ასევე, ჩანდა ლაქა, რომელიც გარდაცვლილის სულად აღიქმება. ეს ფოტომონტაჟი არ იყო და არც – მხოლოდ ერთი შემთხვევა! ასეთი ბევრი ფოტო ჰქონდა... სასექციოში გადაღებული რამდენიმე ე.წ. შემთხვევითი ფოტო მეც მქონდა, რომელზეც ჩანდა, როგორ ვზივარ დალილი და ჩემს გვერდით რაღაცაა გამოსახული, დაახლოებით, ისეთი ბურთისებრი ლაქა, რომელიც იმ ქალის ნაჩვენებ ფოტოზე ვნახე... ამას ხშირად არტეფაქტს, ფირის შეცდომას ეძახიან, მაგრამ ფოტომოჟვარული ვარ, უამრავი ფოტო გადავიღე და იმ ადგილებში, რომლებიც სიკვდილთანაა დაკავშირებული, ასეთი ლაქები ყოველთვის მინახავს. კარგი, დაეუშვათ არტეფაქტია, მაგრამ რაღა მაინცდამაინც ასეთ ადგილებში?

იაპონელი პარაფსიქოლოგი მიცვალებულის სხეულის გარშემო სიმკვრივეს ზომავდა და აღმოაჩინა, რომ გარდაცვალებიდან მესამე დღეს სიმკვრივე იცვლება. მისი თქმით, ეს არის დრო, როცა სული სხეულს ტოვებს. ამბობენ, რომ შავ-თეთრი ფირზე უშუალოდ სულის ამოსვლის პროცესიც ფიქსირდება.

– მწვანე კვამლზე არაფერი გსმენიათ?

– კი, მსმენია და ამბობენ, ადამიანის ძვალში არსებული ფოსფორი, მაგრამ... ღამით სასაფლაოზე არასდროს ვყოფილვარ, თუმცა სასექციოში სრულ სინელებშიც შევსულვარ და მსგავსი არაფერი მინახავს. უჯრედულ დონეზე ცხოველყოფილება რაღაც პერიოდის განმავლობაში მაინც გრძელდება და სიკვდილიც იმნამსვე, როცა გული ჩერდება, არ მოდის. უჯრედებში პროცესები ისევე მიდის და შეიძლება, სისხლნაყენობის ნარმოივას... ყოფნა-არყოფნას შორის რაღაც კონტრეტული, ხილული საზღვარი არ არსებობს.

– ნელან თქვით, ადამიანებს სასაფლაოების ეზინიათო, მაგრამ ისეთებიც ხომ არიან, რომელთაც საერთოდ არ ეზინიათ?

– დიახ, არიან ადამიანები, რომელთაც არ ეზინიათ. ასეთები, უფრო მეტად, ალბათ, პოეტები და შემოქმედებითი ადამიანები არიან, რომლებიც სასაფლაოზე სიმშვიდეს პოულობენ. ჩემი პროფესიის მიუხედავად, სასაფლაო სიმშვიდეს ვერ მომიტანს. ვიცი, რომ იქ სიმშვიდეა, მაგრამ ჩემთვის – არა. როგორც ეკლესიაში, იქაც ისეთივე მონივნებით მივიღებ, მაგრამ ყოველთვის შეზღუდული ვარ.

ძალიან მეზანება ის ადამიანები, ვინც 13 ივნისს დაიღუპნენ და ის საქალებიც, რომლებიც წყალმა ჩარეცხა. კუკიის სასაფლაოც ცუდ ადგილზეა, ბებიანებისა და ბაბუაჩემის საფლავებიც ადრე ასე დაიკარგა.

– ისე, კუკიის სასაფლაოს უამრავი მისტიკური ამბავი უკავშირდება...

– ეს არ ვიცი, მაგრამ ფაქტია: ადამიანებს სასაფლაოს შიში და მოწინება ერთდროულად აქვთ.

– ადამიანებს სასაფლაოს სიკვდილის შიშიდან გამომდინარე ეზინიათ?

– რა თქმა უნდა. გინახავთ ადამიანი, რომელსაც სიკვდილის არ ეზინია? შეიძლება, თქვას, არ მეზინიაო და სიკვდილის შიში გარკვეულწილად განდევნოს, მაგრამ ქვეცნობიერში მაინც დარჩება. მერე რა? – ადამიანები ვართ და უნდა ვაღიაროთ, რომ სიკვდილის გვეზინია. ამით არაფერი შავდება.

ერთხელ, ერთ-ერთ საქმეში მუქარას ნაწვყდი. საერთოდ, როცა რაღაცას აკეთებ, ყოველთვის ორი მხარეა და გამოირიცხულია, შედეგი ორივეს ესაიმოვნოს. ჰოდა, ერთ-ერთი მხარე საუბრისას შემოვლით, მაგრამ სიკვდილით შემუქრებოდა. არასდროს, როცა პირადად მე შემუქრებია, არ შემშინებია, მაგრამ ღმერთმა ყველა დაიფაროს, ოჯახის წევრებზე დამუქრება საშინელება... ჰოდა, მივუგე, შემუქრები და გაინტერესებს, შემუქნდება თუ არა. მაჩვენე ერთი ადამიანი მაინც, რომელიც აქ სამუდამოდ დარჩება და ნასვლა არ მოუწევს, თუ მაჩვენებ, გპირდები, შემუქნდება-მეთქი... მეცნიერების კორიფე ვლადიმირ ბეხტ-



„რწმენაზე ჩემი პროფესიით მივდი... ჩემთვის, როგორც ყველა მოკვდავისთვის, ადამიანის მოკვდავობის საკითხი მძიმეა. აქედან გამომდინარე, რწმენა, მართლმადიდებლობა ჩემთვის კომფორტულია, რადგან სულის უკვდავობას აღიარებს. დიახ, რწმენა სულის უკვდავობაა. რწმენა, რომელიც სულის უკვდავობას არ აღიარებს, ტრადიციულადაც რომ მივაღწეო, ალბათ, შევიცვლიდი. სხეული სულის ტანსაცმელია. ეს ისაა, რასაც ჩემი პროფესიით ვხედავ, ისაა, სადავადც ჩემი პრაქტიკით მივდი და მერე გავიგებ, რომ ეკლესიას, თურმე, იმავს აზრებს. მაშინ აღმინი არ ვიცოდი, მაგრამ ყოველთვის ვბრძნობდი, რომ სული სხვა იყო... მისდამი რაღაც მოწინააღმდეგეა, მაგრამ სხეული მხოლოდ დროებითი საფარულია და მითი არაფერი, ოღონდ სულისთვის სხეული, რა თქმა უნდა, სულიერითი არაა!“

ერევა ადამიანის ტვინი გამოიკვლია და თქვა: გილოცავთ, ბატონებო, სიკვდილი არ არსებობს! ის სწორედ მეცნიერულად მივიდა და სულის უკვდავობამდე და მეცნიერულად დაამტკიცა, რომ სული უკვდავია. მაშინ ძალიან მძიმე საბჭოთა პერიოდი იყო და, მოგეხსენებათ, ამაზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა. ყველაფერი ეს ახლახან გახდა ცნობილი...

– გამოდის, რომ მეცნიერება და რელიგია, რომლებიც გამუდმებით ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ, ახლა შეერთდნენ და სულის უკვდავებას ერთხმად აღიარებენ?

– თქვენ წარმოიდგინეთ, სულის უკვდავებაზე სწორედ ის ადამიანები მიდიან, რომლებიც მეცნიერებაში ძალიან ღრმად შედიან, მაგალითად, ფიზიკოსები, რომლებიც კვანტურ ფიზიკაზე მუშაობენ... ისინი არ არიან პარაფსიქოლოგები და სულის უკვდავებას პირდაპირ, ფორმულებით ამტკიცებენ.

ერთი ძალიან საინტერესო შრომა ნავიკითხე, რომელმაც არ გამაკვირვა, მაგრამ გამახარა: ადამიანის თავის ტვინში არსებობს გარკვეული ადგილები, რომელთაც „ღვთის ადგილები“ ჰქვიათ. ეს ის ადგილებია, რომელთაც რწმენა დაკავშირებულია და ენცეფალოგრაფიით ნახეს, რომ მედიტაციისას სწორედ ეს ადგილები ალიგზნებიან. ადამიანს თავის ტვინში აქვს ლოკუსები, ადგილები, რომელთაც შეუძლიათ, ძალიან ღრმად მედიტაციისას, სხვა განზომილებაში გადავიდნენ. მედიტაცია ჩვეულებრივი ლოცვა არაა და, პრაქტიკულად, ტრანსია. ადამიანში, რომელსაც ბიორობოტს ვუნდობ, ასეთი რამაა ჩადებული: თუკი გულწრფელია, მისი სიტყვა საჭირო ადგილამდე „მიდის“. აზრმა რომ მატერიალიზება განიცადოს, ადამიანი გარკვეულ მდგომარეობამდე უნდა მივიდეს და... შეუძლია, თავისი სიტყვა, თხოვნა თუ ოცნება მატერიალურად აქციოს, ანუ ნატურა შესრულდეს. ეს მეცნიერულად დასაბუთებულია და ეს სუბსტრატია.

სამყაროს ყველაფერი ესმის, შენი მატერიალური აზრებიც. მთავარი იმ მდგომარეობამდე მისვლაა, რაზეც ნელან ვისაუბრე. ასევე, გულწრფელობაც მთავარია! გულწრფელობა იმის გასაღებია, რომ აზრი მატერიალური გახდეს და ის, რასაც ჩაიფიქრებ, ნამდვილად აგისრულდეს! სამყარო შენს აზრებსა და სურვილებს გიბრუნებს. ამიტომაც ვამბობთ ხოლმე, არ გვინდა ცუდზე ლაპარაკი, ნუნუნო, გაჭირვების ჩამოთვლა, თორემ ყველაფერი კიდევ უფრო ცუდად იქნებაო.

სულ ვცდილობ, პოზიტიურზე ვისაუბრო. რაც მოხდა, კი ბატონო, ცუდი და მძიმეა, მაგრამ სამყაროს ამდენი ნეგატივი არ უნდა გავაგონოთ, თორემ უკან უარესი დაგვიბრუნდება! კარგი თქვი, კარგზე იფიქრე და... კარგი მოხდება. ვთქვი და ახლაც ვამბობ: მთავარი გულწრფელობაა. სამყარო კი, გულწრფელ თხოვნებს ასრულებს, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა – მერე კანტილურია!

– ქალბატონო მაია, თქვენი აზრით, სამოთხე და ჯოჯოხეთი არსებობს თუ ყველაფერი ეს ინტერპრეტაციაა?

– კვანტური ფიზიკის სპეციალისტები იმ დონეებს აღწერენ, რომლებიც სულმა უნდა გაიაროს. ეს კვლევები იმას, რასაც ეკლესია ამბობს, პრაქტიკულად ზუსტად ემთხვევა და არა – მართლმადიდებლური გადმოსახედიდან, არამედ, ფიზიკიდან.

– თქვენთვის ღმერთი რა არის?

– სიკეთე, პოზიტივი, კარგი და დადებითი შეგრძნებები... ხანდახან, სამწუხაროდ, გვაშინებენ, თუ ასე არ მოიქცევიან, ღმერთი ცუდ დღეში ჩაგაგდებთო... ამის არ მჯერა! უფალი, სამყარო, კოსმოსი დამსჯელი არ არის! არ უნდა გვაშინებდნენ! ადამიანები ბედნიერებისთვის არიან გაჩენილნი და ამას თავად ისეთი სასულიერო პირი ამბობს, როგორც ჩვენი პატრიარქია. დამსჯელი მხოლოდ ჩვენი აზრი და ფიქრია! ამიტომ საკუთარ თავსაც თავად ვსჯით – ცუდზე ვისაუბრობთ და ცუდს ვამრავლებთ! უფალმა ადამიანი საკუთარ ხატად და მსგავსად შექმნა, შესაბამისად, ჩვენ თავად შეგვიძლია სურვილების ახდენაც და თავის დასჯაც! მთავარია, გულწრფელები ვართ თუ არა!

ესაუბრა ზამა ლიზარამ



საქართველო
საქართველო

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერება სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა!“
კონსტანტინე

მედიცინა

ვინ აპირებდა 13 ივნისს დაზარალებულთათვის ფსიქოტროპული საშუალებების დარიბებას

ჰომეოპათიის აკადემიის პრეზიდენტი თინა თოფურია, რომელიც 13 ივნისის სტიქიით დაზარალებულებს უფასო მკურნალობასა და რეაბილიტაციას სთავაზობს, ამტკიცებს, რომ უკიდონრობის, ან ბიზნესინტერესების გამო, მოსახლეობა უარესი შედეგისკენ მიჰყავთ... სხვათა შორის, ქალბატონ თინას ბუნებრივი და სოციალური კატაკლიზმების დროს, ადამიანების სტრესიდან გამოყვანის მასობრივი აქცია არაერთხელ აქვს ჩატარებული, მათ შორის, სპიტაკის მიწისძვრის, 9 აპრილის მოვლენების, აჭარის მეწყერის, 1992-93 წლებში აფხაზეთის საომარი მოქმედებების, 2002 წლის 25 აპრილის, თბილისში მიწისძვრის დროს... რეალურია თუ არა თბილისში ეპიდემიის გავრცელების საფრთხე და როგორ უნდა დაფქლით 13 ივნისის ტრაგედიის შემდგომი სტრესი? — თინა თოფურიას თქმით, ეპიდემიის საშიშროება მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუ ცხოველების გვამებსა და ძეგულის გაფუჭებულ პროდუქციას დროულად არ „აღებენ“.

— ანუ, ქალბატონო თინა, საფრთხე არა რეალურია? ისე, მოხალისეები აცრებს იკეთებენ...
— აცრებს მხოლოდ ისინი იკეთებენ, ვინც კანის მსუბუქი დაზიანება მიიღეს. მინა დაბინძურებულია და თუ ტეტანუსის გამომწვევი ჩხირი ჭრილობაში მოხვდა, შესაძლებელია, დაავადება განვითარდეს. ამიტომაც, აცრა მხოლოდ იმ ადამიანებზე უნდა გაიკეთონ, რომლებსაც კანი გაეკანრებათ, ან გაეჭრებათ.

— დაფუშვით, ტერიტორია დროულად არ გაინჰინდა და ეპიდემია გავრცელდა. რა უნდა ვქნათ?
— რეალურად, ამის შანსი არ არსებობს, თუმცა თუ დროულად არ გაასუფთავებს, მაშინ სანეპიდსადგურმა და ჯანდაცვის სამინისტრომ უნდა იმოქმედონ. ამაზე ხშირ ლაპარაკს აზრი არ აქვს და გამოდის, ვიღაცას პანიკის დანერგვა ხელოვნურად უნდა. ვიმეორებ: დღესდღეობით ეპიდემიის გავრცელების საშიშროება არ არსებობს.

ერთი პრობლემა მაშინებს და ეს ის ფსიქოლოგიური სტრესია, რომელიც ამ ტრაგედიის მერე ყველამ მივიღეთ. წლებია, ისედაც საკმაოდ და განგრძობად სტრესში ვცხოვრობთ, რაც პოლიტიკური მდგომარეობის, ასევე, მედიისგან ხშირად მიღებული ნეგატიური ინფორმაციის ბრალია, თუმცა ეს მსოფლიოს პრობლემაცაა.

შეგვიძლია, სტრესის 3 კატეგორია გამოვყოთ:
პირველ კატეგორიას ის ადამიანები მიეკუთვნებიან, რომლებმაც სახლები დაკარგეს, ან ნგრევის ზონაში მოჰყვნენ.

სტრესის მეორე კატეგორიაში ისინი შედიან, ვინც კატასტროფაში მოხვდნენ, მაგრამ გამოასრნეს და შედარებით მსუბუქად დაზარალდნენ.

მესამე კატეგორია კი, საზოგადოების ძირითადი ნაწილია, რომელმაც ყველაფერი ეს ტელევიზიით გავიგეთ და სტრესის თანამოზიარეები გავხდით.

— იმის თქმა სომ არ გინდათ, რომ ვიღაცამ სტრესის გამონწვევას ხელი მიზანმიმართულად შეუწყო, რათა სიტუაცია უფრო გამძაფრებულიყო?
— არა. უბრალოდ, გამუდმებით იმაზეა ლაპარაკი, თუ ვინაა დამნაშავე.

საერთოდ, სტრესის თავისი კანონები აქვს და სწორი რეაგირება სჭირდება.

— შესაბამისი სამსახურები ვალდებული არიან, სწრაფად იმოქმედონ, განსაკუთრებით მაშინ, როცა საზოგადოება სტრესშია. ამ სამსახურებს ფულს სწორედ ამისთვის ვუხდით...
— თანამდებობა ერთია, მაგრამ საჯარო მოხელეც ჩვეულებრივი ადამიანია და სტრესის კანონებს ისევე ემორჩილება, როგორც — ჩვენ.

— ქალბატონო თინა, სტრესი რა შუაშია, როცა არასწორ ინფორმაციას გავრცელებს, ქალაქში მტაცებელი ცხოველები არ არიან და ამ დროს ადამიანს ვეფხვი შეჭამს?
— ამ შემთხვევაში, დაბნეულობაა, რადგან პასუხისმგებლობის აღება ძალიან რთულია. ხომ გითხარით, სტრესის კანონები აქვს-მეთქი და მობილიზებას ყველა ვერ ახერხებს. სტრესს თავისი ფაზებიც აქვს და გააჩნია, ადამიანი რომელ ფაზაში იმყოფება...

— ჰოდა, თუ არ შეგიძლია, მაშინ იმ თანამდებობაზე არ უნდა გაჩერდე, სადაც ყველაზე მეტი მობილიზება გმართებს!.. უკაცრავად, შეგანწყვეტინეთ... სტრესის ფაზებზე საუბრობდით, განაგრძეთ, გისმენთ...
— სტრესის პირველ სიტუაციაში ადამიანები მობილიზებული არიან (ყველა — არა) და ვერ ხვდებიან, რომ სტრესში არიან. ამიტომ, საშიშროებას გარკვეული დროის შემდეგ აღიქვამენ. ამჟამად მწვავე სტრესის ფაზაში ვართ, მაგრამ ჯერჯერობით კომპენსირებული, თუმცა ესეც ინდივიდუალურია. დეკომპენსაცია გარკვეული პერიოდის შემდეგ იწყება.

— უფრო რომ განმიმარტოთ...
— ამ კონკრეტულმა ფაქტმა შეიძლება, უკვალოდ ჩაიაროს, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ დღევანდელი სტრესი მომავალში ზოგისთვის რამე პრობლემის მიზეზი გახდეს. გააჩნია, კონკრეტულად ადამიანს როგორი მგრძობიარე ფსიქიკა და ნერვული სიტემა აქვს. დღეს მასობრივი პანიკაც



დაავადებები, რომლებსაც თბილისის წარღვრის სტრესი გამოიწვევს — ჰომეოპათი თინა თოფურიას პრაქტიკული რჩევები



სახეზეა.
— დღევანდელმა სტრესმა მომავალში თავი მაინც, რა სახით შეიძლება, იჩინოს?
— სხვადასხვაგვარად. სტრესის შემდგომი გართულებები, შეიძლება ითქვას, გამოყოფილია, როგორც ცალკე დიაგნოზი და პოლიმორფულია, ანუ მრავალფეროვნებით გამოიჩინება. ამიტომ, შეიძლება, ზოგს კუჭის წყლული ან, ვთქვათ, უძილობა დაეწყოს. ყველაზე რთული მაინც ფსიქოლოგიური პრობლემებია — შფოთვა, ფორიაქი, ცუდი სიზმრები, დეპრესია...
— ესე იგი, ერთ წელიწადში უძილობა რომ დაიწყოს, ამის მიზეზი შესაძლოა, 13 ივნისის ტრაგედია იყოს?
— შესაძლებელია, თუმცა ახალგაზრდებს ემოციური ფონი ნაკლებად დატვირთული აქვთ და ეს საფრთხე იმდენად არ ემუქრებათ, რამდენადაც უფროსებს.
სხვათა შორის, ძალიან მნიშვნელოვანია განწყობა. ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი კი, ნევროტიზირებულია.
— ყველაფერს უკეთესი, ან მშვიდი განწყობით როგორ მივუდგეთ?
— პირველ რიგში, სიმშვიდე მნიშვნელოვანი, რაშიც დიდი როლი მედია უნდა ითამაშოს. ერთი და იგივე ნეგატივი არ უნდა გააშუქოს, თორემ ნევროტიზაციის ისედაც მაღალი დონე კიდევ უფრო მოიმატებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ყველა დამნაშავეს დასჯას მოითხოვს. შეიძლება, ადამიანი იმ დონემდე მივიდეს, რომ სისხლი მოსწყურდეს და მისთვის მთავარი გახდეს, ვინმე დაისაჯოს.
— ანუ, რომ პასუხისმგებლობის საკითხი დროებით გადავდოთ?
— იცით, ეს როგორი ფენომენია? — შუა საუკუნეებისას ჰგავს, როცა მოსახლეობა მოედანზე იკრიბებოდა, რათა ვინმე შუაზე გაეგლიჯა, ან ჩამოეხრჩო... ახლა აუცილებელია, რომ ადამიანები ფსიქიკურად ჩვეულებრივ მდგომარეობას დაუბრუნდნენ.
— ეს როგორ უნდა მოხდეს?
— ამისათვის ჩვენ ვარსებობთ... 30 წელზე მეტია, ზუსტად ამაზე ვმუშაობ და როგორც ჩემი, ასევე, ჩემი გუნდის გამოცდილებას მსოფლიო იზიარებს. დღევანდელი სტრესის მოხსნა ჰომეოპათიითაა შესაძლებელი.
— კარგი... მანამდე რა ვქნათ, ვიდრე თქვენთან მოვალთ?
— შემიძლია, ელემენტარული რამ გირჩიოთ: მიიღეთ „ვალერიანი“, რომელიც სტრესის მოსახსნელად ძალიან კარგი საშუალებაა. ნუ მიიღებთ ტრანკვილიზატორებსა და ფსიქოტროპებს! ამ შემთხვევაში, ეს წამლები უარეს შედეგს მოიტანენ, რადგან სტრესულ შეგრძნებებს მხოლოდ დათრგუნავენ და ვერ უმკურნალებენ. სტრესიდან ათი ათასობით ადამიანი მყავს გამოყვანილი და ვიცი, რომ მასთან ბრძოლის პირველი მეთოდი ჰომეოპათია და ფსიქოთერაპიაა. სხვა არაფერი ჭრის. ხანდახან ჰომეოპათიური პრეპარატის ერთჯერადად მიღებაც კი საკმარისია. მიწისძვრის დროს სხვა პრეპარატი გამოიყენება, წყალდიდობისას — სხვა, ავიაკატასტროფისას — სხვა...
— ქალბატონო თინა, სტრესი საკუთარი თავისთვის მოგისხნიათ?
— რა თქმა უნდა. მაგალითად, თბილისის მიწისძვრა რომ იყო, სტრესი, პირველ რიგში, ოჯახის წევრებსა და ჩემს თავს მოვუხსენი. შემდეგ, ტელევიზიით გამოვაცხადე, მობრძანდით, დაგეხმარებით-მეთქი. მიუხედავად იმისა, რომ „წონასწორობის ფორმულად“ მიცნობენ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სტრესი და ცანცვლები არ მაქვს. რა თქმა უნდა, მაქვს, მაგრამ მაშინვე ჰომეოპათიური წამლებით ვისხნი.
— ესე იგი, სტრესში, პრაქტიკულად, არა...
— **გაგრძელება მე-15 გვ.**



„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშენიერებას ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვაგ“

კარინა ლინჩი

საქართველო
საქართველო

საირტული სკანდალი

მე-14 გვერდიდან

ასოდეს იმყოფებით...

– დიას, ასეა, რადგან შესაბამის მედიკამენტებს დროულად ვიღებ. სტრესში მყოფი ადამიანი, როგორც წესი, სწორ გადაწყვეტილებას ვერ იღებს.

– დღეს საზოგადოებამ რა არასწორი გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც მხოლოდ სტრესით იყო გამოწვეული?

– ახლა გინდათ, პოლიტიკაში გადამიყვანოთ...

– დაახლოებით, ასეა...

– ისევ იმას ვიტყვი, რაც ვთქვი: მთელი აქცენტი დამნაშავეს ძებნაზეა გადატანილი და არა – იმაზე, რომ სულიერი წონასწორობა აღვიდგინოთ. საზოგადოებაში მოლოდინის მძაფრი შეგრძობაა, რის გამოც 112-ზე უამრავი ზარი შედის. არ მგონია, რომ ვინმე შეაირობდეს. ცხოველი იმიტომ ელანდებოდა, რომ პანიკა, მასობრივი შიში და მოლოდინია. ეს გაზვიადებული ემოციური აღქმაა, რომელიც აუცილებლად უნდა მოიხსნას! ეს აღქმა ადამიანს ბოლომდე გაჰყვება და ტრავმის მოლოდინად, აკვირებული აზრების მანიად, ან რამე ფობიად გადაიქცევა. ამ ტრანსფორმაციას იმის გამოწვევაც კი შეუძლია, რომ ადამიანს შემდგომი ცხოვრების განმავლობაში გამუდმებით ვეფხვი ელანდებოდეს. ამიტომაც ვამბობ, რომ დღევანდელი სტრესი სასწრაფოდ უნდა მოიხსნას, რათა მომავალში ყოველი ძალი მგლად არ მოგვეჩვენოს.. ეს საზოგადოებას დაანეწროვებს.

– მოკლედ, ებიდეიმის თუ არა, მასობრივი ნევროზის რეალური საფრთხის წინაშე ვდგავართ, არა?

– კი – რამდენიმე დღეც და, ამჟამინდელი მწვავე სტრესი სწორედ ნევროზის ფაზაში გადავა.

...ჰომეოპათიური მკურნალობის ფონზე, ფაქტი მხოლოდ მოგონებად რჩება, რომელსაც სრულიად ეხსნება შიშის შეფერილობა და უმტკივნეულო ხდება. ეს ძალიან მაღალი დონის ჰომეოპათიაა. არ მინდა, საკუთარი თავის რეკლამაში ჩამეთვალოს, მაგრამ არც საზოგადოების მოტყუება მინდა. ამიტომ ვიტყვი, რომ ყველა ჰომეოპათი საზოგადოებას ამ პრობლემას ვერ მოუგვარებს. ეს მხოლოდ მე და ჩემს გუნდს შეგვიძლია.

თბილისის ცნობილი მინისძვრის შემდეგ, ჩვენთან 18 ათასი ადამიანი მოვიდა და მოვარჩინეთ. იცით, ყველაზე საინტერესო რა არის? – მათ უმრავლესობას მინისძვრა, როგორც ფაქტი, არც კი ახსოვს!

– ისიც შეგიძლიათ, ადამიანს, რომელიც ცხოვრებით უკმაყოფილოა, მიმე ყოველდღიურობა და ცუდი მოგონებები დაავიწყოთ?

– აქ მკურნალობისას შესაბამისი მიდგომა უნდა შეირჩეს. მუშაობა წლების განმავლობაშია საჭირო. ეს კლასიკური ჰომეოპათიაა, როდესაც ადამიანში დღევანდელი პრობლემის მიზეზი, შეიძლება, ბავშვობაში მიღებული 2-იანი ან, ვთქვათ, შენიშვნა იყოს.

მაგალითისთვის გეტყვი: უცხოეთში, ჩემი ერთ-ერთი პაციენტი, რეაქტიული ფსიქოზის დიაგნოზით, რომელსაც უამრავი რალაცის შიში ჰქონდა, ჩემს მიერ ჩატარებული მკურნალობის შემდეგ, აბსოლუტურად ჩვეულებრივი და ჯანსაღი გახდა... პრობლემის მიზეზი ამოვიცანი – წარმოიდგინეთ, თავად არ ახსოვდა, რომ 14 წლის ასაკში გააუპატიურეს. ადამიანს აქვს თვისება, დაივიწყოს წარსულში მიღებული ნეგატიური ინფორმაცია. ჰოდა, იცით, ამ პაციენტთან რა მოხდა? – მკურნალობის დროს ქვეცნობიერიდან, სიზმრის სახით, ამოუტივტივდა, რომ 14 წლის ასაკში გააუპატიურეს.



„სტრესის პირველ სიტუაციაში ადამიანები მოგილიზებული არიან (ყველა – არა) და ვერ ხვდებიან, რომ სტრესში არიან. ამიტომ, საშიშროებას ბარკვეული დროის შემდეგ აღიქვამენ. ამჟამად მწვავე სტრესის ფაზაში ვართ, მაგრამ ჯერჯერობით კომპენსირებული, თუმცა ესეც ინდივიდუალურია. დაკომპენსაცია ბარკვეული პერიოდის შემდეგ იწყება... ამ კონკრეტულმა ფაქტმა შეიძლება, უკვალოდ ჩაიაროს, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ დღევანდელი სტრესი მომავალში ზოგისთვის რამე პრობლემის მიზეზი გახდეს. ბაზრის, კონკრეტულ ადამიანს როგორი მგრძობიარე ფსიქიკა და ნერვული სისტემა აქვს. დღეს მასობრივი პანიკაც სახეობა“.



ას წარმატებით ჩაიარა და ბევრი ადამიანი მოვიდა. ამიტომაც გადავწყვიტე, რომ მომავალ შაბათ-კვირას, ანუ 27-28 ივნისსაც გავაგრძელო. მოკლედ, ამ ტრავმით დაზარალებულ ადამიანებს მივმართავ: მობრძანდნენ ჩვენთან (ჰომეოპათიის აკადემიაში, ფალიაშვილისა და თაქთაქიშვილის ქუჩების კვეთაზე, კუთხეში) და მოვუხსნით სტრესს, რაც მთავარია, სრულიად უფასოდ! ეს ჩემი და ჩემი გუნდის კეთილი ნებაა. რა თქმა უნდა, მედიკამენტებსაც უფასოდ მივცემთ. თუ მერია და მუნიციპალიტეტი ხელს შეგვიწყობს, ჩვენ თავად მივალთ მათთან, ვისაც დახმარება სჭირდება. ბავშვები, რომლებმაც სახლ-კარი დაკარგეს, მთელი წლის განმავლობაში მეთვალყურეობის ქვეშ გვეყოლება და დამატებით მედიკამენტებსაც უფასოდ მივცემთ. ოღონდ ეს მხოლოდ დაზარალებულებს ეხებათ, რადგან ამჟამად ვერ შევძლებთ, რომ სხვებსაც ვუმკურნალოთ.

– ქალბატონო თინა, ჰომეოპათია გასაგებია, მაგრამ სტრესს, როგორც ვიცით, უფრო ტრანკვილიზატორებითა და ფსიქოტროპული საშუალებებით მკურნალობენ...

– ფსიქოტროპული საშუალება მხოლოდ მაშინ უნდა მიიღოთ, როცა ფსიქიატრი დაგინიშნავს.

იცით, რის გაკეთებას აპირებდნენ? – როგორც გავიგე, დაზარალებულებისთვის ფსიქოტროპული საშუალებები უნდა დაერიგებინათ, თუმცა არ ვიცი, დაურიგეს თუ არა. ეს, თუ გააკეთეს, კარგს არაფერს გამოიწვევს და, პირიქით, პოსტსტრესული გართულებების საშიშროებას გააძლიერებს.

– ეს რატომ გააკეთეს?

– დღევანდელ მედიცინაში, განსაკუთრებით, საქართველოში, ბევრი რამ შეცდომით ხდება.

– უცოდინრობის გამო?

– არა... არ დავაზუსტებ... ყველამ ყველაფერი იცის! დღეს „გაიდლაინებითა“ და სტანდარტებით მკურნალობენ და მოსახლეობის უნდობლობაც დამსახურებულია.

– ჰომეოპათიის ბევრი არასერიოზულად უყურებს...

– შეიძლება, ვილაცამ ხელი იმიტომ შემეშალოს, რომ მკურნალობის ჩემი მექანიზმის არ სჯერა, მაგრამ როდესაც პროფესიონალი ექიმები ჰომეოპათიას უარყოფენ, სირცხვილი და დანაშაულია! მილიონობით განკურნებული ადამიანია, მილიონობით ფაქტი... ამიტომ, იმის თქმა, რომ ჰომეოპათია არასერიოზული მედიცინაა, სასაცილოა. ამას ან უიცილობს, ან ბიზნეს ინტერესების გამო ამბობენ, რაც მხოლოდ დაუშვებელი კი არა, დანაშაულიცაა!

ესაუბრა პეპ ღიზრაძე

„უცხოეთში, ჩემი ერთ-ერთი პაციენტი, რეაქტიული ფსიქოზის დიაგნოზით, რომელსაც უამრავი რალაცის შიში ჰქონდა, ჩემს მიერ ჩატარებული მკურნალობის შემდეგ, აბსოლუტურად ჩვეულებრივი და ჯანსაღი გახდა... პრობლემის მიზეზი ამოვიცანი – წარმოიდგინეთ, თავად არ ახსოვდა, რომ 14 წლის ასაკში გააუპატიურეს. ადამიანს აქვს თვისება, დაივიწყოს წარსულში მიღებული ნეგატიური ინფორმაცია. ჰოდა, იცით, ამ პაციენტთან რა მოხდა? – მკურნალობის დროს ქვეცნობიერიდან, სიზმრის სახით, ამოუტივტივდა, რომ 14 წლის ასაკში გააუპატიურეს.“

„შეიძლება, ვილაცამ ხელი იმიტომ შეიშალოს, რომ მკურნალობის ჩემი მექანიზმის არ სჯერა, მაგრამ როდესაც პროფესიონალი ექიმები ჰომეოპათიას უარყოფენ, სირცხვილი და დანაშაულია! მილიონობით განკურნებული ადამიანია, მილიონობით ფაქტი... ამიტომ, იმის თქმა, რომ ჰომეოპათია არასერიოზული მედიცინაა, სასაცილოა. ამას ან უიცილობს, ან ბიზნეს ინტერესების გამო ამბობენ, რაც მხოლოდ დაუშვებელი კი არა, დანაშაულიცაა!“

თავიდანვე ვხვდებოდი, რომ საქმე ძალიან ბასთან მქონდა... ნებისმიერი მკურნალობისას, მთავარია, პრობლემას მიაგნო. ადამიანს ქვეცნობიერში ძალიან ბევრი მოგონება და განცდა აქვს დაგროვილი.
– შესაძლებელია, რომ ჩვენს ქვეცნობიერში ჩვენვე ჩავიხედოთ?
– არა, ეს ძალიან მაღალი დონის ფსიქოთერაპიას და ჰომეოპათიას შეუძლია.
ვიდრე კიდევ რამეს მკითხავთ, მინდა, ერთი განცხადება გავაკეთო: უკვე გამოცხადდა აქცია, რომელმაც წინა შაბათ-კვირ-

დედაქალაქი

რამდენად სასიფათოა თბილისში არსებული ავარიული შენობები მოსახლეობისთვის და რატომ ეშინიათ ყოველი დღის გათენება? – ამ საკითხით „ქართული სიტყვა“ 13 ივნისის ტრაგედიამდე დაინტერესდა და ავარიულ შენობებში მცხოვრები რამდენიმე ოჯახი მოინახულა, სადაც კატასტროფული მდგომარეობა დასვდა.

თბილისის ავარიული შენობები

„ყველა ხელისუფლებას მივმართეთ, მაგრამ დახმარებას არავინ გვიწევს, არადა, ლამისაა, შენობა თავზე დაგვეგვრეს. რაც თავი მახსოვს, ეს შენობა სულ წითელ ზონაშია მოქცეული. აქედან რამდენიმე ოჯახი ქირითაა გასული. აქ გაჩერება, პრაქტიკულად, შეუძლებელია – რემონტს აღარ ექვემდებარება. უნდა დაინგრეს და ახლიდან აშენდეს. ჩვენი პრობლემა ისაა, რომ ინვესტორები არ არიან. თუ ინვესტორი გამოჩნდება, ბედნიერები ვიქნებით. გამგეობას რომ მივმართეთ, გვითხრეს, დაგიფინანსებთ, მაგრამ ინვესტორი თქვენ უნდა ნახოთ, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ აქ 4 საართულიანზე მეტის აშენება არ შეიძლება, არავინ მოდის – მოგება არ დარჩება, რადგან ორი საართული მაინც ჩვენ გვინდა.“

ავგისტოდან დღემდე სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია 12 კორპუსს ჩაუტარა. სამგორის რაიონში 2014 წელს 3 ავარიული სახლი გამაგრდა. 2015 წლის ბოლომდე კი, 2 ავარიული შენობის გამაგრების სამუშაოები დასრულდება; ისინი რაიონში 2014 წლიდან დღემდე 16 ავარიული შენობა გამაგრდა. წლის ბოლომდე იგეგმება 3-4 ავარიული კორპუსის გამაგრება.

კრწანისის რაიონის გამგეობამ, 2014 წელს, კაპიტალურად გამაგრდა ერთი საცხოვრებელი სახლი საიათნოვას 19 ნომერში. წელს იგეგმება 7 სახლის გამაგრება (კუშკინის 11, ეფრემ მცირის 6, ასათიანის 20, ლესელიძის 1 ჩიხი 4, რუსთავის გზატკეცილი 10, რუსთავის გზატკეცილი 12, საიათნოვას 20) ჩულურეთის რაიონში 2014 წელს 61 ავარიული სახლი გამაგრდა. 2015 წლის იანვრიდან დღემდე გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები 43 სახლს ჩაუტარდა (აქედან 14 სახლის გამაგრება დასრულებულია, 29 სახლის კი, – მიმდინარეობს). წლის ბოლომდე კიდევ 10 სახლი გამაგრდება. მთაწმინდის რაიონის გამგეობამ 2014 წლიდან დღემდე სულ 39 ავარიული შენობა გამაგრდა. წლის ბოლომდე გამაგრდება 13 შენობა, საიდანაც 3 მიმდინარეა.

ქირით გასვლა შემოგვთავაზეს, მაგრამ რა აზრი? – ქირის ფული, მაქსიმუმ, 2 წელი გადაგვიხადონ. ორი წლის მერე რა უნდა ვქნათ? ისევე აქ უნდა მოვიდეთ. ამიტომ ნასვლაში გამოსავალს ვერ ვხედავთ. ოჯახში ოთხნი ვართ. ამჟამად, მხოლოდ ჩემი ვაჟი მუშაობს. აქამდე, გოგონაც მუშაობდა, ხელფასი 250 ლარი ჰქონდა, მაგრამ ახლა უმუშევარია. იმის საშუალება არ გვაქვს, რომ გავიდე და სხვაგან ვიცხოვროთ, – ამბობს მეტროსადგურ „300 არაგველის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები.

„ქართული სიტყვა“ თბილისის მერიას დაუკავშირდა და შეეცადა, გაერკვია, თუ რა ელის ავარიულ შენობებს. როგორც გაირკვა, ამჟამად თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური 43 ავარიული შენობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოებს ახორციელებს. უკვე დაასრულა 13 ავარიული შენობის გამაგრება-გაძლიერება. ასევე, მიმდინარეობს 26 ავარიული შენობის გამაგრება-გაძლიერების საპროექტო სამუშაოები.

„თბილისის განვითარების ფონდი 2014-2015 წლებში 33 ავარიული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებს განახორციელებს.“

ავარიული შენობის გამაგრებისას ფონდი იღებს ვალდებულებას და სამუშაოების დასრულებამდე საკუთარი ხარჯებით გაჰყავს ოჯახები ქირით.

ავარიული სახლების გამაგრების მიმართულებით მნიშვნელოვანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აქტიურობა. გამგეობებს მჭიდრო კომუნიკაცია აქვთ ამხანაგობებთან. არსებობს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანადაფინანსების პროგრამა, რომელიც სახლების გამაგრებით სამუშაოებსაც ითვალისწინებს. 100%-დან 90%-ს აფინანსებს გამგეობა, ხოლო 10%-ს საკუთარი ხარჯებით ამხანაგობა ფარავს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ავარიული ბინების გამაგრება ამხანაგობის მიმართვის საფუძველზე ხორციელდება, – ნათქვამია მერიის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში.

რაც შეეხება გამგეობებში მიმდინარე პროექტებს: დიდუბის რაიონის გამგეობამ 2014 წლიდან დღემდე 16 ავარიული შენობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები ჩაატარა. ამჟამად კი, 4 შენობის გამაგრება მიმდინარეობს.

ვაკის რაიონის გამგეობას დაწყებული აქვს პროექტირების სამუშაოები 4 ავარიული შენობის გამაგრებაზე. გარდა ამისა, წლის ბოლომდე 10 ავარიული შენობის გამაგრებას გეგმავს. გლდანის რაიონის გამგეობამ 2014-ის

ია ტატიანა შვილი





„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას ხომ შენით ითქვა;
დადგება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგო ღონისძიება

საქართველოს მთავრობის განცხადებით, გამომდინარეობს ოთხშაბათობით

საქართველო

საკრებულოში „განსაკუთრებული ჟურნალის“ საიუბილეო ღონისძიება გაიმართა

12 ივნისს, თბილისის საკრებულომ საინტერესო ღონისძიებას უმასპინძლა: „განსაკუთრებული ჟურნალის“ იუბილეს და, ამავე დროს, ახალი ნომრის პრეზენტაციას... აღნიშნულ ღონისძიებაში დიდი ყურადღება ეთმობოდა შშმ პირთა, ანუ იგივე განსაკუთრებული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა დასაქმებას, რესოციალიზაციასა და მათი უფლებების დაცვას, მით უმეტეს, რომ 14 ივნისს შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეა.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ „განსაკუთრებულ ჟურნალს“ უმასპინძლა, რომელშიც უმეტესად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არიან დასაქმებული და პირველი ინტეგრირებული რედაქცია შექმნა, სადაც ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან, პროფესიონალებთან და დამსწრე ჟურნალისტებთან ერთად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დაასაქმეს.

ღონისძიება, რომელიც საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ მხარდაჭერით მოეწყო, თამარ მეფის სახელობის დარბაზში გაიმართა და ჟურნალის ერთი წლის იუბილეს მიეძღვნა.

საიუბილეო ღონისძიებას საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, თბილისის მერი დავით ნარმანიანი, საკრებულოს დეპუტატები, ჟურნალის რესპონდენტები და სხვა სტუმრები ესწრებოდნენ.

წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარემ, გიორგი ალიბეგაშვილმა, ქალაქის მერმა, დავით ნარმანიანმა და საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ჯაბა სამუშიამ დამსწრე საზოგადოების სიტყვით მიმართეს და ჟურნალის რედაქციას საიუბილეო წელი მიულოცეს.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე განაცხადა: „ეს არის შშმ პირთა ჟურნალი, რომელიც ინტერნეტით უკავშირდება იან ერთმანეთს და ძალიან საინტერესო მასალებს ამზადებენ და ბეჭდავენ ამ არაჩვეულებრივ გამოცემაში. ეს ჟურნალი და იდეა ფინანსდება „საგამომცემლო სახლი ქართული ელიტის“ თანადგომით, რომელმაც წლების წინ ასევე დააფინანსა ილია ჭავჭავაძის ელემენტარული სასახლე და გიორგი ნერეთლის „დროება“ – აღადგინა და პირველადი სახით, სადაც ასევე შშმ პირები დაასაქმა და განმეორებით გამოცემა ეს ისტორიული ფასდაუდებელი გაზეთები. ეს პროცესი დღესაც გრძელდება და მიხარია მსგავსი საქმის კეთება ჩვენს დედაქალაქში, ასე რომ, აღნიშნულმა გამომცემლობამ აღადგინა ძველი ტრადიციული გამოცემები და ბუნებრივია, რომ ქალაქის საკრებულო, მერიასთან ერთად, ყოველთვის მიესალმება ასეთ პროექტებს, მხარს დაუჭერს ჩვენს სრულფასოვან თანამოქალაქეებს ჩართულობაში - შშმ პირებს, რომლებიც სინამდვილეში განსაკუთრებული შესაძლებლობების მქონე ადამიანები არიან!“

ასევე, აღნიშნულმა გამომცემლობამ საფუძველი ჩაუყარა ისეთ გამოცემას, რომელიც მართლა განსაკუთრებულია ჩვენი ქვეყნისთვის... და ვულოცავ მართლაც „განსაკუთრებულ ჟურნალს“ იუბილეს და წარმატებას ვუსურვებ საქმიანობაში. მინდა აღვნიშნო, რომ ეს ადამიანები მხოლოდ საგამომცემლო საქმეში არ არიან ინოვაციურები, ისინი სრულფასოვან მონაწილეობას იღებენ ქვეყნის აღმშენებლობით პროცესში, შესაბამისად, საკრებულო და მერია ყოველთვის გვერდით დაუდგება მათ საზოგადოებაში ინტეგრირებას.“

დავით ნარმანიანი, თბილისის მერი: „განსაკუთრებული ჟურნალი, მართლაც, განსაკუთრებულია იმიტომ, რომ ის სხვა ჟურნალებისგან განსხვავებული ფორმატით გამოდის და ძალიან საინტერესო ჩანაფიქრი აქვთ ამ პროექტის ავტორს, ბატონ ნუგზარ ჭიაბერაშვილს და იმ კოლექტივს, რომელმაც ამაზე იმუშავა. აქ ვხედავ „განსაკუთრებული ჟურნალის“ ერთ-ერთ რედაქტორს და ამ შემთხვევაში ბრწყინვალე პუბლიცისტს, ბატონ ლადო კახაძეს, რომელიც ამ ადამიანებს ეხმარება საზოგადოებაში რესოციალიზაციაში და აკეთებს დიდ საქმეს. ჩვენ მხარს ვუჭერთ და მზად ვართ იმისათ-

ვის, რომ მომავალშიც აქტიურად ვითანამშრომლოთ მათთან, რადგან ასეთი ფორმატის გამოცემა, რომელიც კონკრეტულად შესაბამის მიზნობრივ ჯგუფებს და შშმ პირებს ეხებათ, დღეს აუცილებელია გამოიცემოდეს და იმ ადამიანებამდე იყოს მიყვანილი ეს ინფორმაცია, რომელიც განსაკუთრებით სჭირდებათ მათ, ისევე, როგორც საზოგადოებამ უნდა იცოდეს იმ ყველაფრის შესახებ, რასაც ითვალისწინებს „განსაკუთრებული ჟურნალის“ ფორმატი, ყველამ იცოდეს შშმ პირთა ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, რომლებიც ჩვენთან ერთად აშენებენ ღირსეულ სახელმწიფოს, ქმნიან ინტელექტუალურ პროდუქტს ხელოვნებისა და სხვადასხვა დარგებში თუ რამდენად წარმატებული არიან ისინი.“

„მე ბედნიერი ვარ, რომ ჩვენს ქვეყანაში გამოიცემა ისეთი ჟურნალი, რომელიც ყველა სფეროს მოიცავს, განსაკუთრებით კი იმ ადამიანების ცხოვრებას ასახავს, რომლებიც არ ჩანან, მაგრამ საოცარი ნიჭიერებით გამოირჩევიან და საქმესაც შესაბამისად აკეთებენ. მივესალმები და მივულოცავ ამ ღირსშესანიშნავ დღეს – იუბილეს „განსაკუთრებული ჟურნალისას. ჩვენ ყოველთვის მხარს დაუჭერთ მსგავს წამოწყებას, ხოლო რაც შეეხება „განსაკუთრებულ ჟურნალს“ მაღლობს ვეტყვი ნუგზარ ჭიაბერაშვილს ძალიან კარგი საქმიანობის, რომელიც ჩვენი საზოგადოებისთვის მეტად ბევრს ნიშნავს“, – აღნიშნა ჯაბა სამუშიამ.

ნუგზარ ჭიაბერაშვილი, „განსაკუთრებული ჟურნალის“ დამფუძნებელი, მთავარი რედაქტორი და პროექტის ავტორი: „მათი უფლებების დაცვა წელნადაში მხოლოდ 12 ან 14 ივნისს ან რომელიმე კონკრეტულად დანესებულ დღეებში კი არა, ყოველ დღეა, ისევე, როგორც ჩვენ გვიცავს ყოველ დღე საქართველოს კონსტიტუცია და, რა თქმა უნდა, უპირველესად - ღმერთი... ჩვენ მათზე გამოდგებით უნდა ვიზრუნოთ, შეძლებისდაგვარად. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც უზარმაზარი პასუხისმგებლობით გამოირჩევიან და ამავე დროს ქმნიან საოცრად კარგ ლიტერატურას იმ სფეროში, რომელზეც ჩვენი საზოგადოების ცოდნა საკმაოდ დაბალია – შშმ პირთა ცხოვრება, მოღვაწეობა, მათთან ურთიერთობების დასამყარებლად უმნიშვნელოვანესი ცოდნა-ინფორმაცია. განსაკუთრებული შესაძლებლობების მქონე ადამიანები დიდ ინტელექტუალურ სიდიდრეს წარმოადგენს და ამის ნათელი მაგალითი ის გამოცემაა, რომელიც თქვენს წინაშე წარმოდგინა.“

ბედნიერი ვარ, რომ თბილისის საკრებულო ხელმისაწვდომია ნებისმიერი ადამიანისათვის და განსაკუთრებით, სრულად ადაპტირებულია შშმ პირთათვის, მოხარული ვარ, რომ ჩემი ქვეყნის დედაქალაქის ხელმძღვანელობა ასე აქტიურადაა ჩართული განსაკუთრებული ადამიანების რესოციალიზაციაში და ყველანაირად მხარს უჭერენ მათთვის წამოწყებულ სასიკეთო საქმეს, მათ დასაქმებას და ჩვენთან თანასწორობას... თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე დღეს თანატოლი და თანასწორია ე.წ. შშმ პირებთან და ამის ნათელი მაგალითი ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ მიიღო მან სტუმრები ევროპული სტანდარტების პანდუსიდან... გმადლობთ, ბატონო გიორგი, ესოდენ დიდი გულისხმიანებისათვის! მაღლობა მინდა გადაგიხადოთ თქვენ, თბილისის მერს, ბატონო დავით, რადგან თქვენი მხარდაჭერა უდიდესი სტიმულია განსაკუთრებული ადამიანების ჩვენს საზოგადოებაში ჩართულობისთვის და მსგავსი პროექტების წამოწყება-რეალიზაციაში. ჩვენ ნამდვილად უნდა ვიზრუნოთ ჩვენი ქალაქისა და სრულიად საქართველოს კეთილდღეობაზე, ადაპტირებაზე და მოწყობაზე ისე, რომ არავინ



არ შეფერხდეს და ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი სერვისი... დამეთანხმებით, რომ პანდუსები მხოლოდ ეტლით მოსარგებლე ადამიანთა გადაადგილებისთვის არაა მნიშვნელოვანი – იგი ტურისტებისთვისაც დიდი კომფორტია და ჩვენთვის კი საამაყო, რომ ჩვენი ქვეყნის სტუმარმა გორგოლაჭებიანი ბარგი („ჩემოდანი“) ქუჩიდან ქუჩაზე ანუ „ბორდიურზე“ ადვილად გადაიტანოს... ამავე დროს ჩვენი მოქალაქეებისთვისაა მნიშვნელოვანი პანდუსებიანი ქუჩები, განსაკუთრებით იმ დედაბავშვის, რომელიც მომავალი თაობის გვიზრდის და ჩვილ ბავშვებს ეტლით ასეირნებენ ქუჩაში...“


ქეთევან ჭილაძე, „განსაკუთრებული ჟურნალის“ ქუთაისის კორესპონდენტი: „თითქმის ერთი წელი გახდება ივლისში რაც ამ ჟურნალში ვმუშაობ და ეს ნამდვილად განსაკუთრებული ჟურნალია! ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია აქ მუშაობა. რად-

გან ჩემი მდგომარეობის მიუხედავად, ასე აქტიურად ვარ ჩართული საზოგადოებაში და ვაქვეყნებ ინტერვიუებს შშმ პირებისათვის, რომლებიც წერენ ან რამე განსაკუთრებულ საქმეს აკეთებენ. ასევე, მაქვს ეკლესია-მონასტრების ისტორიები, რომლებიც ამ ჟურნალში იბეჭდება.“

ღონისძიების დასასრულს, „განსაკუთრებული ჟურნალის“ დამფუძნებელმა და მთავარმა რედაქტორმა, ნუგზარ ჭიაბერაშვილმა საკრებულოს და მერიას თანადგომისთვის მაღლობა გადაუხადა და წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარეს, გიორგი ალიბეგაშვილს, მის მოადგილეს – გიორგი ტყემალაძეს, მალხაზ მჭედლიშვილს და გიორგი ახვლედიანს, ასევე დეპუტატს ჯაბა სამუშიას და საკრებულოს აპარატის უფროსს ელენე დუმბაძეს მხარდაჭერისთვის „განსაკუთრებული სიგელები“ გადასცა.

გორა ლავაური





საქართველო
საქართველო. ქართული

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე!“
კორნეე ლეონიძე

მსოფლიო კინოს ცოცხალი ლეგენდა 66 წლის გახდა

22 ივნისს, პოლიფუდის და, საერთოდ, მსოფლიო კინოს ცოცხალი ლეგენდა, მერილ სტრიპი 66 წლის გახდა, ის ნიუ ჯერსის შტატში დაიბადა. მერილის მამა ფარმაცევტი იყო, დედა – მხატვარი. 1971 წელს, სტრიპმა ბერნარდის უნივერსიტეტი დაამთავრა, შემდეგ კი, – იელის დრამის სკოლა. მოგვიანებით, მომავალი ვარსკვლავი საცხოვრებლად ნიუ იორკში გადავიდა.

„გფიქრობდი, იმისთვის, რომ კინოსახიობი ვყოფილიყავი, საკმარისად ლამაზი არ ვიყავი“, – იხსენებს სტრიპი, რომელმაც პოლიფუდის კარი პირველად 27 წლისამ შეაღო. ამ ასაკში ბევრი სამსახიობო კარიერას ასრულებს. მართალია, მერილის პირველ როლზე უარი უთხრეს, თუმცა ვუდი ალენმა შეამჩნია და... თავბრუდამხვევი წარმატებაც მოვიდა

„როცა ახალ როლს ვითავისებ, მოცემულ პერსონაჟად გადავიქცევი. ვეღარ ვაფასებ საკუთარი გმირის მოქმედებას, ხასიათს და ყოველთვის ვბრაზდები, როცა ამის გაკეთებას სხვა ცდილობს. ყოველთვის მომწონდა ასაკოვანი ადამიანები. არის ამაში ინტრიგა – ყველა მათგანს წარსულში, უდავოდ, ექნებოდა დრამა, საიდუმლო, დიდი სიყვარულის და წარმატების ისტორია“, – ამბობს მსახიობი.

ნიუ იორკის შექსპირის ფესტივალმა მსახიობის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა – იმ დროისთვის უკვე ცნობილი მსახიობი, ჯონ კეზელი გაიცნო, რომელიც ლეგენდარულ „ნათლიმაში“ ფრედოს ანსახიერებს. მართალია, წყვილს ერთმანეთი სიგიჟემდე უყვარდა, მაგრამ... ჯონს სიმსივნის მძიმე დიაგნოზი დაუსვეს და მალევე გარდაიცვალა.

1978 წელს, სტრიპმა ძმის მეგობარი, დონ გამერი გაიცნო და მალე ცოლად გაჰყვა. ისინი დღემდე ერთად არიან. წყვილს ოთხი შვილი ჰყავს.

„ყოველთვის ბედნიერი ნამდვილად არ ვყოფილვარ. ოჯახში ხშირად ჯუჯულუნა ვარ. არ გჯერათ? ჰკითხეთ ჩემს ქმარს“, – ამბობს სამჯერ „ოსკაროსანი“ სტრიპი, რომელიც „ოქროს გლობუსზე“ 29-ჯერ იყო ნომინირებული. აქედან, „გლობუსი“ რვაჯერ მიიღო.

სელფომანია არ იკურნება

ამერიკელ ფსიქიატრთა ასოციაციის გამოკვლევით, ადამიანები, რომლებიც სელფს ხშირად იღებენ, ფსიქიკური აშლილობის ზღვარზე იმყოფებიან.

„სელფი საკუთარი თვითრწმენის განმტკიცებისა და დისტანციით გამოწვეული დისბალანსის აღდგენის სურვილი“, – აცხადებენ მეცნიერები, რომლებიც სელფის მოყვარულებს სამჯგუფად ყოფენ: ისინი, ვინც სელფს დღეში, მინიმუმ, სამჯერ იღებენ, მაგრამ სოციალურ ქსელებში არ აქვეყნებენ; ისინი, ვინც სელფს ინტერნეტში მონეტალურად ტვირთავენ და ისინი, ვისაც სელფის გადაღება ცხოვრების წესად აქვთ ქცეული.

მეცნიერები განმარტავენ, რომ ამ ეტაპზე სელფომანიასთან ბრძოლის მექანიზმი არ არსებობს.

სარბი ბეზრუკოვა

რომანი რეჟისორთან გააბა მას შემდეგ, რაც რუსი მსახიობი სერგეი ბეზრუკოვი, 15-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, მეუღლეს, ირინას დაშორდა, გაჩნდა ეჭვი, რომ თავისი შვილების დედას, კრისტინა სმირნოვას დაუბრუნდებოდა, თუმცა ასე არ მოხდა და ბეზრუკოვმა რომანი რეჟისორ ანა მატისონთან გააჩაღა, რასაც მედიასში გაგრძელებული ფოტოებიც მოწმობს.

არა-ჩვეულებრივი გვირდი





„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშენიერებაც სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვაც“

კარგო ლინი

საქართველო
საქართველო. ქოლგა

არა-ჩვეულებრივი გვირდი



პრინცი ჰარის საიდუმლო ნიშნობა

როგორც ბრიტანული ტაბლოიდები იუნჯებთან, პრინცი ჰარი საიდუმლოდ დაქორწინდა. მისი რჩეული კრესიდა ბონასია.

„30 წლის პრინცი ჰარი 26 წლის კრესიდა ბონასს, მცირეწიანი განშორების შემდეგ, 2015 წლის მარტში შეურიგდა და გოგონას ცოლობა სთხოვა. ისინი ნიშნობას საიდუმლოდ ინახავენ, რათა პირადი ცხოვრება დაალაგონ და ერთმანეთს თავიდან შეეჩვიონ. განშორებამ ჰარი დაარწმუნა, რომ კრესიდა მისთვის იდეალური გოგონაა“, – წერენ ბრიტანული ტაბლოიდები სამეფო ოჯახის წყაროზე დაყრდნობით.

შეგახსენებთ: პრინცი ჰარი გაერთიანებული სამეფოს ტახტის რიგით მეხუთე მემკვიდრეა. რაც შეეხება მის რჩეულს, კრესიდა ბონასი არისტოკრატულ ოჯახში გაიზარდა და მეფე კარლ მეორის შთამომავლის, გრაფ ედვარდ კერზონის შვილიშვილია.

ჟანა ფრისკა 41 წლის ასაკში გარდაიცვალა

რამდენიმე დღის წინ, რუსული ესტრადის ვარსკვლავი, ჟანა ფრისკა, რომელიც თავის ტვინის სიმსივნეს წელიწადნახევარი ებრძოდა, გარდაიცვალა. ჟანას მამის, ვლადიმერ ფრისკის თქმით, მომღერალი 15 ივნისს, დილის ათ საათზე გარდაიცვალა.

ჟანა მკურნალობის კურსს მსოფლიოს საუკეთესო ექიმებთან გადიოდა. რუსეთის „პირველმა არხმა“ მომღერლის დასახმარებლად ტელემარათონი გამართა და 66 მილიონ რუბლზე მეტი შეაგროვა, თუმცა ამ თანხის დიდი ნაწილი მომღერალს კი არა, ონკოლოგიური დაავადებებით დაავადებულ ბავშვებს გადაეცათ. ჟანა ფრისკამ კარიერა ჯგუფ „ბლესტიანის“ მხატვრული ხელმძღვანელობით დაიწყო. 2003 წელს კი, საზოგადოების წინაშე ისე წარსდგა, როგორც მომღერალი...

თურქმენეთის პრეზიდენტს ოქროს ძეგლი დაუდგეს

აშხაბადში, „მოსახლეობის თხოვნით“, ცხენზე ამხედრებული თურქმენეთის პრეზიდენტის, ყურბანგული ბერდიმუჰამედოვის მონუმენტი დადგინდა.

21 მეტრი სიმაღლის სკულპტურა 15 მეტრი სიმაღლის მარმარილოს კვარცხლბეკზეა აღმართული. სკულპტურა ბრინჯაოსაგანაა დამზადებული და 24-კარატის ოქროთაა დაფარული. ბუდაურზე მჯდარ ყურბანგული ბერდიმუჰამედოვის მარჯვენა ხელი მაღლა აქვს აწეული.

ძეგლის გახსნის გადაწყვეტილება თურქმენეთის პარლამენტმა მიიღო. თურქმენეთის მეფლისის თავმჯდომარის, აკვა ნურბერდიევას განცხადებით, პარლამენტის გადაწყვეტილება „მოქალაქეთა მრავალრიცხოვან თხოვნებს“ ეფუძნება. მისივე თქმით, თურქმენი ხალხი „ქვეყნის ბრძნულ საგარეო და შიდა პოლიტიკას, საერთაშორისო არენაზე მიღწევებსა და ავტორიტეტს, განუყოფლად უკავშირებს პრეზიდენტ ყურბანგული ბერდიმუჰამედოვის სახელს“. სხვათა შორის, ბერდიმუჰამედოვის წინამორბედს, საფარმურატ ნიაზოვს (თურქმენბაში) უამრავი ძეგლი დაუდგეს. ერთ-ერთი მათგანი – „ნეიტრალიტეტის თალი“, რომელსაც თურქმენბაშის 12-მეტრიანი მონუმენტი დაკვება ამშვენებდა, დედაქალაქის ერთ-ერთ ღირსესანიშნაობას წარმოადგენდა. ეს 75-მეტრიანი მონუმენტი იმითაც იყო ცნობილი, რომ მზის მოძრაობასთან ერთად ტრიალებდა და ყოველთვის მზეს უყურებს, თუმცა 2010 წელს, ბერდიმუჰამედოვმა „ნეიტრალიტეტის თალის“ დემონტაჟის ბრძანება გასცა და ის 95-მეტრიანი „ნეიტრალიტეტის მონუმენტი“ ჩაანაცვლა, რომელიც დედაქალაქის გარეუბანში აღიმართა.

ზურა მებრელიშვილის ფოტო



ჯანსულის სიცინათელები

- მიზა და ვალოდია**
ვინც ჩვენ გაგვაგლო მუსრი, საძმოდან ვინც გაგვითიშა, პუტინი გახლავთ რუსი, უკრაინელი – მიშა. ვინც ჩვენ ხელს ალარ გვართმევს, ვინც ჩვენგან გაითიშა, ორი მტერი ჰყავს ქართველს – ვალოდია და მიშა.
- აბორტი**
ქართველებში ყველაფერი მოსულა, მსოფლიოში ქვეყანაა სხვა პონტის, საქართველო მიშაზეა ორსულად, ჩქარა, ჩქარა, საჭიროა აბორტი.
- თხონვა**
უთხარით ტარიელს, ავთანდილს და ფრიდონს, სამივემ თბილისში მიშიკო „დაბრიდოს“. კიევში ნუ უმზერს შორიდან ურჩად მზეს, „დაბრიდოს“, ოღონდაც რუსთველის ქუჩაზე.
- ირმა გიგანი**
ერთადერთი სვანი შემშლის შხარა-უშბის გრიგალით, ჩემს პატარა საირმეში, შენ ხარ ირმა გიგანი.
- არა, არ გვეშველება!**
ჩვენთან ძმა ძმის მტერია და სულ ერთმანეთს ჭამენ, ეს მითხარი, ერთხელ მაინც გვეშველება რამე? დიახ, დიახ, ასეა და ასე იყო მარად, არასდროს არ გვეშველება, არა, არა, არა!
- გაძეული ლომი**
ეს მითხარით, როგორ შეცვლით არნივებში დამურებს, გაქვეულ ლომს გაექეცი, თორემ შეგახრამუნებს.

